

**საპარლამენტო კონტროლი
უსაფრთხოების სექტორზე:
პრინციპები, მექანიზმები და პრაქტიკა**

"Vis consilii expers mole ruit sua"

(ძალა სამართლის გარეშე ვერ გაუძლებს საკუთარ წონასაც)
პორაციუსი, ოდები, 3,4,65

პარლამენტთაშორისი კავშირისა (IPU) და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის უწევის ცენტრის (DCAF) მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოზე, რომელიც ეხება უსაფრთხოების საპარლამენტო კონტროლს, მუშაობდნენ შემდეგი პირები

მთავარი რედაქტორები
ფილიპ ფლური (შვეიცარია) და ანდრეს ბ. ჯონსონი (შვედეთი)

რედაქტორი და წამყვანი ავტორი
პანს ბირნი (ნიდერლანდები)

წიგნზე მუშაობდნენ

ალექსი არბატოვი (რუსეთი), უან-კრისტოფ ბურკელი (საფრანგეთი), ევა ბუსა (აშშ), სუსანა გაერილესკუ (რუმინეთი), დენის გრისა (ბრაზილია), ვილჰელმ გერმანი (გერმანია), ოვენ გრინი (გაერთიანებული სამეფო), დავით დარჩიაშვილი (საქართველო), იონა ისავა ელაივგუ (ნიგერია), ბენტი ვაანანინი (ფრანგთი), ბილინა ვანკოვსკა (მაკედონია), მარი ვლაბოვა (ჩეხეთი), კასპერ ვ. გრომი (ნიდერლანდები), თამაშ ვაცლევრი (უნგრეთი), დონა ვინსლოუ (კანადა), ჰერბერტ ვულფი (გერმანია), მარინა კაპარინი (კანადა), ანჯელ კარკოშა (პოლონეთი), საიმონ ლუნი (გაერთიანებული სამეფო), ტომ მაკონალდი (გაერთიანებული სამეფო), დორიან მარსიჩი (სლოვენია), ჯან ჯაკომინ მიგონე (იტალია), მაიკლ ფ. ნუნი (აშშ), ალექსანდრ პიკევი (რუსეთი), კრისტინ პიტკა (საფრანგეთი), ანდრეას პრიუფერტი (გერმანია), კრისტოფერ საბატინი (აშშ), ლილიან სერბანი (რუმინეთი), სვეტლანა სვეტოვა (უკრაინა), ანდრეს ს. სიასტადი (ნორვეგია), რავინდ्र პალ სინგჰი (ინდოეთი), ბაჟუ სნოეპი (ნიდერლანდები), იან ტრაპანისი (ლატვია), მატიას ტულერი (არგენტინა), მარლინ უშმელერი (შვეიცარია), პანს-პიტერ ფურერი (შვეიცარია), პიტერ ჯ. ქელი (აშშ), უმით ჯაზრე (თურქეთი), კარლ პალტინერი (შვეიცარია), მიროსლავ პავლინი (სერბეთი და მონტენეგრო), პაინერ პენგი (შვეიცარია), დევიდ ჰობსი (გაერთიანებული სამეფო), იან ჰოეკემა (ნიდერლანდები), როგერ პუაზენგა (ნიდერლანდები).

სარედაქცო კოლეგია

ვილემ ვან ეელენი (ნიდერლანდები), ანდრეას გროსი (შვეიცარია), მიროსლავ ფილიპოვიჩი (სერბეთი და მონტენეგრო), სტეპან სულავინი (რუსეთი), დიმიტრო ტანაჩინიკი (უკრაინა), აშმად პუსნი პანაძლაშ (მალაზია), ადესეი ოგუნლევე (ნიგერია) და ელისავეტ პაპადიმიტროუ (საბერძნეთი) - პარლამენტთაშორისი კავშირის პოლიტიკური საკითხების, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და განიარაღების კომიტეტის წევრები, და ბეთ მუგო (კენია) და რიკარდო ვასეესი (არგენტინა), პარლამენტთაშორისი კავშირის პოლიტიკური საკითხების, სამართლებრივი და ადამიანის უფლებების საკითხთა კომიტეტის წევრები.

ენობრივი რედაქტორი
ოლივერ ვეიტსი (გაერთიანებული სამეფო)

დედანი
ინგლისურ ენაზე, უკრაინა, 2003

შინაარსი

ჩანართების ჩამონათვალი	3
წინასიტყვაობა	7
შესავალი	9
რას იპოვით მოცემულ სახელმძღვანელოში	11

ნაწილი I

უსაფრთხოების კონცეფციები და მოქმედი პირები:
პარლამენტების წინაშე არსებული გამოწვევები

თავი 1 — ცვალებად უსაფრთხოება ცვალებად მსოფლიოში	15
თავი 2 — საპარლამენტო კონტროლის კანონზომიერება	18
თავი 3 — პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო ონსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობა	20

ნაწილი II

კონტროლი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე

თავი 4 — ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება	27
თავი 5 — ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და სერთამორისონორმები ...	32
თავი 6 — სამიერადაქონისა და მედიის როლი	36
თავი 7 — უსაფრთხოების პოლიტიკის გენდერული ხედება	44

ნაწილი III

უსაფრთხოების სექტორის ძირითადი ოპერატორული კომპანენტები

თავი 8 — სამხედრო სფერო	53
თავი 9 — სახელმწიფო გასამართლობული სხვა ორგანიზაციები	58
თავი 10 — პოლიციური სტრუქტურები	61
თავი 11 — საიდუმლო და დაზვერვის სამსახურები	64
თავი 12 — სამხედრო და კერძო უმიშროების კომპანიები	69

ნაწილი IV

ეროვნული უსაფრთხოების საპარლამენტო კონტროლი:
პირობები და მექანიზმები

თავი 13 — ეფექტური საპარლამენტო კონტროლის პირობები	75
თავი 14 — უსაფრთხოების სექტორში გამოყენებული საპარლამენტო მექანიზმები	80
თავი 15 — პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტები	86

თავი 16	— ომბუდსმენი	90
თავი 17	— გიზიტები უსაფრთხოების სამსახურების ობიექტებზე	94
ნაწილი V		
უსაფრთხოების სამსახურებზე კონტროლი მოქმედებაში:		
გარემოებები და ქმედებები		
თავი 18	— გამონაკლისი შემთხვევები	99
თავი 19	— შიდა უსაფრთხოების დაცვა	103
თავი 20	— ტერიტორიზმი	107
თავი 21	— უსაფრთხოება და საინფორმაციო ტექნოლოგიები: ახალი საშუალებები და გამოწვევები	115
თავი 22	— საერთაშორისო სამშვიდობო მისიერი	118
ნაწილი VI		
ფინანსური რესურსები: უსაფრთხოების ბიუჯეტზე ეფექტური კონტროლის მიღწევა		
თავი 23	— უსაფრთხოება და ფულადი სახსრების ძალა	129
თავი 24	— უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამუშაოებო ხარჯების უდიტი	141
ნაწილი VII		
ადამიანური რესურსები უსაფრთხოების სექტორში: პროფესიონალიზმისა და დემოკრატიული კონტროლის მიღწევა		
თავი 25	— უსაფრთხოების სექტორში დემოკრატიული ღირებულებების წახალისება	149
თავი 26	— უსაფრთხოების სექტორში მომსახურე პერსონალის მენეჯერი	159
თავი 27	— სამსეურო გაწევა და სავალდებულო სამსეურო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმა	162
ნაწილი VIII		
მატერიალური რესურსები: შეიარაღების გადაცემასა და შესყიდვაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება		
თავი 28	— შეიარაღებისა და სამსეურო აღჭურვის შესყიდვა	171
თავი 29	— შეიარაღებით ვაჭრობა და მისი გადაცემა	176
პარლამენტთაშორისი კავშირი		187
შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის შენევის ცენტრი		188
თემატური ინდექსი		191

ჩანართების ჩამონათვალი

№1	უსაფრთხოების სხვა საშიშროებები, რომლებიც დღეს მოიცავს, ცალკეა ან მიერთებულია სხვა...	16
№2	უსაფრთხოების ორგანიზების სხვადასხვა ფრომა	17
№3	უსაფრთხოების სექტორში სახელმწიფო ხელისუფლების სამი ძირითადი შტოს ფუნქციები	21
№4	ეფექტური მმართველობა უსაფრთხოებაზე დემოკრატიული კონტროლის უმთავრესი ფასეულობა	23
№5	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი კითხვები	27
№6	პირადაპირი დემოკრატია და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ძირითადი შეთანხმებების რატიფიცირება: შევეიცარის მაგალითი	34
№7	სამოქალაქო საზოგადოება ლათინურ ამერიკაში: არასამთავრობო ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის პრაქტიკული ილუსტრაცია	37
№8	ომის ახალი ტიტები: თვეისუფალი პრესის მძიმე პერიოდი	39
№9	პრესის თავისუფლება 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ	40
№10	საპარლამენტო ვაბეგვერდები	41
№11	პარლამენტები და მედია	42
№12	გენდერი სამშვიდობი პროცესებში	45
№13	სამშვიდობი ისერაციებისა და პროცესის გენდერული ხედვა	45
№14	ქალი სამხედროები: ნატო-ს ქვეყნების მაგალითი	47
№15	ქალების ჩართვა უსაფრთხოების პოლიტიკაში, როგორც ახალი გენდერული მიმართულება	48
№16	ქალების უსაფრთხოების სექტორში ჩართვის ახალი განზომილებები და გამოწვევები	48
№17	ქვეყნები სამხედრო ქალების გარეშე	53
№18	რა მიზანი აქვს თავდაცვის რეფორმას?	54
№19	სამხედროების გამოყენება სამოქალაქო ქალოვან სტრუქტურებში: სამხედრო აფრიკის მაგალითი	55
№20	სხვა გასამხედროებული ნაწილების მაგალითი რამდენიმე ქვეყნის მიხედვით	59
№21	დემოკრატიული პოლიციის ძირითადი ნიშნები	61
№22	სახითო გადახრები და გარემოებები	62
№23	პოლიცია ერითრეაში: განვითარებადი ქვეყნის მაგალითი	63
№24	პარლამენტი და დაზვერვის სამსახურებისათვის გამოყოფილი სპეციალური ფონდები: არგენტინის მაგალითი	65
№25	საიდუმლო დოკუმენტები საპარლამენტო კომიტეტების პრაქტიკაში	66
№26	კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და დემოკრატიის ზოგიერთი პოტენციური საფრთხე	70

№27	უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო დემოკრატიული კონტროლისათვის პარლამენტის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები და საშუალებები	76
№28	უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის პრიაქტიური სტრატეგია	77
№29	უსაფრთხოების საკითხებში პარლამენტის კომპეტენციის შეძენის მექანიზმები და პრაქტიკა: ზოგიერთი შეთავიზება	78
№30	აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების საერთო მახასიათებლები	81
№31	ეფექტური გამოკითხვა	82
№32	პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტების ძირითადი მახასიათებლები	83
№33	საგამოძიებო კომისია კანადის ჯარების სომალიში განლაგების შესახებ: უსაფრთხოების საკითხების შესახებ პარლამენტის მოხსენების საზოგადოებაზე ზეგავლინის ილუსტრირება	85
№34	პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების კომიტეტის შესაძლო ძირითადი ფუნქციები	87
№35	სტორტნინის (ნორვეგიის პარლამენტის) საგარეო საქმეთა და თავდაცვის კომიტეტების გაერთიანებული სესია	88
№36	ომბუდსმერი	90
№37	თავდაცვის ომბუდსმერის პოსტის მიმოხილვა ზოგიერთ ქვეყანაში	91
№38	გერმანიის შეიარაღებული ძალების საპარლამენტო კომისარი	92
№39	არგვენტინის მაგალითი	94
№40	წამების წინააღმდეგ დამატებითი ოქმი ზრდის უსაფრთხოების სამსახურების ობიექტების მონახულების შესაძლებლობას	95
№41	საგარებო მდგომარეობები: მაზრები და პრინციპები	100
№42	უსაფრთხოებისა და დემოკრატიის დაცვა	104
№43	სერიოზული შედევების მქონე გადახრები	105
№44	გაერმ-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 11 სექტემბერთან დაავაშირებით	108
№45	ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ	109
№46	კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისაგან ინდივიდების დაცვის შესახებ (ETS № 108)	116
№47	მშეიღობის დამყარება, მშეიღობის შენარჩუნება, მშეიღობის იძულება, მშეიღობის მშენებლობა: გაერმ-ს ზოგიერთი საქირო განასაზღვრება	118
№48	გაერმ-ს სამშეიღობოების წანივან-წანივან განლაგების პროცესი	122
№49	სამშეიღობო მისიერში ჩართვის წესები	122
№50	გაერმ-ს სამშეიღობოების წვრთნა	124
№51	ბიუჯეტი: დემოკრატიული მმართველობის ძირითადი ინსტრუმენტი	129
№52	რატომ უნდა მიიღოს პარლამენტისა ბაბუკევეტო პროცესში აქტივური მონაწილეობა?	130
№53	თავდაცვის ხარჯები (მშპ-ის %)	131
№54	დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტის შედევენის სისტემა	133
№55	თავდაცვის ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები: ესპანეთის 2002 წლის თავდაცვის ბიუჯეტი	135
№56	უსაფრთხოების ბიუჯეტის შემუშავებისას გამჭვირვალობის ძირითადი წინააღმდეგობები	136

№57	კლასიფიკაციის სამი დონე უსაფრთხოების ბიუჯეტში	137
№58	უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტზე ეფექტური კონტროლის განხორციელების ძირითადი პრობლემები	138
№59	თავდაცვის ბიუჯეტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნაში (2001 წლის მონაცემები)	139
№60	გენერალური აუდიტორი	141
№61	გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სააუდიტო ფფისის როლი უსაფრთხოების სექტორშე საპარლამენტო კონტროლის სფეროში	143
№62	საქართველოს პარლამენტი და ბიუჯეტი კონტროლი	144
№63	ევროსაბჭოს რეკომენდაცია შეიარაღებული ძალების მოსამახურეთა ასოციაციის "უფლებების შესახებ"	151
№64	ხელმძღვანელობა და სამოქალაქო განათლება გერმანიის შეიარაღებულ ძალებში: პრინციპი "Innere Führung"	154
№65	ძალვანი სტრუქტურების ქცევის კოდექსი	155
№66	ეურო-ს ქცევის კოდექსი უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების შესახებ (1994): ძირითადი მასასიაუბლები	156
№67	სამხედრო მოსამახურეთა მენეჯმენტი: ძირითადი მომენტები	159
№68	სამხედრო სამსახური მსოფლიოში	163
№69	განვეული ჯარისყავების შეურჩებულფა	164
№70	ბავრო-ს ადამიანის უფლებების კომისიის რეზოლუცია 1998/77: სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმა	166
№71	ალტერნატიული სამსახური: შვეიცარიის მაგალითი	167
№72	რატომ უნდა იმრუნონ პარლამენტარებმა შეიარაღების შესყიდვაზე	172
№73	სუსტი ან საეჭვო შეიარაღების შესყიდვის პოლიტიკა ან ზედმეტად კონფიდენციალური შესყიდვის პროცესი ინცველს	173
№74	ნიდერლანდების პოლიტიკა თავდაცვის შესყიდვების შესახებ: საპარლამენტო კონტროლის განზომილება	174
№75	შეიარაღების გადაცემა: განმარტება	176
№76	რეგიონული შეთანხმებები შეიარაღების გადაცემის შესახებ	177
№77	შეიარაღებაზე სანქციები უფრო გონივრული გაეხადოთ: რისი გაკეთება შეუძლიათ პარლამენტარებს	180
№78	ჭარბი იარაღით ვაჭრობა: განირაღების ნეგატიური ვეერდოთი პროდუქტი	181
№79	მცირე შეიარაღებით ვაჭრობის მონაცემების შეფასება	182
№80	მცირე და მსუბუქი შეიარაღების წინააღმდეგ ბავრო-ს პროგრამა: ძირითადი საკითხები პარლამენტარებისათვის	182
№81	პარლამენტის როლი იარაღის ეფექტურობის სფეროში: გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ევროკავშირის ქვეყნებში.	183

წინასიტყვაობა

უსაფრთხოება ადამიანთა კეთილდღეობას განაპირობებს, ამიტომ არსებითია მათი შეხედულებების ასახვა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში. უსაფრთხოების პოლიტიკა მოიცავს ძირითად პრინციპებსა და ლირებულებებს, რომელთა დაცვა სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა.

პარლამენტში ხალხის აჩჩეულმა პარლამენტარებმა მჭიდროდ უნდა იმუშან მთავრობასა და უსაფრთხოების სექტორთან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი საქმისთვის იღვნიან, მათი როლები არის და უნდა იყოს კიდევ განსხვავებული. პარლამენტი სამართლებრივი პარამეტრების შექმნაზე, ბოუკეტის მიღებისა და უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე პასუხისმგებლობების სრულად აღსრულება ის შემთხვევებშია შესაძლებელი, თუ მას ექნება შესაბამისი ინფორმაცია, საჭირო ტექნიკური კომპეტენცია, უფლებამოსილება და შეეძლება მთავრობის გაკონტროლება. ეს კი, თავის მხრივ, იმგვარ სოციალურ სტრუქტურას მოითხოვს, რომელიც ნიღობითა და დიალოგით იქნება გაძლიერებული.

ჩილეში ურთიერთობების გაუმჯობესებას საზოგადოებასა და შეიირალებულ ძალებს შორის წლები დასტირდა. დღეს კი ორმხრივი პატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო სუფეს, რომელიც, ჩვენი რწმენით, მომავალში კიდევ უფრო გამყარდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს სახელმძღვანელო დაემარება უსაფრთხოების სექტორის ყველა ძირითად მონაწილეს თითოეული მოქალაქესა და მთლიანად ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაობის.



სენატორ სერუიო პაეს ვერდუგო
პარლამენტაშორისი კავშირის საბჭოს პრეზიდენტი

შესავალი

უხსოვარი დროიდან სახელმწიფოს არსებობისათვის ერთვნულ დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჟეონდა. დღეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მათი როლი მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. შეიარაღებული კონფლიქტების ახალმა ტიპებმა და სახელმწიფოებს შორის მჭიდრო კავშირებმა უსაფრთხოების კონცეფციის ასლებური განარჩება გამოიწვია. 11 სექტემბრის ტერატეტებმა და მისმა შემდგომმა მოვლენებმა ამგვარი საჭიროება კიდევ უფრო გაზარდა.


ეფექტური საპარლამენტო კონტროლი სრული გამჭვირვალობითა და ანგარიშვალდებულებით მიიღწევა. მათი არასრუბობის შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახურები იქმნება საუთარი მისის გაუცინბერებლობის სფრთხე და ყალიბდება, ე.წ. „სახელმწიფო სახელმწიფოში“ ან ხდება შეზღუდული რესურსების ხელში ჩაგდება, ანდა განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის მოპოვება. მათ შეუძლიათ დააბრკოლონ დემოკრატიზაციის პროცესები და გაზარდონ კიდეც კონფლიქტის აღბათობა. გარდამაცალ პერიოდში, ომის შემზღვევი ან კრიზისის მყოფი საზოგადოება იმყოფება გრკეული რისკს წინაშე, ამტკომ სტაბილური დემოკრატიები განსაკუთრებულ ყურადღებას უწდა იჩენდნენ სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების მიმართ გარდამნისა და მართვის საკითხებში ისე, რომ შეინარჩუნონ გარემოს უსაფრთხოების ცვლილების ტემპი.

უსაფრთხოების სექტორის ჩვეული ბუნება და დინამიკა რეალურად ექვემდებარება ეფექტურ საპარლამენტო კონტროლს. უსაფრთხოების საკითხების მრავალგვარობა: ტექნიკური საკითხები, უსაფრთხოების ძალების შემადგენლობის მნიშვნელოვანი რაოდენობა და კომპლექსურობა და ხმირად საიდუმლო კანონები, წესები და ჩვეულები, პარლამენტარებს ეფექტურ მუშაობაში ხელს უშლის, თუმცა დამოუკიდებელი კვლევა და კომპეტენცია მაინც ბერის წყვეტის.


პარლამენტთაშორისი კავშირი და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის უერევის ცენტრი შეთანხმდნენ, შეემნათ კომპაქტური და ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული იქნებოდა პარლამენტის ხელში არსებული პრატიკა და მექანიზმები დემოკრატიული კონტროლის განმორციელების თვალსაზრისით. აღნიშვნულ წევნი ამ იდეის კულმინაციაა. შემნის პროცესში ტექსტი მრავალზეს იქნა შემინმებული და დამშავებული პარლამენტარებისაგან შემდგარი სარდაჭეო საჭიროა და ექსპერტების მიერ.

სახელმძღვანელოში ხაზგასმითაა აღნიშვნული, რომ ყველა ქვეყნაში მოქმედებს საპარლამენტო კონტროლის განსხვავებული მოდელი. წესები და პრატიკა, რაც მისაღები და ეფექტურია ერთ ქვეყნაში, დაუშვებელი მეორეში. ასევე, ყველა პარლამენტი განსხვავებული უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. ამ რეალობის გათვალისწინებით სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციები იდეალისტურია. ამავე დროს უსაფრთხოების სექტორის კომპლექსურობა განაპირობებს იმას, რომ ყველა საკითხის ერთ წიგნში წარმოდგენა რთულია. სახელმძღვანელო წარმოადგენს ფართო და ყოვლისმომცველ შესავალს

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის სფეროში. ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი თავად ნარმართავს შემდგომს კელევას. ჩვენი აზრით, აღნიშნული გმოცემა თავის წელის შეიტანს იმაში, რომ უსაფრთხოების პოლიტიკა და პრაქტიკა ობიექტურად ასახვდეს იმ ხალხის მისწრაფებებს, რომელთათვისაც არის გათვალისწინებული აღნიშნული წიგნი.



ანდერს ბ. ჯონსონი



ელჩი დოქტორი თეოდორ ვონკლერი

გენერალური მდივანი
პარლამენტის მოწირის კავშირი

დირექტორი
შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული
კონტროლის ჟუნევის ცენტრი

რას იპოვით მოცემულ სახელმძღვანელოში

სახელმძღვანელო რვა ნაწილისაგან შედგება. თითოეული ნაწილი რამდენიმე თავს მოიცავს და ორნაერად შეიძლება ნავიკეთხოთ. სახელმძღვანელო უსაფრთხოების საკითხებისა და საპარლამენტო კონტროლის შესახებ ამონურავა ინფორმაციას შეიცავს, თუ მას მთლიანად ნავიკეთხოთ. ასევე, შესაძლებელია ცალკეული თავების ამონება და მათი გაცნობა. ინდექსები და სხვა წყაროების მითითება ამ მიზანს ემსახურება.

სახელმძღვანელოში მოცემულია ჩანართები, რომლებიც ცალკეული თავების დაზუსტებასა და გაერცობას წარმოადგენს მათში სუბარისა კანონებისა და დადგენილებების მაგალითებსა და ცალკეული ქვეყნების უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლის გამოყიდვებზე. თავების ბოლოს წარმოდგენილია ნაწილი, რომელსაც ქონდება „რისი გაერთება შეგვიძლიათ, როგორც პარლამენტას“. მასში გადმოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებს ეროვნული თვალსაზრისით უნდა შეეხებოთ.

წიგნის პირველი ორი ნაწილი უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის თეორიულ და ანალიტიკურ ასპექტებს ხება. პირველი ნაწილი უყრადღებას მისავლებს უსაფრთხოების კონცეფციაზე და მასში განხილულია კარლამენტისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების გლობალური როლის შესახებ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. პირველ ნაწილში წარმოდგენილი ძირითადი კითხვებია:

- რა თანამედროვე თვალსაზრისიდან გარემოს უსაფრთხოებაში?
- რა არის ე.წ. ახალი საფრთხეები და გამოწვევები?
- რატომ არის საჭირო უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი?
- რას წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორის დემორკაზიური მმართველობის ძირითადი პროცესები?
- რა როლს ასრულებს პარლამენტი აღმასრულებელსა და სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში?

მეორე ნაწილი ასახავს ეროვნული უსაფრთხოების მიმართულების ყველა ეტაპს. მასში ასევე წარმოდგენილია ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული სერთაშორისო შეთანხმებები. ამ ნაწილის ბოლო ორი თავი ეხება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის როლს და, ასევე, უსაფრთხოების პრობლემატიკასთან დაკავშირებულ გრძელებულ საკითხებს. || ნაწილის ძირითადი კითხვებია:

- რა როლს ასრულებს პარლამენტი თავისი გადაწყვეტილებებით ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებაში?
- რამდენად ზოდება თუ ხელს უწყობს სერთაშორისო სამართალი ეროვნული უსაფრთხოების პილიტიკასთვის ხელ-საყრდენ შესაძლებლობებს?
- როგორი დამოკიდებულება აქვთ სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას უსაფრთხოების სექტორის მიმართ და როგორ იყენებს პარლამენტი მათს წვლილს?
- როგორ უნდა მიერთოდას უსაფრთხოების საკითხები საზოგადოებას?
- რას წარმოადგენს ქლის როლი უსაფრთხოების სექტორში?

მესამე ნაწილში აღწერილია, თუ ვინ ვინ არის უსაფრთხოების სექტორი, სუბარის სამხედროებზე, პოლიციასა და დაზეერების სამსახურებზე, ასევე სხვა სახელმწიფო და კერძო გასამხედროებულ ორგანიზაციებზე. მესამე ნაწილის ძირითადი კითხვებია:

- რას წარმოადგენს უსაფრთხოების თოთოეული სამსახურის ძირითადი ფუნქცია და მახასიათებელი?
- ვის შიდა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმები არსებობა აუცილებელი?
- როგორ აღწევს პარლამენტი უსაფრთხოების სამსახურებზე ეფექტურ კონტროლს?

მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია პარლამენტის მიერ გამოყენებული საშუალებები და მექანიზმები უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის სფეროში. მეოთხე ნაწილის ძირითადი კითხვებია:

- რა საშუალებებს გამოიყენებს პარლამენტი უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის უზრუნველსაყოფად?
 - როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს უსაფრთხოების საკითხებში პარლამენტის კომიტეტების?
 - რა როლს პარლენტს საპარლამენტო მისმავან და გამოიყენა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით?
 - როგორ უნდა მოუწვოს ეფექტურად თავდაცვის კომიტეტმა?
 - რა როლს ასრულებს ომბუდსმენი?
 - რას აკეთებს ომბუდსმენის ინსტიტუცი თავდაცვით საქმიანობისათვის?
 - რა რომელ შეამოწმინდ უსაფრთხოების დანერგებულების პარლამენტრებმა?
- მეცნიერებული მეცნიერებული ის საგანგებო პირობები, რომლებიც უსაფრთხოების გამოწვევას ნარმობადგენენ: საგანგებო მდგომარეობა, შეიძ უსაფრთხოების საფრთხეები, ტერორიზმი და კიბერტერო-რიზმი. მასში ასევე ასახულია სამშენებლო მისიებში მონაწილეობა. მეცნიერების ძირითადი კითხებებია:
- როგორ უნდა დამყარდეს წინასწორობა საგანგებო მდგომარეობის დროს შეიძ უსაფრთხოების შენარჩუნებასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის?
 - რა არის საგანგებო მდგომარეობის მიზნები და შეზღუდვები?
 - რა შეცვალა 11 სექტემბერში? როგორ უნდა განვახვავოთ ტერორიზმი დემოკრატიული პროცესების-აგან? რას ნარმობადგენენ სახელმწიფოთა საერთაშორისო უსაფრთხოების შედეგები? რა როლს ასრულებს პარლამენტი აღინიშნულ სფეროში?
 - რა როლს ასრულებს პარლამენტი საერთაშორისო შემოდგრადების მხარდასაჭრად საზღვარგარეთ ჯარების გავზავნას-თან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში?
- მეცნიერება, მემკიდე და მერევე ნაწილები უსაფრთხოების სექტორის სამ ძირითად რესურსს ეხება. მეცნიერება ნაწილი გნიჩიბოლებას უსაფრთხოების ბიუჯეტს და მის კონტროლს პარლამენტისა და, აპოსტელიკორი, სახელმწიფო აუდიტორ ინგანობის მიერ:
- როგორ ნაწილადგენს ბიუჯეტი უსაფრთხოების ძირითად ელემენტს?
 - როგორ გამოიყენოთ გამჭვირვალიბა და ანგარიშვალდებულება უსაფრთხოების ბიუჯეტის შემუშავებისა და აღსრულების პროცესში?
 - რა პირობება საჭირო უსაფრთხოების ბიუჯეტის შედეგის პროცესში ეფექტური კონტროლისათვის?
 - როგორ იორცელდება უსაფრთხოების სექტორის აუდიტი? რატომა მიიღობულოვანი დამოუკიდებელი აუდიტი და როგორ სრულდება ის?
- მეცნიერება ნაწილი ეხება უსაფრთხოების ძალების შემადგენლობას და დახმარებას უწევს პარლამენტს სამხედრო მოსამასახურების რეერგუტირების, სელექციისა და წერთის საქმეში, ასევე, მასში ნარმოდგენილია გადადგომისა და საპენსიო საკითხები, განვევა და ალტერნატიული სამსახური:
- როგორ უნდა ჩაუწენეროთ უსაფრთხოების სექტორის მომსახურე პროგნოზალას დემოკრატიული ღები?
 - შეუძლიათ თუ არა სამხედრო მოსამასახურებს შექმნან სამხედრო კავშირები?
 - რას ნარმობადგენს სექტორის პროცესიულ პაროლს?
 - როგორია სევადასხა ქეყვანაში ანსებული განვევასა და აღტერნატიული სამსახურის სისტემა?
 - ასებების თუ არა სელმძღვანელობის ქოდების სახელმწიფო მოსამასახურეთათვის? არის თუ არა გათვალისწინებული მსგავსი რაზ საერთაშორისო სტანდარტებით?
 - სამხედრო შემადგენლობის რომელი ასპექტები ეხება პარლამენტარის?
- დაბოლოს, მერვე ნაწილი განიხილავს უსაფრთხოების სექტორის მატერიალურ რესურსებს, განსაკუთრებით შეზღუდვებს (რა და ვისგან ვიყიდოთ), შეიარაღებით ვაჭრობასა და მის გადაცემაზე.
- რა სამართლერიები შეზღუდვების არსებობს?
 - როგორია შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი?
 - რა პირობები ამართლებს კონტიდენციალობას?
 - როგორ უნდა შეავასოს პარლამენტის აღნიშნული საკითხები?

ნაწილი I

უსაფრთხოების კონცეფციები
და მოქმედი პირები:

პარლამენტების წინაშე არსებული გამოწვევები

თავი 1

ცვალებადი უსაფრთხოება

ცვალებად მსოფლიოში

ბოლო ათწლეულის განმაელობაში მსოფლიო უსაფრთხოება დრამატულად შეიცვალა. ძელი საფრთხეების ადგილს ახალი გამოწვევები იკავებენ. უსაფრთხოების, კონფლიქტისა და მშვიდობის შესახებ ახალი აზროვნება ყალიბდება.

მშვიდობა და უსაფრთხოება დემოკრატიებში

ყველა სახის კონფლიქტი როდი წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. თითოეულ საზოგადოებში კინკურინტული და ხილად ურთიერთსანინალმდევრო შეხელულებები საკუთხების ფართო სპექტრს მოიცავს. დემოკრატიულ სახელმწიფოში თვითგამოხატვის თავისუფლება ხალხს აძლევს საშუალებას, თავისი შეხედულების გადაცეს არჩეულ წარმომადგენლებს. ისინი, თავის მხრივ, განხილავენ ან საკითხებს. ამ პროცედურების საშუალებით დემოკრატიებს აქვთ უნარი, დაძლიონ კონფლიქტი და იპოვონ კიბერიტექნიკული გამოსავალი, რომელსაც მთავარი მთელი საზოგადოება დაუჭერს. გასაკვირი არ არის, რომ, როდესაც დემოკრატიული ინსტიტუტები შესაბამისად არ ფუნქციონირებენ, დაძაბულობა სცილდება კონტროლისა და გადაზიდვებისა ძალადობრივ კონფლიქტში. დემოკრატიის ძირითადი მექანიზმის წყალიბით შესაძლებელია კონფლიქტს გარკვეული მიმართულება მიეცეს, დემოკრატია შინაგანადაა დაკავშირებული მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან.

ეს ბმა ემსახურება შემდეგ მიზანს: დღეს ფართოდა აღიარებული, რომ უსაფრთხოება თავისთავად მიზანი არ არის და ბოლოს ის ხალხის კეთილდღეობას უნდა გმსახურებოდეს. ეფექტურ საპარლამენტო სისტემაში ფეხვევადგმული დემოკრატია ზემოთ ნათევამს პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს:

„თემის, რევიონის, ერის, სახელმწიფოს სუვერენიტეტს მაშინ აქვს აზრი, თუკი ის ადამიანის უზრუნველყოფის სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს“ (ვაცლავ ბეკელი)

სახელმწიფოს დაცვაზე ორიენტირებული ეროვნული უსაფრთხოება ხდება ადამიანის უსაფრთხოება, სადაც ინდივიდისა და საზოგადოების უსაფრთხოება პირველ ადგილზე დგას. პრაქტიკულად, სახელმწიფოების წინაშე უფრო მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობები მითავს:

- ✓ **პრევენციული ქმედება:** კონფლიქტების პრევენცია გულისხმობს კონფლიქტების გადაწყვეტას და მშვიდობის მნიშვნელობას;
- ✓ **ინტერვენცია:** უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ყველა ძალისხმევა ერახით მთავრდება, ხდება ხოლო შიდა კონფლიქტები გარეშე ჩარევა მოსახლეობის უფრო დიდი საფრთხისაგან დაცვის მიზნით;
- ✓ **სწრაფი რეაგირება:** ომის მიმდინარეობის ან მისი დასრულების შემდგომ ომში დაზარალებულ სამოქალაქო პირთა დახმარება მათი მართვას მიზნით. იგი მოიცავს იძულებით ადგილაციალურ პირებისათვის კარვების აშენებას, ლტოლვილთათვის თავშესაფრის მიცემას ან დახმარებას.

სამსედრო უსაფრთხოებიდან სრულყოფილ უსაფრთხოებამდე

უსაფრთხოების კონცეფციის გავება გაფართოვდა. ის გასცდა სამხედრო უსაფრთხოების ფარგლებს და ადამიანის უსაფრთხოების დაცვითავა შეიძნო. დღეს უკვე არსებობს კომსისუსი იმის თაობაზე, რომ უსაფრთხოების საკითხი საჭიროებს სრულყოფას, რაც უსაფრთხოების კონცეფციაში არასამედრო ფაქტორების გათვალისწინებასაც გულისხმობს (იხ. ჩანართი 1).

ჩანართი 1

უსაფრთხოების სხვა საშიშროებები, რომლებიც დღეს მოიცავს, ცალკეა ან მიერთებულია სხვა ...

- ▷ პოლიტიკური საფრთხეები, როგორებიცაა შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა, არშემდგარი სახელმწიფო, ტერორიზმი და ადამიანის უფლებების დარღვევა;
- ▷ ეკონომიკური საფრთხეები, როგორებიცაა სიღარიბე, მზარდი უფსკრული მდიდარ და ღარის ქვეყნებს შორის, საერთაშორისო ფინანსური ჩამორჩენა, ეკონომიკურად ძლიერი ან არასტაბილური ქვეყნების გავლენა და საავტორო უფლებების დარღვევა;
- ▷ ეკოლოგიური ანუ ადამიანის მიერ შექმნილი საფრთხეები: ატომური კატასტროფა, გალიბალური ეკოლოგიური ცვლილებები, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება, საკვებისა და სხვა რესურსების ნაკლებობა;
- ▷ სოციალური საფრთხეები: უმცირესობის/უმრავლესობის კონფლიქტები, ჭარბი მოსახლეობა, ორგანიზებული დანამაული, ტრანსაციონალური ვაჭრობა ნარკოტიკებით, კონტრაბანდული ვაჭრობა, უკონტროლო მასობრივი იმიგრაცია, დავადებები.

გაფართოებული უსაფრთხოების დღის წესრიგის უპირატესობა ის არის, რომ ის ვეთავაზობს საფრთხეების სრულყოფილ გაეხას და მათზე რეაგირების მექანიზმებს. ამგვარი უსაფრთხოების სამსახურების უკრყოფითი მხარე კი შემდეგში მდგომარეობს – ყველა ორგანიზაცია, რომლებსაც ძალის გამოყენების ან ძალის დამუქრების უფლება აქვს სახელმწიფოსა და მოქალაქეების დაცვის მიზნით, საზოგადოების არასამხედრო სფეროში აქტიურობისას მეტად ძლიერდება. უფრო მეტიც, უსაფრთხოების სექტორი შესაძლოა არც გააჩნდეს საქმარისი კომპეტენცია ასეთი ახალი გამოწვევების წინააღმდეგ.

სახელმწიფოთა ინდივიდუალური უსაფრთხოებიდან უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობისაკენ

ეროვნული უსაფრთხოების მხოლოდ „საკუთარი ძალებით“ მიღწევის შესაძლებლობა მცირეა, უსაფრთხოება მიღწევა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობით. მე-19 საუკუნეში „ძალთა ბალანსის“ კონცეფცია დომინირებდა. მე-20 საუკუნეში კი ჩამოყალბდნენ კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციები – ერთა ლიგა და მისი მემკვიდრე ბამერი, ასევე კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციები, მათ შორის ნატო.

ცივი იმის დასრულების შემდეგ შედა კონფლიქტები მეტად აქტუალური გახდა. დღეს კი მსოფლიოს ახალ ამბებში ტერორიზმის თვემა დომინირებს. გლობალიზაციამ გამოაძარავა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება, რაც უსაფრთხოების სფეროსაც მოიცავს. თანამედროვე მსოფლიომ ცალკეულ ქვეყანას უნარი აქვს მოახდინოს რეგიონის დესტაბილიზირება ან სულაც მსოფლიო მშვიდობის ხელყოფა. ეს ახალი რეალობა, უსაფრთხოების გაფართოებულ დღის წესრიგთან ერთად, სტიმულს აძლევს უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას.

ჩანართი 2

უსაფრთხოების ორგანიზების სხვადასხვა ფორმა

▷ კოლექტიური თავდაცვა

კოლექტიური თავდაცვა განისაზღვრება, როგორც ხელშეერულება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელიც ერთმანეთის წინაშე იღებენ ვალდებულებას, დაქმარინ ერთმანეთს საგარეო თავდასხმის შემთხვევაში. უსაფრთხოების ორგანიზების აღნიშნული ფორმა ნატო-სა და ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის ღრემით.

▷ კოლექტიური უსაფრთხოება

ამგვარ სისტემაში ნდება შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გაერთიანება უარს ამბობს ძალის გამოყენებაზე, უფრო დაქმარება გაერთიანების ნებისმიერ წევრს, რომლის წინააღმდეგაც მიმართავენ ძალას. აღნიშნული სასტემა საერთაშორისო მშვიდობის ხელყოფის შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოებას ძალისმიერი რეაგირებით აღჭურვს. კოლექტიური თავდაცვისაგან განსხვავებით, კოლექტიური უსაფრთხოება გაერთიანების შიგნით არსებულ საფრთხის შემთხვევაში აქტიურდება. ბაქორ კოლექტიური უსაფრთხოების ტიპურ მაგალითს წარმოადგინს. ბაქორ III-ს წესდების 41-ე და 42-ე მუხლების მიხედვით, საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია გამოიყენოს ზეროლა მშვიდობის ხელყოფის მიმართ არასამხედრო თუ ძალისმიერი მეთოდებით.

წყარო: SIMMA, Bruno: The Charter of the United Nations, 1995

▷ კოოპერატიული უსაფრთხოება

კოოპერატიული უსაფრთხოება კოლექტიური უსაფრთხოების ფართო გაგებასთან არის დაკავშირებული. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ფართო დიაპაზონის უსაფრთხოების მრავალგანზომილებიანი სივრცე“; მასში აქცენტირებულია გაბედულება და არა თავშეკავება; უფრო მოწყველია, ვიდრე გამომრიცხველი; არ იზღუდება წევრების მიხედვით; უპირატესობას ანიჭებს მრავალმრივობას; პრივილეგიას არ ანიჭებს სამხედრო გადაწყვეტას არასამხედროსთან შედარებით; სახელმწიფოები უსაფრთხოების სისტემის ძირითადი მოქმედი პირები არიან, მაგრამ მასში არასაზღვრისფრივ პირებსაც მნიშვნელოვანი როლი აკირარათ; არ მიჩნევს აუცილებლად ფორმალურ უსაფრთხოების ინსტიტუტების შექმნას, თუმცა არ თვლის მათ მიუღებლად; და რაც მთავრობას უკრადებას ამასვილებს მრავალმრივი საფუძვლის მქონე დიალოგის ჩევევის გამომტავებაზე“.

წყარო: EVANS Gareth: Cooperating for Peace, 1993

„კოლექტიური თავდაცვის წესრიგი“ თანამშრომლობის ყველაზე ძნელად მისამნევი ფორმაა. დაბოლოს, უსაფრთხოების სფეროში ნაცენტი და შეკავშირებული თანამშრომლობა ფორმალური ან ძირითადი სამხედრო ორგანიზაციების გარეშე მრავალმრივი კავშირების დახმარებით არსებობს.

გადაწყვეტილება განვირისანების შესახებ კოოპერატიული უსაფრთხოების, განსაკუთრებით კი კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაში, გამოიწვევს ქვეყნის უსაფრთხოების კოთარებაში მნიშვნელოვან ძრებებს. პრინციპის, ამგვარი თანამშრომლობა ზრდის ეროვნული უსაფრთხოების გარანტიებს, რადგანაც დაცულია პირობა „ერთად აერქისორის წინააღმდეგ“. თუმცა ამგვარი ორგანიზაციის წერილი გარკვეულ რისკიანაცა დაკავშირებული, სახელმწიფო ვალდებულია, გაიზაროს ალიანსის მიზნები და ორგანიზაციულ სტრუქტურა, ამავე დროი იგი იზღუდება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრობა. უფრო მეტიც, საპარლამენტო კონსტროლი როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ეროვნულიდან ნაწილობრივ საერთაშორისო არქნაზე გადაინაცვლებს.

თავი 2

საპარლამენტო კონტროლის კანონზომიერება

ფართოდ გაერცელებული შეხედულების მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების „ბუნებრივი“ ამიცანაა უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება, რადგანც მას აქვს შესაბამისი ცოდნა და სწორად რეაგირების უნარი. პარლამენტი კი მიჩნეულია უსაფრთხოების საკითხებში ნაელებად კომპეტენტურ ინსტიტუტად ხანგრძლივი პროცედურებისა და სათანადო კომპეტენციისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო. თუმცა პარლამენტს ევალება აღმასრულებელი ხელისუფლების მეთვალყურეობა და მონიტორინგი. სულ ცოტა, თოხი მიზეზზ არსებობს უსაფრთხოების საკითხებში საპარლამენტო კონტროლის აუცილებლობის შესახებ:

დემოკრატიის ქვაკუთხედი ავტორიტარული მმართველობის წინააღმდეგ

საფრანგეთის ყოფილ პრემიერმინისტრი ჟორჟ კლემანსო ამბობდა: „ომი საკმაოდ სერიოზული საკითხია იმისათვის, რომ სამხედროებს მივიღნდოთ.“ ამ გამოთქმის იუმორისტული მხარის მიღმა სერიოზული სარჩევი დევს, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის წარმომადგენლებს აქვთ უზინაესი უფლება და მათი კონტროლის სფეროდან არ უნდა გამოირიცხოს რომელიმე სახელმწიფო სექტორი. უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გარეშე სახელმწიფოში მყარდება დაუსრულებელი ან შექმნის პროცესში მყოფი დემოკრატია.

გამოჩენილი ამერიკელი Robert A Dahl მიხედვით, „პოლიტიკის ძირებული და უმთავრესი პრობლემა აეტოვარატული მმართველობის თავიდან აცილებაა“. რადგანაც უსაფრთხოების სექტორი სახელმწიფოს ძირითადი ამიცანების წარმართვას უძლევება, თავშეეცავებისა და ბალანსის სისტემაშ უნდა გაანონსოროს აღმასრულებელი ხელისუფლება. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლი ძალა გაანილების უმთავრესი ელემენტია სახელმწიფო დონეზე და, თუ ის ეფექტურია, გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს აღმასრულებელ ხელისუფლებას ან პრეზიდენტს.

არანაირი დაბეგვრა წარმომადგენლობის არარსებობის შემთხვევაში

პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელ ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად დღემდე მიჩნეულია მიუჯატი. დასავლეთ ევროპის პირველი ასამბლეის პირველივე დღეებში პარლამენტი პოლიტიკური საკითხების გამნილებისას მიმითხვეს გადამწევეტი ხმის უფლება. მათი მოთხოვნა შემდეგში მდგომარეობდა: „არანაირი დაბეგვრა წარმომადგენლობის არარსებობის შემთხვევაში“. რადგან უსაფრთხოების სექტორში შემავალი ორგანიზაციები ქვეყნის ბიუჯეტიდან საკაოდ სოლიდურ წილს მოიხმარებ, ქვეყნის მნიშვნელობის რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებაზე მონიტორინგი პარლამენტის მხრიდან არსებით მნიშვნელობას იძენს.

უსაფრთხოების საკითხებისათვის სამართლებრივი პარამეტრების შექმნა

პრაქტიკულად, კანონპროექტებს უსაფრთხოების საკითხების შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლება ამზადებს. თუმცა პარლამენტი მნიშვნელოვან როლს სარულებს კანონიშროექტების განხილვაში. პარლამენტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვის კანონპროექტის შესწორება, რათა სამართლებრივი

დადგენილება ადეკვატურად ასახვდეს უსაფრთხოების სფეროში ახალ აზროვნებას. ამას გარდა, პარლა-მენტი ვალდებულია, თვალყური ადეგნოს კანონების განხორციელებას, რათა ისინი მხოლოდ ფურცელზეარ დარჩეს.

კავშირი საზოგადოებასთან

აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის ვალდებული, სრულად ფლობდეს უსაფრთხოების საკითხების შე-სახებ მოქალაქეებისათვის პრიორიტეტულ ინფორმაციას. პარლამენტარები კი მოსახლეობასთან რეგულა-რულ კავშირში არიან და მათ პირდაპირი მოვალეობასა საზოგადოების აზრის სახვა თვითით საქმინობაში. შესაბამისად, მათ შეუძლიათ პარლამენტში დაყენონ საკითხი ხალხის მოთხოვნების უსაფრთხოების კანონებისა და მათ პოლიტიკაში გატარების შესახებ.

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის ნინაშე არსებული გამოწვევები

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის, სულ ცოტა, სამი ძირითადი გამოწვევა არსებობს:

- ✓ საიდუმლოების შესახებ კანონებმა შესაძლოა ხელი შეუშალონ უსაფრთხოების სექტორის გამჭვირვალობას. ეს საფრთხე განსაკუთრებით თავს ჩრდინ დემოკრატიის გზაზე მდგომ ქვეყნებსა და პისტკონფლექტურ სახელმწიფოებში. სიიდუმლოების შესახებ კანონებმ შესაძლოა შეზღუდონ ან საფრთხე შეუქმნან უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლს. იმავე საფრთხის მატარებელია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის არარსებობა.
- ✓ უსაფრთხოების სექტორი მეტად კომპლექსური სფეროა. იარალის შესყიდვა, შეიარაღებაზე კონტროლი და სამხედრო ნაწილების მზადყოფნა, ის საკითხებია, რომელსაც პარლამენტარების მეთვალყურება ესაზიროება. ყველა პარლამენტარი არ ფლობს ამიმწურავ ინფორმაციას და არ აქვს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია აღნიშულ სფეროში. მათ შესაძლოა არც დრო ჰქონდეთ და არც შესაძლებლობა, რათა გაცნობენდნენ ამ სფეროში მათი საპარლამენტო ვადის შეზღუდულობისა და ქვეყნის შიგნით და გარეთ შესაბამისი რესურსების შესახებ ინფორმაციის არქონის გამო;
- ✓ საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობამ ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის გამჭვირვალობასა და დემოკრატიულ ლეგიტიმურობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი პროცესების გარეთ აღმოჩნდება. მნიშვნელოვანია საერთაშორისო არენაზე პარლამენტის მონაწილეობა დებატებსა და განხილვებში.

თავი 3

პარლამენტისა და სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობის გადანაწილება

პარლამენტსა და მთავრობას უსაფრთხოების საკითხებში სხვადასხვა როლი აკისრიათ. ისინი ინაწილებენ პასუხისმგებლობას უსაფრთხოების სექტორის მუშაობის რეგულირებაში. პასუხისმგებლობის გადანაწილების იდეა ხერხად პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს შორის ურთიერთობასაც. ეს ორი მხარე არ უნდა ჩაითვალის მეტოქებასაც, რომელთაც საწინააღმდეგო მიზნები აქვთ. პირიქით, მათ ერთმანეთი სტრდებათ ხალხზე ორიენტირებული, ეფექტური და საფუძვლიანი უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისათვის. უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული კონტროლი ასევე გულისხმობს პოლიტიკურ ლიდერებსა და მაღალი რანგის სამხედრო ლიდერებს შორის ნდობაზე დამყარებულ დიალოგს, ლიკურთიერთობებსა და თანამდებობას. მეგვარ რეგულარულ ურთიერთობას დამატებითი მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს პოლიტიკოსებსა და სამხედროებს შორის გაუცხოების თავიდან აცილებისა და სტაბილურობის დამკაიდრების თვალსაზრისით.

როლების განაწილება

ხელისუფლების სამი შტო - აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო - ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში განსაკუთრებული როლით გამოირჩევა. მათი წელილის ასხევის მცდელობა მოცემულია ქე-3 ჩანართში, რომელშიც აღწერილია აღმასრულებელი ხელისუფლების სამი ძირითადი პირის - სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობისა და გენერალური შტაბის - ფუნქციები. ცხრილიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკურ სისტემებს განსხვავებული ფუნქციები აქვთ.

ხელისუფლების შტოების გარდა, ძალიან დიდია სამოქალაქო საზოგადოების წელილი უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირებასა და რეალიზაციაში. მედია საზოგადოებას აწევდის ინფორმაციას ყველა სახელმწიფო პარის განწრავებისა და შესაძლო ქმედების შესახებ (იხ. თავი 6).

დაბოლოს, ორი ინსტიტუციური მოქმედი პირი - იმბუდსმენი (იხ. თავი 16) და გენერალური აუდიტორი (იხ. თავი 24) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და ბიუჯეტის შემუშავებისა და კონტროლს სფეროში.

პოლიტიკური ანგარიშვალდებულება

უსაფრთხოების სამსახურები ხელისუფლების შტოების წინაშე ანგარიშვალდებული არიან:

- ✓ აღმასრულებელი ხელისუფლება ყველა დონეზე (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი)
პირდაპირ კონტროლს ასირციელებს უსაფრთხოების სამსახურების, ძირითადი
ორგანიზობებისა და პრიორიტეტების განსაზღვრაზე.

- ✓ **საკანონმდებლო** ხელისუფლება განსაზღვრავს და არგულირებს უსაფრთხოების სამსახურების უფლებამოსილებებს კანონქიბის მიღებითა და შესაბამისი საბორჯეტო ასიგურაციებით. ამგარა კონტროლი, ასევე, გულისხმობს საპარლამენტო ობიექტების ან კომისირის პოსტის შემოღებას, რისენიც საზოგადოების მიერ შეიტყობილი საჩინოების საცეკვებლზე მარრმებებს გამოიძებას.
 - ✓ **სასამართლო** ხელისუფლება აწარმოებს უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგს და აღმდეგად სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეებს პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ აღნიშნუთ, სამი სახელის უფლები შეტყო როლი ქვეყნებს შორის განსხვავებულია. თუმცა უსაფრთხოების სექტორში პოლიტიკური დარღვევების თავიდან ასაცილებლად ძალათა განაწილების სისტემა შეკვებასა და წინასწირობას უზრუნველყოფს. უსაფრთხოების საკითხები მთავრობის როლი

ჩანართი 3

უსაფრთხოების სექტორში სახელმწიფო
ხელისუფლების სამი ძირითადი შტოს ფუნქციები

	პარლამენტი	სასამართლო ხელისუფლება	აღმასრულებელი ხელისუფლება		
			სახელმწიფო მეთაური	კაბინეტი	გენერაბის უფროსი
უძალესი ხელმძღვანელობა	ზოგიერთ ქვეყნაში პარლამენტი განიხილავს და/ან ამტკიცებს უძალესი ხელმძღვანელობის კანდიდატურას.	საკონსტიტუციო სასამართლო აჯანცემს პრეზიდენტის ან კანსტიტუს, როგორც უძალესი მასალისართვის, კონსტიტუციონალს	ზოგიერთ ქვეყნაში სასახლეო მინისტრის მინისტრი ფინანსურის აქცია, ზოგიერთის კანკულური უძლებელს დაობის; მაგ., ორის პრიორული იდანის უზრუნველყოფის მიავრცავათ	მასარისბა ნირმადებას უძლებელი მასალისართვის პასტა მინისტრის პრიორული იმუნიტეტი, ზოგად კანკულური უზრუნველყობა	ზოგიერთ ქვეყნაში უძალესი მასალისართვის პასტა მინისტრის პრიორული იმუნიტეტი, ზოგად კანკულური უზრუნველყობა
უსაფრთხოების პოლიტიკა	განიხილავს და ამტკიცებს უსაფრთხოების პოლიტიკას, იღებს კანონებს	-	ხელს აწერს უსაფრთხოების პოლიტიკის შესხებ კანონებს	იძლევას უსაფრთხოების პოლიტიკის შესხებ განკულებული ნინაგვადებებს და ას- დონ მას რე- ლიზების უზრუნ- ველყოფას	აძლევს უსაფრთხოების მასალისართვის დაზღუდვას მასალისართვის პოლიტიკას და მას აღმოჩენების მიზა- ვრებულობის რიცს აღმოჩენას
ბიუჯეტი	ამტკიცებს ბიუჯეტს	-	-	ადგენს ბიუჯეტს კანონისგრეტს	რეწყებს აძლევს მასალისართვის
თავდაცვის კანონები	იღებს კანონებს	საკონსტიტუციო სასამართლო აჯანცემს მისა კონსტიტუციონალს	ხელს აწერს კანონების გამოქვეყნებას	ნარაგებებს კანონისარეტებს და იღებს კანონების მიმღებარე აქციებს	რეწყებს აძლევს მასალისართვის; აღმოჩენებს კანონებს
პირადი შემსრულობა	ზოგიერთ ქვეყნაში პარლამენტის აქცის უფლებამოსილება, განხილოების მიზანთად დაიმზები	გამოიყენს მათი ქმედებების კანონიზრებას	წიმისა ძარისად ხელმძღვანელობას; ამტკიცებს საკანონო მოლიტვებს	წიმისა ძარისად ხელმძღვანელობას შესახებ; აღმოჩენების საკანონო მო- ლიტვებს, წიმისა შემდეგი მიზანთა დალა- რივების წიმისა და მას სკონსტიტუციური უფლებების დაუდინაობის წიმისა და მას სკონსტიტუციური უფლებების დაუდინაობის	წიმისა ძარისად ხელმძღვანელობას შესახებ; აღმოჩენების საკანონო მო- ლიტვებს, წიმისა შემდეგი მიზანთა დალა- რივების წიმისა და მას სკონსტიტუციური უფლებების დაუდინაობის წიმისა და მას სკონსტიტუციური უფლებების დაუდინაობის



შესყიდვები	განიხილავს და / ან ამტკიცებს შეასრულებს შესყიდვის მიზანთ მრჩეველებს	განსჯებს კანონდაცლებებს, კორუფციასა და მუქრანაშვილას	-	შემოაქეს წინდაღებას შეიარაღებს შესყიდვის შესახებ	ხელმძღვანელობს და აღასრულებს შემოაქესების შესყიდვის მიზანცეს
კარების საზღვარგარეთ გაგრძენა / უციო ქვეყნის ჯარუ- ბის განასაკება საკუთარ ტერიტორიაზე	პრიორი ამტკიცებს, ასასტერიორი ამტკიცებს ან სრულებრივად ამტკიცებს	განსჯებს მათ ქრისტიანობის კანონიერებას	-	ანთრიცებს საერთაშორისო მოლაპარაკებს, გადაცემობრივის ლოგის მონაცემების წესის შესახებ	ოპერატორის ხელმძღვანელობა
საერთაშორისო ხელშეკრულებე- ბი, აღიანსების განვირობაზე	ამტკიცებს		დღის ხელშეკრულებას და ანთრიცემის რატონიკორებას	პასუხისმგებლის საერთაშორისო მოლაპარაკებზე	რჩევას ახდენეს მთავრობას

ნამყვანია, მაგრამ პარლამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებითა და რესურსებით. უსაფრთხოების ახალი გამოწვევები (იხ. თავი 1) საჯარო ინსტიტუტების როლის თავიდან განსაზღვრას მოითხოვს.

დემოკრატიული და საპარლამენტო კონტროლის პრინციპები

უსაფრთხოება და თავდაცვა ეროვნული სუვერენიტეტის სფეროს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, არ არსებობს დემოკრატიული და საპარლამენტო კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები. არსებობს რამდენიმე რეგიონული სტანდარტი, მაგ. ევრო-ს სახელმძღვანელო წესი (იხ. ჩანართი 66). ასევე, არსებობს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების მარეგულირებელი გარკვეული პრინციპები:

- ✓ სახელმწიფო საზოგადოებაში ერთადერთი მოქმედი პირია, რომელსაც აქვს ძალის გამოყენების უფლება, უსაფრთხოების სამსახურები ანგარიშვალდებული არიან ლეგიტიმური, დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე;
- ✓ პარლამენტი სუვერენულია და ავალდებულებს აღმასრულებელ ხელისუფლებას პასუხისმგებლობა აიღოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებასა და რეალიზაციაზე;
- ✓ პარლამენტი აქვს კონსტიტუციური უფლება, განხილოს და დამტკიცოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის გამოყოფილ ხარჯები;
- ✓ პარლამენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს ომის ან საომარი ვითარების გამოცხადების საკითხში (იხ. თავი 18);
- ✓ ეფექტური მმართველობის პრინციპები (ჩანართი 4) და კანონის უზენაესობა ეხება როგორც ხელისუფლების ყველა შტოს, ასევე უსაფრთხოების სექტორს;
- ✓ უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები ინდივიდუალურად არიან ანგარიშვალდებული

სასამართლოს წინაშე ეროვნული და საერთაშორისო კანონების დარღვევის შემთხვევაში
(სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევების მიხედვით);



უსაფრთხოების სექტორის ორგანიზაცია პოლიტიკურად წეოტრალურია.

ჩანართი №4

ეფექტური მმართველობა უსაფრთხოებაზე დემოკრატიული კონტროლის უმთავრესი ფასეულობაა

“ეფექტური მმართველობა გამოიხატება პროგნოზირებად, ღია და განმანათლებლურ პოლიტიკაში, ბიუროკრატია მოქმედებს ხალხის საეთილდღეოდ, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო საზოგადოება, კანონის უზენაესობა და გამჭვირვალე პრიცესები. სუსტი მმართველობა კი, მეორე მხრივ, ხასიათდება არბიტრული პოლიტიკით, არაანგარიშვალდებული ბიუროკრატიით, არასამართლებრივი საკანონმდებლო სისტემით, აღმასრულებელი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, სამოქალაქო საზოგადოების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაურთველობით და საყოველთაოდ გავრცელებული კორუფციით.”

წყარო: World Bank. 1994. Governance: The World Bank's Experience

ნაწილი II

კონტროლი ეროვნული
უსაფრთხოების პოლიტიკაზე

თავი 4

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება

შემადგენლობა

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა აყალიბებს მთავრობის ხედების აღნიშნულ სფეროში და მისი მიღწევის გზებს. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა მოიცავს უსაფრთხოების სექტორის შესახებ ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოსა და საზოგადოების საგარეო და საშინაო უსაფრთხოებაზე. იგი ემყარება უსაფრთხოების მოცემულ მიღვიმას, გვთავაზობს სამხედრო დოქტრინის ორიენტირებს და ვითარდება საერთაშორისო და რეგიონულ რეგულაციის ჩრჩილებში. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ემყარება ეროვნულ უსაფრთხოების პრიორიტეტებსა და საჭიროებებს, მასშე გავლენას ახდენენ საგრძელ ფაქტორები, ზენოლები და შეთანხმებები. ნებისმიერ შემთხვევაში მასში თავმოყრილია ეროვნულ კონსტიტუციასა თუ ქრისტიანი ნარმოდებილი ღირებულებები და პრინციპები.

ჩანართი №5

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი კითხვები

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი კითხვები ან განსაკუთრებულ პირობებში მათი რეალიზაციის საკითხის ანალიზისას ხალხის წარმომადგენლებმა უნდა დასვან შემდეგი კითხვები:

- ✓ რა სახის საფრთხოებისაგან და რისკებისაგან უნდა დავიცვათ საზოგადოება? რომელი ღირებულებები უნდა დავიცვათ? რა სახის უსაფრთხოება უნდა დავამკვიდროთ?
- ✓ მოიცავს თუ არა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა უსაფრთხოების ისეთ ახალ რისკებს, როგორებიცა ირგანზებული დანაშაული და ტერორიზმი?
- ✓ რა დონეზეა უსაფრთხოება საკმარისი?
- ✓ როგორ მიიღწევა უსაფრთხოების პოლიტიკა: ალიანსში განეკრიანებით თუ ნეიტრალიტეტის დაცვით?
- ✓ რა სახის იპერაციები უნდა განახორციელონ ეროვნული უსაფრთხოების ძალებმა: მხოლოდ თავდაცვითი თუ სამშვიდობო ოპერაციებშიც უნდა მიიღოს მონაცილეობა?
- ✓ რა საშუალებებითა და რომელი სექტორების დამარცხებით მიიღწევა უსაფრთხოების სასურველი დონე?
- ✓ რა პერიოდულობით უნდა გადაისინჯოს უსაფრთხოების პოლიტიკა?
- ✓ რამდენად შეესაბამება უსაფრთხოების პოლიტიკა საერთაშორისო პუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის პრინციპებს?



- როგორი იქნება უსაფრთხოების პოლიტიკის რეალიზების ფინანსური და ეკონომიკური შედეგები, რამდენად მზად არიან გადასახადის გადამზდელები, დააფინანსონ უსაფრთხოების პოლიტიკა?
- რა გავლენა ექნება უსაფრთხოების პოლიტიკას და მის რეალიზებას საგარეო ურთიერთობებზე და რეგიონულ უსაფრთხოებაზე?
- როგორია მასობრივი განადგურების იარაღის სტატუსი და მომავალი ეროვნული სტრატეგია მასთან მიმართებაში?

როგორც წესი, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაში ერთვება სახელმწიფო სამსახურები და სტრატეგიული დოკუმენტები შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნაშ განვითაროს საფუძვლანი და ყოვლისმომცველი უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის განხორციელებაშიც ჩართული იქნება ყველა შესაბამისი მოქმედი პირი. ამგარი მიღებომა უსაფრთხოების ყველა ასეუქტის გათვალისწინების საშუალებას იძლევა. ენ. ახალი რისკები, როგორებიცაა ტერორიზმი და საერთაშორისო დანაშაული, შეთანხმებულ ძალისჩევას საჭიროებს. ამგარი საფრთხეების ლიკვიდირება სხვადასხვა ინსტიტუტის ჩართვას მოითხოვს: სამხედროების, ფინანსთა სამინისტროს, პოლიციის, საზღვრის დაცვისა და დაზურგის სამსახურების.

პარლამენტის მონაწილეობის მნიშვნელობა

იმ ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტის დანიშნულება ხალხის პრობლემებისა და ინტერესების წარმომადგენლობაა, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების სკოიხებში პარლამენტის ჩართვისა და ამ საკითხების პარლამენტის მიერ სრული გამჭვირვალეობის პირობებში დამტკიცებისათვის არსებობს უამრავი მიზანი:

- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა შეეხება ადამიანის სიცოცხლეს, ძირითად ფასეულობებსა და კეთილდღოობას, ამიტომ დაუშებებელია მისი დატოვება მხოლოდ აღმასრულებლებისა და შეიარაღებული ძალების განვითარების სამართლებრივი სამსახურისათვის;
- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას უდიდესი გავლენა აქვს სამხედრო პირების, მათ სამხედრო მოსამსახურეთა (მათ შორის ქალების) მომავალზე;
- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა უდიდეს ფინანსურ გავლენას აზდენს გადასახადების გადამზდელებზე;
- გარდა ფინანსური დანახარჯებისა, უსაფრთხოების გარკვეული ზომები ზღუდავს ადამიანების თავისუფლებას და გავლენას ასედენს დემოკრატიის ხარისხზე.

პარლამენტის როლი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განხილვა ერთჯერად მოვლენა არ არის. აღნიშნული პროცესი მუდმივად ვითარდება და ოთხ ძრითთა ფაზას მოიცავს: განვითარებას, გადაწყვეტილების მიღებას, რეალიზაციასა და შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის დაგენერაცია და რეალიზაციაზე პასუხს აღმსარულებელი ხელისუფლება აგებს, პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მონაწილეობრივი, უნდა არსებობდეს წონასწორობა პროცესში მონაწილე მხარეებს შორის (უსაფრთხოების

სექტორი და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი).

ამგვარად, პარლამენტარებს ყველა ეტაპზე უნდა შექმნათ მათ ხელთ არსებული მექანიზმების გამოყენება, რათა აღმასრულებელი უსაფრთხოების სფეროში არსებული პრიბლებისა და საზოგადოების მოლოდინის შესახებ მუდმივად საქმის კურსში იყენებ, იწერა ეს ზეპირი თუ წერილობითი შეკითხვები, წინადადებები, მიმართვები, სპეციალური კომისიის მოსმენები, „თეორი წიგნი“, მნისტრებისა და დეპარტამენტებისადმი მიწერილი მიმართვები (იხ. აგრეთვე თავი 14, უსაფრთხოების სექტორის მიმართ გამოყენებული საპარლამენტო მექანიზმები).

განვითარება

ყველა საპარლამენტო სისტემაში პარლამენტი შეზღუდულ როლს თამაშობს ახალი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებაში. ეს ამოცანა პირდაპირ ეხება კომპეტენტურ სამთავრობო სამსახურებს. თუმცა პარლამენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს არსებული პოლიტიკის მიმართ საზოგადოებისა დამოკიდებულების, მათი მოლოდინებისა და მოთხოვნების გამოვლენაში და საჭიროების შემთხვევაში აზდენს უსაფრთხოების პოლიტიკის რევიზიას.

მისი როლი არ განისაზღვრულა რამე დოკუმენტის უძრალოდ მიღებით ან უარყოფით. პარლამენტის კომპეტენტურ კომიტეტებს თავიანთი წელილი შეაქვთ უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების პროცესში, პარლამენტის ხედი ვლინდება პოლიტიკურ ინიციატივისასა და კანონმდებლობაში. პარლამენტში გაცილებით უფრო პირზე იურიდიკური ატმოსფერო, როდესაც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი დასამტკიცებლად განიხილება და მასში ასახულია საზოგადოების შეხედულებები. უზენაესი ინტერესები პარლამენტში უმრავესობაშია და ოპოზიციას შორის ურთიერთობებში უნდა გამოვლინდეს, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტის დფორმატიული განხილვის პროცესი არ უნდა დაბრკოლდეს. ამ გზით პარლამენტის შეუძლია ცვლილებების შეტანა წარმოდგენილ დოკუმენტში.

გადაწყვეტილების მიღება

პარლამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. განსაკუთრებით მშინ, როდესაც უსაფრთხოების დოკუმენტი შედის პარლამენტში, ის „პარლამენტის საკუთრებას“ წარმოადგენს და პარლამენტი მასზე პირდაპირი პასუხისმგებელი ხდება. მის სილრმისულად შესწავლას საკმარისი დრო სჭირდება.

პარლამენტის შეუძლია დაეთანხმოს ახალ პოლიტიკას და მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონბროექტის ან უარყოს იგი და შეიტანოს მასში ცვლილებები. მა ფაზაში პარლამენტი აქტიურია და იყენებს თავის გაფლენის ცვლილებების მიღებით. ზემოთ უკვე მიმოვიზილეთი ის ძირითადი კითხვები, რომელებიც შეიძლება დასტურ იქნეს საპარლამენტო განხილვებისა და გადაწყვეტილებების მიღების დრო.

ამ ფაზაში პარლამენტი დიდ გავლენას ახდენს საბორჯეტო სახსრების განაწილებაზე (იხ. თავი 6, ფინანსური რესურსები). გავლენა განსაკუთრებით იზრდება, როდესაც პარლამენტის შესაბამისი კომპეტენტურის მქონე კომიტეტებში განიხილება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბიუჯეტის ცალკეული კომპონენტები ან მთელი სფეროს ბიუჯეტი. თავდაცვის გეგმები უნდა განისაზღვროს დროულად, რათა ის მოხედეს ბიუჯეტში.

პარლამენტის როლი მოტივირებულია საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებაში, ასევე საბოლოო მიღებული პოლიტიკის ლეგიტიმურობის უზრუნველყოფაში. უსაფრთხოების საკითხების განხილვისას გამჭვირვალობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქს, საპარლამენტო დებატები და მოსმენები საზოგადოებისა და მედიისათვის უნდა იყოს ღია.

რეალიზაცია

უსაფრთხობის სფეროში პარლამენტის პასუხისმგებლობა საორიენტაციო დოკუმენტის ან ბიუჯეტის მიღებით არ ამონიურება. პარლამენტი შემდეგ ეტაპზეც ინარჩუნებს მაკონტროლებლისა და აუდიტორის ფუნქციებს. რეალიზაციის ეტაპზე პარლამენტი მთავრობის ყველა ქმედებას შეისწავლის იმ საშუალებებით, რაც მას აქვს (იხ. თავი 14) და სხვა ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც მონიტორინგის ფუნქციას ასრულებენ (ე.წ. კონტროლის პალატა, იხ. თავი 24). პარლამენტის გავლენა განსაკუთრებულად იზრდება შესაბამის საბიუჯეტო სახსრების განწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. პარლამენტი ასევე ამონტებს კონტროლის პალატის პროფესიულ და ტექნიკურ შესაძლებლობებს აუდიტური საქმიანობის განხორციელებაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებების ან კრიზისის შემთხვევაში პარალამენტი მთავრობისაგან ითხოვს ამ უკანასწერის ყოველი გადაწყვეტილების დამტკიცებას. მაგ., ჯარების გაგზავნა საზღვარგარეთ (იხ. თავი 22) ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება (იხ. თავი 18). გარდა ამისა, მთავრობის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდილების შემთხვევაში პარლამენტი იღებს გარევაულ ზომებს. ამგვარ ვითარებაში პარლა-მენტი აყენებს საკითხს, უკიდურეს შემთხვევებში, პარლამენტი ანარმოებს სპეციალურ გამოძიებას.
რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

სამხედროების ფუნქციები

- ▷ უზრუნველყავით, რომ სამხედრო სფეროს ფუნქციონირება:
- კანონითა და სამხედრო წესებით კარგად იყოს განსაზღვრული;
 - შეესაბამებოდეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და პოლიტიკას;
 - პასუხობდეს საზოგადოების უსაფრთხოების მოთხოვნებს;
 - არასამხედრო ფუნქციების შესრულება არ უნდა სცილდებოდეს სამხედრო მზადყოფ-ნის უპირველეს ფუნქციას - ეროვნული სუვერენიტეტის უზრუნველყოფასა და საერთაშორისო წესრიგის დაცვაში წვლილის შეტანას.

თავდაცვის რეფორმა

- ▷ უზრუნველყავით, რომ კომპეტენტური საპარლამენტო კომიტეტები იღებდნენ დეტალურ ანგარიშს რეფორმების შესახებ, რომელიც ეყრდნობა შედეგების ანალიზს; ანგარიშების განხილვა უნდა ზდებოდეს საპარლამენტო მოსმენებზე.

სამხედროების გამოყენება საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში

- ▷ ფაქტობრივად, არ არის სასურველი სამხედროების გამოყენება საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში, მაგრამ, როდესაც არ არსებობს სხვა საშუალება, პარლამენტი:
- ▷ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სამხედროების ჩარევის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში ზუსტად არის განსაზღვრული, შეზღუდული და რეგულირებადი კანონის მიერ:



- გარემოებები, რომლებშიც ისინი მიმართავენ ამ ჩარევას;
 - ჩარევის არსი და შეზღუდვები;
 - ჩარევის ხანგრძლივობა;
 - სამხედრო ნაწილების სახეობები, რომლებიც უნდა ჩაერიონ თითოეულ კერძო შემთხვევაში;
 - ინსტიტუტები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ სამხედროების ჩარევის ან ჩარევის შეწყვეტის შესახებ;
 - კომპეტენტური იურისდიქცია კანონის ან ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.
- ▷ ბრძანებას ან ორდერს ჩხრევის, დაპატიმრების ან ცეცხლის გახსნის შესახებ იძლევან შესაბამისი ინსტიტუტები.
- ▷ უზრუნველყავით, რომ არსებული მექანიზმები - საპარლამენტო ან სხვა - აკონტროლებდეს და აბალანსებდეს ასეთი ჩარევების გავლენას ადამიანის უფლებების დაცვისა და ფუნდამენტალური თავისუფლებების პრინციპებზე.

თავი 9

სახელმწიფო გასამხედროებული სხვა ორგანიზაციები

„სახელმწიფო გასამხედროებული სხვა ორგანიზაციები“ (შემდგომში - OSMOs) სხვადასხვა ქვეყნაში სხვადასხვა დანიშნულებას ასრულებს. ისინი უნდა განვასხვავოთ კერძო გასამხედროებული ორგანიზაციებისაგან. სტრატეგიული კელევების ღონისძიების ინსტიტუტის განსაზღვრების მიხედვით OSMOs-ში (ზორად ხმარობენ „პარამილიტარულ ორგანიზაციებს“) შედიან „უნდარშერია“, საბაჟო სამსახური და სასაზღვრო დაცვა, თუ ეს ძალები განვრთილი არიან სამხედრო ტაქტიკის მიხედვით, შეიარაღებული - სამხედრო ძალების მსგავსად, და ომის შემთხვევაში ექვემდებარებიან სამხედრო ხელმძღვანელობას.

მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყანას, სამხედრო ძალების გარდა, ჰყავს მსგავსი გასამხედროებული ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამხედრო სფეროსთან და ხმირ შემთხვევაში სამხედრო ძალები აწვდიან მათ შეიარაღებას, უთმობენ სამხედრო ბაზებს, წერილიან და ომის შემთხვევაში ექვემდებარებიან სამხედრო ხელმძღვანელობას.

ბევრ შემთხვევაში ეს ორგანიზაციები სამოქალაქო პოლიციური საქმიანობის განხორციელებისა იყენებს არაშესაბამის სამხედრო ტექნიკას და პასუხისმგებლებას იღებენ ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევებზე. გასამხედროებული ორგანიზაციების გამოყენება ბუნდოვანს ხდის განსხვავებას სამოქალაქო პოლიციასა და სამხედრო ძალებს შორის, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი პოზიციისა და როლის კარგად განსაზღვრა. სასურველა მათი მონაწილეობის გამორიცხვა შედა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. პარლამენტმა ამ მიზნით უნდა მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა და ვაკონტროლოს მთავრობის მოქმედება. პრეზიდენტი ან პრემიერმინისტრი ვალდებულია, პარლამენტს მსაცეს კონტროლს შესაძლებლობა არ მარტო იმიტომ, რომ ამგარი ირგანიზაციები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, არამედ იმიტომაც, რომ მათი ფართო და უკონტროლო გამოყენება მრავალი გამოწვევისა და პოტენციური საშინროების მაზეზი არ გახდეს.

ჩანართი №20

**სახელმწიფო გასამხედროებული სხვა ნაწილების
მაგალითები რამდენიმე ქვეყნის მიხედვით**

ქვეყანა	შეარაღებული ძალების აქტური შემსრულებელის მოვალეობის რაოდენობა	სხვა სხელმწიფო გასამხედროებული ძალების ძალების შემსრულებლის	სხვა სხელმწიფო გასამხედროებული ორგანიზაციების ტანგები
ფრანგეთი	31,700	3,400	საზღვრის დაცვა
აშშ	1,365,800	53,000	სამოქალაქო საპარაკო პატრული
რუსეთის ფედერაცია	1,004,100	423,000	საზღვრის დაცვა, შინაგან საქმეთა სამინიტროს ჯარები, რუსეთის ფედერაციის დაცვის ძალები, ფე- დერალური უშიშროების სამსა- ხური, კომუნიკაციებისა და ინ- ფორმაციის ფედერალური სააგენ- ტო, რეინიგ ზის ჯარები და სხვ.
მარკონ	198,500	42,000	უანდარმერია, დამხმარე ჯარები
საფრანგეთი		294,430	უანდარმერია
იტალია	250,600	252,500	კარაბინიერები და შინაგან საქ- მეთა სამინიტროს საზოგოოები- ვი უსაფრთხოების სპეციალური გვარდია
თურქეთი	609,700	220,200	უანდარმერია/ეროვნული გვარდია, სანაბირო გვარდია
ბურკინა ფასო	10,000	4,450	უანდარმერია, უშიშროების კომპანიები
ჩილე	87,000	29,500	„კარაბინიეროსი“
კორეის რესპუბლიკა	683,000	3,500,000	სამოქალაქო თავდაცვისა პოლი- ცია და საზღვო პოლიცია
ინდონეზია	297,000	195,000	პოლიცია, საზღვაო პოლიცია და ადგილობრივი დამხმარე სამხედ- რო ძალები

წყარო: IISS, *The Military Balance 2000-2001, London*

**სახელმწიფო გასამხედროებული სხვა ორგანიზაციების
ფუნქციები**

OSMOs-ის მიერ ხორციელდება ფართო დიაპაზონის ფუნქციები, მათ შორის ყველაზე ხშირად:

- ✓ საზღვრის კონტროლი (მოიცავს ადამიანებისა და საქონლის არალეგალური გადაზიდვის კონტროლი);
- ✓ კონტროლი აჯანყებებზე;
- ✓ კანონიერებისა და წესრიგის შენარჩუნება საგანგებო ვითარების დროს, სახელმწიფოს მეთაურისა და საიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების, მაგალითად, ატომური ქარხნების დაცვა.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

გთხოვთ გადახედოთ ამ წიგნის შესაბამისი ნაწილების განხილულ და განსახილველ თავებს და განახორციელოთ *mutatis mutandis* (ლათ. აუცილებელი ცვლილებების შეტანა), სადაც ეს შესაძლებელია.

თავი 10

პოლიციური სტრუქტურები

პოლიცია დემოკრატიულ სახელწიფოებში

პოლიციამ კანონის უზრუნველობის პრინციპით უნდა იმოქმედოს. პოლიცია იმავე კანონების მორჩილია, რომელთაც თვითონ ატარებს და იყალს ცხოვრებაში. გარდა მისა, პოლიციის როლი განსხვავდება სისხლის სამართლის სისტემის, ინსტიტუციებისაგან, როვორებიცაა პროცესუალურა, სასამართლო სისტემა, სასჯელალსრულების სისტემა. ეფექტური მმართველობის თვალსაზრისით, ყველა სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით. დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქალაქეები პოლიციური სისტემებისაგან მოელიან სამართლიან, მიუკერძობებულ და პროგნოზირებად მოქმედებას. პოლიციის საქმიანობა საზოგადოებასთან მიმართებაში შეიძლება გამოვყოთ დემოკრატიის ხარისხის ერთ-ერთი ინდიკატორად.

ჩანართი № 21

დემოკრატიული პოლიციის ძირითადი ნიშნები

- ▷ პოლიციამ უნდა დაიცვას კანონის უზრუნველობა და იმოქმედოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით;
- ▷ დემოკრატიულმა პოლიციამ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს ეფექტური საზოგადოებრივი უსაფრთხოება და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების პარტიკულარული დაცვისას უზრუნველყოს უფლებების გამჭვირვალობას, მეთვალყურეობის მექანიზმების არსებობას და შედა და გარე კონტროლს;
- ▷ დემოკრატიულ პოლიცია ქვემოდან ზემოთ მიმართული პროცესია, რომელიც თითოეული ადამიანისა და გარკვეულ გაერთიანებების საჭიროებებსა და შეხედულებებს ითვალისწინებს, შესაბამისად, საზოგადოების ნდობას, თანხმობასა და მხარდაჭერას მოიპოვებს. პოლიცია გამჭვირვალობასა და დიალოგზე დაფუძნებული. ამ მიზნით მრავალ ქვეყანაში პოლიცია დეცენტრალიზებულია, რაც ადგილობრივ მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებას გულისხმობას.

უსაფრთხოების საგანგებო ზომების საჭიროება

პოლიციური ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტრუმენტია და თავისი ფუნქციების შესასრულებლად კანონირი იძულების უფლებას იყენებს. თუმცა, ამ შესაძლებლობიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფოს მხრიდან ხელისუფლების პორტფელ გამოყენების, ძალადობის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და კორუფციის რისკი. დემოკრატიულ ქვეყნების პოლიციურ სამსახურებში მიიღება უსაფრთხოების სპეციალური ზომები, რაც შემდეგ მიზნებს ემსახურება: დაადგინოს, პოლიცია საზოგადოების ინტერესების სამსახურში დგას თუ ცალკეული პოლიტიკოსების, პოლიცია პოლიციის მიზნებს ემსახურება. პოლიციურ სტრუქტურების აქვთ მოქმედების თავისუფლება და სარგებლობების იძულების დამოკიდებლობით, თუმცა მათ კანონის აღსრულების დროს მიუკერძობლობა უნდა დიაცვან და იმოქმედონ პროცესებულად. პოლიციის ოფიციელების პროფესიული ეთიკის კოდექსს კარგად უნდა იცნობდნენ. პროფესიული ეთიკის ნაწილი იცავს თითოეული ადამიანის

სიცოცხლის უფლებას, გარდა ამისა, ძალის გამოყენება წებადართულია მხოლოდ აბსოლუტური საჭიროების შემთხვევაში და სანქციონიბულია კანონის მიერ. პოლიციის მიერ ძალის გამოყენება პროპორციულობის წესის დაცვით უნდა მოხდეს. გარდა გრჩე ანგარიშვალდებული - პოლიტიკური და სასამართლო - სტრუქტურებისა (იხ. თავი 3), არსებობს კიდევ შიდა ან ბიუროკრატიული ანგარიშვალდებულება. პროფესიულ პოლიციურ სისტემში ყოველთვის უნდა არსებობდეს პოლიციის საეჭვო ქმედებების შიდა მეთვალყურეობისა და საზოგადოებრივი საჩიტურების ინსტიტუტი.

ჩანართი №22

სახითაო გადახრები და გარემოებები

„უსაფრთხოების ძალების არადემოკრატიულმა მმართველობამ შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყნის უსაფრთხოების პრიორიტეტების გადახრები. ბევრ ქვეყნაში სამხედრო უსაფრთხოების მიმართ განსაკუთრებული აქცენტი შეიძლება გახდეს მიზეზი მილიტარიზებული პოლიციური ძალების ჩამოყალიბებისა (რაც საბოლოოდ პოლიციასა და სამხედროებს შორის განსხვავებას ბუნდოვანს გახდის) ან, პირიქით, პოლიციის დაუზინანსებლობამ შეზღუდოს პოლიციის უნარი, დაიცვას ხალხის უსაფრთხოება, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში პოლიციისა და უსაფრთხოების ძალები მინმალურ ხელფასს იღებნ, პასკტიკულად არ გადაიან წვრილას, მენეჯმენტი კორუმპრებული და განაიღების დონე დაბალია.“ „დემოკრატიზებად ქვეყნებში არჩეული ლიდერები ხელისუფლების შესანარჩუნებლად უსაფრთხოების ძალებზე (ზშირად სამხედრო ნაწილებზე) არიან დამოკიდებული. იმავე მიზეზების გამო ლიდერებმა საკუთარ მზნების განხორციელებისათვის შესაძლოა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ უსაფრთხოების სისტემაში ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.“

წყარო: *Human Development Report, 2002*

საფუძვლიდან წამოსული ინიციატივები

პოლიციის დემოკრატიული კონტროლი ქვემოდან ზემოთ მიმართული მექანიზმებით ძლიერდება, საქმე ეხება ადამიანის უფლებების დამცველ საუმიზო ორგანიზაციებს. სწორებ ისინი განსაზღვრავენ, რამდენად სარგებლობს პოლიცია ხალხის ნდობით. სამოქალაქო მეთვალყურეების ორგანიზაციები, როგორიცაა ომბუდმენის ოფისი, რომელიც პოლიციის შესახებ მოქალაქეთა საჩივრებს განიხილავს, უზრუნველყოფები პოლიციის ანგარიშვალდებულებას ხალხისამი. ზოგიერთ შემთხვევაში პროვინციებში უსაფრთხოების საბჭოების შექმნა, რომლებიც მოიცავენ სამქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და ადგილობრივ ლიდერებს, დადებითად მოქმედებს ადგილობრივ პოლიციის საქმიანობის გაუმჯობესებაზე. უნდა არსებობდეს საეციალური კანონები, რომლებიც საზოგადოების აქტიურ ჯგუფებს სამოქალაქო პოლიციის, დაზივერვის სამსახურებისა და სამხედროების მიერ შევიწროებისაგან დაიცავენ.

ჩანართი № 23

პოლიცია ერიტრეაში: განვითარებადი ქვეყნის მაგალითი

პოლიციასა და მის გარემოს შორის ურთიერთობა მრავალმხრივია. ურთიერთობის მრავალმხრივობას საუკეთესოდ ასახავს პოლიციის ორი ძირითადი ასპექტი: ძალების გამოყენება კანონის დაცვისა და საზოგადოებისათვის სამსახურის განხევის მზინით. ზოგიერთ ე.ნ. განვითარებად ქვეყნაში, მაგალითად ერიტრეაში, ეს დილემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ერიტრეაში განმათავისუფლებელ ბრძოლა 30 წლის შეტყობინებით 1998-1999 წლებში ქვეყნამ ეთოპიისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. 5000 კაცისაგან შემდგარ პოლიციურ ძალებს 90-იანი წლების დასაწყისში განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცები შეემატენენ. მიზეზი სრულიად ძარტივი იყო: მთავრობას უზრა ეზრუნა კეტერანებზე. ზოგიერთ წამყვან ფიგურას პოლიციური წარსული ჰქონდა, რომ იმანათება მსახურობდნენ ეთოპიისაგან ერიტრეის გამოყოფამდე.

პოლიანდის მთავრობამ თავის თავზე აიღ სისხლის სამართლის გამოძიების სხვადასხვა სახის მეთოდების დაწერვა, პოლიციის აკადემიის მშენებლობა, სასკოლო პროგრამების შექმნა, რამაც, საბოლოო ჯაში, დონორებსა და ქვეყნის წამყვანი ელიტის წარმომადგენლებს აშკარად დანახავა ზოგიერთი კულტურული ცვლილება. ყოფილ სამხედროებს, მსგავსად ინგლისელი პოლიციელისა, ძალის გამოყენების უფლება აქვთ. ერიტრეაში კულტურული ცვლილების პროცესი დემოკრატიული პოლიციური სისტემის შექმნას ისახავს მიზნად, რაც ხასიათდება შემდეგით: მინიმალური ძალით წესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფა.

წყარო: Casper. W. Vroom, University of Maastricht, The Netherlands, involved in the cultural change project of the Eritrea Police Force, 2002.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

დემოკრატიული ჩარჩო

- ▷ უზრუნველყოფით, რომ პოლიცია კანონის უზენაესობის პრინციპით მოქმედებდეს;
- ▷ თქვენი საქმიანობა უნდა უზრუნველყოფელს პოლიციის მიერ ეთივის კოდექსით სარგებლობას, რაც მიუკერძობელ, სამართლიან და პროგნოზირებად ქმედებას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით დარწმუნდით, რომ თქვენი სახელმწიფო ძალოვან სტრუქტურებს ავალებს, იმიქმედოს გაერო-ს მოქმედების ნორმებით (1979): იხ. ჩანართი №65.

ტრეინინგი

- ▷ უზრუნველყოფით, რომ პოლიციის პროფესიული განათლება და ტრეინინგი მიზნად ისახავდეს წესრიგის შენარჩუნებას ძალების მინიმუმით. ასევე გასათვალისწინებელია დემოკრატიული და ეთივის ნორმები, ადამიანის უფლებებს დაცვა და გენდერული თანასწორობა: იხ. აგრძელებული 7.

ასევე, იხილეთ მექექსე, მეშვიდე, მერვე თავებში ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

საიდუმლო და დაზვერვის სამსახურები

დაზვერვის სამსახურები (ზშირად მათ „უშიშროების სამსახურებს“ უწოდებენ) წებისმიერი სახელმწიფოს ძირითადი კომისიებითა, იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამოუკიდებელი ანალიზის მონიტორინგისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას. აღნიშნული სამსახურების საქმიანობა დამოუკიდებულია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, თუმცა პარლამენტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მათი საქმიანობის მეთვალყურეობაში.

შიდა უსაფრთხოების ახალი საფრთხეებისა და რისკების გაჩერჩაშ (საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკების გადაზიდვა, კონტაქტული დანაშაული და არალეგალური იმიგრაცია) განაპირობა დაზვერვის სამსახურების უნარის გაძლიერების აუცილებლობა. კერძოდ, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა დაგვანახავა, რომ ეფექტური დაზვერვა არსებით როლს ასრულებს. ტერორისტული აქტების მომდევნო თვეებში ბევრი ქვეყნის მთავრობამ დაზვერვის სამსახურებს მოქმედების მეტი თავისუფლება მარნება: ელექტრონული ფოსტის შემოწმება, სატელეფონო და ფაქსიმილური კაშირების მოსმენა და გაშიფრვა (ჩ. თავი 20 ტერორიზმის შესახებ).

ახალი ტექნოლოგიები იძლევა ინსპექტირების, აღმოჩენისა და დაკავების საშუალებას. ვითარდება თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვის სამსახურებს შორის. ძირითადი პარლამენტი დამოუკიდებული, რომ დაზვერვის სამსახურების გაზრდილი უფლებამოსილება არ შეენიანალმდევროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებს.

დაზვერვის სამსახურების არსი

დაზვერვის სამსახურების ძირითადი არსი მდგრამარეობს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზი. ამგვარი მოქმედება საჭროებს საიდუმლოების ძალის მაღალ დონეს. მერიე მხრივ, არსებობს იმის საშიროება, რომ საბუღლოება გამოიყენებულ იწევა შედა პოლიტიკურ კონტექსტში. დაზვერვის სამსახურები საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის შესაძლოა საშიროებადაც კი იქცეს. აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მეთვალყურეობის გარდა, არსებობს დამოუკატული და საპარლამენტო კონტროლის აუცილებელობა. მხოლოდ შეეავებისა და ბალანსის სისტემა უზრუნველყოფს აღმასრულებლებისა და პარლამენტისაგან დაზვერვის სამსახურის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების თავიდან აცილებას.

დემოკრატიულ სახელმწიფოში დაზვერვის სამსახურები მთელი ძალისხმევით ცდილობენ, გახდენ ეფექტური, იყვნენ პოლიტიკურად მიუკრძოებელი, იხელმძღვნელონ პოლიტიკური ეთიკის ნორმებით, იმოქმედონ კანონიერი მანდატისა და სახელმწიფოს კონსტიტუციური და საკანონმდებლო ნორმებისა და დემოკრატიული პრაქტიკის საფუძველზე.

დაზვერვის სტრუქტურებზე დემოკრატიული კონტროლის საფუძველი ცხადი საკანონმდებლო ბაზაა, რომელიც ქმნის დაზვერვის როგორინაციებს, სახელმწიფო სტატუსტდან გამომდინარე, და რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი. სტატუსტმა უნდა ჩამოაყალიბოს სამსახურების უფლებამოსილებების საზღვრები, მათი საქმიანობის მეთოდები და ანგარიშვალდებულების საშუალებები.

ჩანართი №24

პარლამენტი და დაზვერვის სამსახურებისათვის გამოყოფილი სპეციალური ფონდები: არგენტინის მაგალითი

„კანონი №25.520 ეროვნული დაზვერვის შესახებ (2001 წლის 27 ნოემბერი). მუხლი 37: „ეროვნული კონგრესის ორპალატიანი კომიტეტის კომიტეტის წარმოადგენს ეროვნული დაზვერვისათვის გამოყოფილ „საბიუჯეტო სახსრების“ მეთვალყურეობა და კონტროლი. ამ მიზნით ეროვნული კონგრესის ორპალატიანი კომიტეტს შეუძლია აღასრულოს მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი აქტი, კერძოდ:

1. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონგრესში გადაგზავნილი ეროვნული ბიუჯეტის კანონის განხილვებში მონაწილეობა და ჩარევა. ამ მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლება აგზავნის ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას, კერძო: ა) იურისდიქციით განსაზღვრული კონფიდენციალური, საიდუმლო ან შეზღუდული ხელმისაწვდომობის მქონე ბიუჯეტის დამატება; ბ) ხარჯების მიზნების, პროგრამებისა და ობიექტის შესახებ დამატება.
2. კანონის მიერ განსაზღვრული დაზვერვის ყველა სამსახურისაგან თავიანთი ფუნქციების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის, მონაცემებისა და ანგარიშების მოთხოვნა. საჭიროების შემთხვევაში მოითხოვება მონაცემები და დოკუმენტაცია, განსაზღვრული ამავე კანონის 39-ე მუხლით.
3. ბიუჯეტის კანონში მოცემული საბიუჯეტო სახსრების მიზნების მონიტორინგი.
4. ეროვნული კონგრესისა და პრეზიდენტის წინაშე ყოველწლიური ანგარიშით წარდგენა, რომელიც მოიცავს: ა) დაზვერვის სფეროს საბიუჯეტო სახსრების ანალიზსა და შეფასებას; ბ) ორპალატიანი კომიტეტის მიერ მეთვალყურეობისა და კონტროლის მიზნით განხორციელებული საქმიანობის აღწერას, ასევე ყველა რეკომენდაციის დასახელებას.“

წერთ: Law No 25.520 on National Intelligence of Argentina, 27 November 2001.

სახელმწიფოთა უმეტესობა საპარლამენტო კომიტეტების მეშვეობით გარკვეულ დონეზე ახორციელებს ფორმალურ მეთვალყურეობას. დღესდღობით არსებული საპარლამენტო კომიტეტების მოქმედების სფერო, თავდაცვის ან შეიარაღებული ძალების კომიტეტები მოიცავენ დაზვერვის საკითხებსაც. სხვა ქვეყნების პარლამენტები კომიტეტები და ქვეკომიტეტები დაზვერვისა და სიღუმლო სამსახურების კონტროლზე აკეთებენ ფოკუსირებას.

საპარლამენტო მეთვალყურეობის კომიტეტები უნდა სარგებლობდნენ ინფორმაციის მისაწვდომობით, მონაწილეობას უნდა იღებდნენ დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელების დაწინებასა და, ასევე, საბიუჯეტო კონტროლში (იხ. ჩანართი №24 სპეციალური ფონდების შესახებ).

კომპეტენტური საპარლამენტო კომიტეტების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში ზოგიერთ სახელმწიფოში წარმოდგნენლია დაზვერვის კონტროლის კომიტეტები აღმასრულებელი ხელისუფლებისა და კაბინეტის კომიტეტების გარეთ. კაბინეტი ან აღმასრულებელი დონე, ძირითადად, მენეჯერულ ან ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს და ნაკლებად არის დამოუკიდებელი იმ სტრუქტურებისაგან, რომელთა ზედამხედველობასაც ახორციელებს, განსხვავებით საპარლამენტო კომიტეტებისაგან, რომელებშიც წარმოდგენლია სრული პოლიტიკური სპეცირი.

ჩანართი №25

საიდუმლო დოკუმენტები საპარლამენტო კომიტეტების პრაქტიკაში

- ▷ აუცილებლობის შემთხვევაში კომიტეტები იკრიბებიან დახურულ კარს მიღმა;
- ▷ კომიტეტის ანგარიშებს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე ახლავს საჯარო განხილვები (არასაიდუმლო საკითხებზე);
- ▷ კომიტეტს უფლება აქვს, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მაგრამ უფლება არა აქვს დაზივერვის მიმდნარე ოპერაციები ან დაზივერვის სამსახურების ხელმძღვანელების სახელების საჯაროდ გამოყენისა;
- ▷ კომიტეტს საჯაროდ გამოაქვს ინფორმაცია მას შემდეგ, რაც მიიღება ვადაწყვეტილება (კავალიფიციური ან ჩევეულერიკივი უმრავლესბით) იმის შესახებ, რომ ინფორმაციის გახსნა საზოგადოებრივი ინტერესებსათვის მნიშვნელოვანია;
- ▷ კომიტეტს შეუძლია ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოთხოვნა. დაზივერვის სამსახურებზე პასუხისმგებელი მინისტრი საკუთარი ინიციატივით აწვდის ინფორმაციას კომიტეტს, როდესაც ამგვარი ინფორმაცია საფუძვლიანი განმარტებისათვის აუცილებელია.

პარამეტრები დემოკრატიული სახელმწიფოების დაზივერვის სამსახურებისათვის

დაზივერვის ან საიდუმლო სამსახურების მეთვალყურეობის ფორმებს განსაზღვრავს სახელმწიფოს სამართლებრივი ტრადიციები, პოლიტიკური სისტემა და ისტორიული ფაქტორები. მაგალითად, ის ქვეყნები, რომლებზეც გავლენა იქოთია ბრიტანულმა საერთო სამართლის ტრადიციიმ, მეთვალყურეობის სასამართლო ასპექტზე აეთვისებს აქცენტს. რაც შესხება ეროვნულ კონტინტურ სამართლის ქვეყნებს, იქ მოქმედებს რეპრესიული პოლიტიკური სისტემა. აშშ-შა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ფედერალურ განსტორებებს აქვთ მეთვალყურეობისა და კონტროლის მექანიზმები. ზოგიერთ კონტინტურ დემოკრატიულ ქვეყანაში შეემნილა ომბუდსმენის იმსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია გამოიიხოს დაზივერვის სამსახურების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას გამოძიების შესახებ (ომბუდსმენის შესახებ იხ. თავი 16).

სივრცე

დაზივერვის სამსახურების მეთვალყურეობის სივრცე ხშირად შეზღუდულია. ამგვარი შეზღუდვები ეხება საქმიანობის ტიპებს (მიდა/კონტრდაზივერვა ან საგარეო დაზივერვა), ან არსებით სფეროებს (პარლამენტი მეთოდები, დახურული ქმედებები).

ლია ან დახურული დებატები პარლამენტში

ზოგადად, დემოკრატიულ საზოგადოებებში დაზივერვის მეთვალყურეობა ჩრება ნაკლებად და არის უფრო განვითარებული, ვიდრე სახელმწიფოებრივი საქმიანობის სხვა ნებისმიერი სფერო. მაგალითად, დაზივერვის საპარლამენტო კომიტეტების განხილვები არ არის საჯარო, ხოლო პარლამენტის ის წევრები, რომელებიც მონაწილეობას იღებენ ამ დებატებში, ფიცს დებენ, რომ კონფიდენციალურ ინფორმაციას

საიდუმლოდ შეინახავენ. მეთვალყურეობის მიღებული ფორმის გარდა, დემოკრატიული საზოგადოების ცდლობენ, ერთი მხრივ, უზრუნველყონ ამგარი ირგანიზაციების შესაბამისი სამართლებრივი კონტროლი და მათი ანგარიშვალდებულება საზოგადოებისადმი, ხოლო მერიე, შეინარჩუნონ მათი საქმიანობის ეფექტურობის განმაპირობებელი საიდუმლოება ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით.

ამოცანების განაწილება

დაზვერვის კონტროლის სტრუქტურული საშუალებების მთავარი ამოცანაა რომელიმე ირგანიზაციის ან სააგენტოს მიერ დაზვერვის სფეროში მინოპოლისტური მდგომარეობის თავიდან აცილება. დაზვერვის ორგანიზაციების არსებობა სტრუქტურიში, მაგალითად, პოლიტიკის ან შეიარაღებულ ძალებში, ასევე საშინაო და საგარეო დაზვერვის არსებობა, შესაძლოა ნაკლებ ეფექტიანი იყოს და ბიუროკრატიულ კონტრუნგისა შეუწყოს ხელი, მაგრამ, საზოგადოდ, მიღებულია, რომ იგი უზრუნველყოფს დემოკრატიულ კონტროლს. მრავალ სახელმწიფოში ცალკეა გამოყოფილი შიდა დაზვერვისა და სამხედრო დაზვერვის სამსახურები. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია დემოკრატიული კონტროლის თვალსაზრისით, მაგრამ ამ დროს ხდება დაზვერვის მასალების შეკრებისა და ანალიზის გაფანტვა, რაც აშშ-ში განხორციელებულმა ტერაქტებმა დაადასტურა.

დაზვერვის სამსახურის თანამშრომელთა ტრეინინგი

დაზვერვის ექსპერტების ტრეინინგი და პროფესიული ჩამოყალიბება მეთვალყურეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. კერძოდ, პროფესიონალიზმი, დემოკრატიული ნორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების პატივისცემა, ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა დაზვერვის თანამშრომელთა ტრეინინგის მნიშვნელოვანი ასპექტებია. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხორციელდება დაზვერვის სამსახურებისათვის სამოქალაქო პრეტენზი ტრეინინგი.

მასალების დეკლასიფიკაცია

შემდეგი სტრუქტურული ფაქტორი, რომელიც აადვილებს დაზვერვის სამსახურების კონტროლს და ანგარიშვალდებულებას, არის დაზვერვის საქმიანობის შესახებ მასალების გარკვეული პერიოდის შემდგე გამოქვეყნება. ინფორმაციის გამოქვეყნების რევულირება ხდება ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე. დაგვინდულული გამჭვირვალებისა და საზოგადოებრივი განხილვების შესაძლებლობა აადვილებს დემოკრატიული კონტროლის საშუალებას (იხ. თავი 21).

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები

- უზრუნველყავით, რომ თქვენს პარლამენტში არსებობდეს კომიტეტი ან ქვეკომიტეტი დაზვერვის სამსახურების საქმიანობაზე მეთვალყურეობის სპეციალური მანდატით (შედარებისათვის იხ. თავი 15 საპარლამენტო კომიტეტების შესახებ).



- ▷ მანდატი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და მის მფლობელებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ შესაბამის ინფორმაციასა და კომპეტენტურობაზე.
- ▷ პარლამენტი პერიოდულად უნდა აწყობდეს შეხვედრებს თავისი დაკვირვებებისა და რეკომენდაციების გაცნობის მიზნით.

დემოკრატიული და სამართლებრივი ჩარჩო

- ▷ დარჩენილით, რომ დაზვერვის სამსახურების შესახებ კანონი არეგულირებს შემდეგ საკითხებს: განსაზღვრავს დაზვერვის სამსახურების სტატუსს, კომპეტენტურის სფეროს, მოქმედებას, თანამშრომლობას, ამოცანებს, ანგარიშის წარდგენასა და კონტროლთან დაკავშირებულ ვალიდულებებს. გარდა ამისა, ინფორმაციის გაცნობა და დაზვერვის სამსახურების თანამშრომლების შესახებ დეტალური მონაცემების შენახვა რეგულირდება კანონის მიერ, კანონი არეგულირებს დაზვერვის სამსახურების თანამშრომელთა სტატუსს.
- ▷ აღასრულეთ დაზვერვის სამსახურების პოლიტიკური ნეიტრალობის მონიტორინგი და მათ მიერ პილიტიკური ეთიკის დაცვა დემოკრატიულ ნორმებსა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძელებასთან მიმართებაში.
- ▷ დაზვერვის სამსახურების მეთვალყურეობის საპარლამენტო კომიტეტი უნდა უზრუნველყოფეს დაზვერვის სამსახურების თანამშრომელთა მიერ განათლების მიღებას დემოკრატიულ პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.
- ▷ პარლამენტმა უნდა მიიღოს კნონები, რომლებიც ხელისუფლების სამიერენი შტოს ანიჭებს დამხმარე როლს, რაც შემდგენი მდგრომარეობს:
 - აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს დაზვერვის სამსახურების მიერ პასუხისმგებლობებისა და პილიტიკურების საბოლოო განსაზღვრას;
 - პარლამენტი ახდენს ბიუჯეტის კონტროლს და ახორციელებს მთავრობის მეთვალყურეობას დაზვერვის სამსახურების ფუნქციონირებაში მის როლთან დაკავშირებით; პარლამენტი არ უნდა ჩაირიცხოს დაზვერვით ოპერაციები;
 - სასამართლო ხელისუფლება ერევა მაშინ, როდესაც დაზვერვის სამსახურები არღვევენ კერძო პირების ხელშეუხებლობას; ის იყვლევს, რამდენად მოქმედებს დაზვერვა კანონის ფარგლებში.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

- ▷ პარლამენტის დაზვერვის მეთვალყურეობის კომიტეტი ინფორმირებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაზვერვის პილიტიკის ზოგადი მიმართულებების შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული აქვს შესაბამისი კონსულტაციები.
- ▷ დაზვერვის მეთვალყურე საპარლამენტო კომიტეტი აკონტროლებს დაზვერვის სამსახურების მოქმედების კანონიერებას, იმავდროულ იგი უზრუნველყოფს კონფიდენციალობას.
- ▷ კომიტეტი მონაცილეობას იღებს დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელების დანიშვნაში.

კონფიდენციალობასთან დაკავშირებული საკითხები

- ▷ დარჩენილით, რომ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონები დაზვერვის სამსახურების ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმებია - როგორც პირდაპირი, ასევე ირბი.
- ▷ საიდუმლო ხარჯების შემთხვევაში მათს შესამონმებლად უნდა გამოიყოს სპეციალური აუდიტორები, რათა შენარჩუნდეს წონასწორობა კონფიდენციალობასა და ანგარიშვალდებულებას შორის.
- ▷ უზრუნველყოფით საიდუმლო მასალის გამოქვეყნების პერიოდის დადგენა.

იხ. ასევე თავი 20 ტერორიზმის შესახებ და ნანილი VI ფინანსური რესურსების შესახებ!

თავი 12

სამხედრო და უშიშროების კერძო კომპანიები

სახელმწიფო ძალის გამოყენების ლეგიტიმური მოწოდელისტია. ის უზრუნველყოფს შიდა უსაფრთხოებას და დაცვას გარე საშიშროებებისაგან. თუმცა ბოლო წლებში შიდა კრიზისული ციტების მომრავლებამ ახალი ფენომენი წარმოშვა: უსაფრთხოების ფუნქციების პრივატიზაცია. ზოგიერთი არასახელმწიფო მოქმედი პირი იქცა უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული კონტროლის სერიოზულ გამოწვევად.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან შეიმჩნევა სამხედრო და უსაფრთხოების კერძო ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მომრავლება. მათ დავყოფთ სამ ძირითადად ჯგუფად: დაქირავებულები, კერძო სამხედრო კომპანიები და უშიშროების კერძო ორგანიზაციები. მნიშვნელოვანია, რომ ამ მოქმედი პირების საქმიანობის კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო მექანიზმებით.

სამხედრო და უშიშროების კერძო კომპანიების ფუნქციები და მათგან მომდინარე საფრთხეები

სამხედრო და უშიშროების კერძო კომპანიების შექმნა, ძირითადად, პოსტკონფლიქტურ და ე.წ. არშემდგარ სახელმწიფოებში ხდება. მიზნი მდგრადრობს შემდგები: სამხედრო წვრთნისა და სიძლიერის ნაკლებობა, სახელმწიფოს ყველა მოქალაქის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მხრიდან ძალის გამოყენების ლეგიტიმურობისა და დემოკრატიული კონტროლის განხორციელების მიმართ გულგრილობა.

ამგვარ სიტუაციებში, კერძო სამხედრო/უსაფრთხოების კომპანიების გამოყენებას თავდაპირველად შესაძლოა პიზიტიური ეფექტი ჰქონდეს. განსაკუთრებით, პროფესიული ჩვევებისა და შესაძლებლობების, ასევე თვითდაჯერების განსამტკიცებლად. თუმცა დემოკრატიზაციის პროცესზე უარყოფითი გავლენა დიდია და მრავალნახავა (იხ. ჩანართი №26).

საჯარო და დემოკრატიული გზით არჩეულმა ინსტიტუტებმა, პირველ რიგში, „მიმღები ქვეყნის“ პარლამენტმა მეთვალყურეობის ეფექტური მექანიზმები უნდა შეიმუშაოს, რაც ითვალისწინებს როგორც სახელმწიფო, ასევე დაქირავებული კომპანიების კომპეტენტურობას.

ჩანართი №26

კერძო უშიშროებისა და სამხედრო კომპანიები და დემოკრატიის ზოგიერთი პოტენციური საფრთხე

- ▷ უშიშროების კერძო მოქმედ პირებს შეუძლიათ გარკვეული სტაბილურობა შეიტანონ ქვეყანაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მთავრობა შიდა კონფლიქტების გადაწყვეტის დროს სამხედრო ძალებს უნდა ენდობოდეს.
- ▷ უცხოელი ექსპერტების დაქირავება მრავალ კითხვას ბადებს. კერძოდ, მათი კონკრეტული სამხედრო მისია და საბიუჯეტო საკითხები: დემორატიული და ეფექტური მთავრობის პერსპექტივიდან გამომდინარე, ამგვარი საკითხები საპარლამენტო და საჯარო დებატების დროს უნდა იქნეს განხილული.
- ▷ ხშირ შემთხვევაში კერძო მოქმედი პირები გარკვეულ ინტერესებს ემსახურებიან ზუსტად განსაზღვრული (ლეგიტიმური) მისიების საფარქვეში.

დაქირავებული ჯარისკაცები

დაქირავებული ჯარისკაცები შედარებით ძველი ფენიმენია. მიმდინარე კონფლიქტებმა აჩვენა, რომ დაქირავებული მემკრეული ჯერ იდუე გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ბარი-ს გენერალური ასაბლეის 1989 წლის 4 დეკემბრის 44/34 რეზოლუციის პირველ მუხლში, რომელიც ნარმალებს „ჯარისკაცების დაქირავებისა, დაფინანსებისა და წერთის შესახებ კონვენციას“, მოცემულია დაქირავებული ჯარისკაცის განმარტება. კონვენცია ძალაში შევიდა 2001 წლის 20 ოქტომბერს. თუმცა დღემდე მთლილი რამდენიმე ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. კონვენცია წარმოადგენს ქერის 1949 წლის კონვენციებს პირველი დამტებითი პროტოკოლს 47-ე მუხლის განმარტების გავრცელებას (განსაკუთრებით ეს, იგი ეხბა იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მთავრობის ჩამოგდებაში, ან სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის საფრთხეს წარმოადგენებს):

„მუხლი 1 - მოცემული კონვენციის მიხედვით,

1. დაქირავებული არის პიროვნება, რომელიც: (ა) მონაწილეობას იღებს შეიარაღებულ კონფლიქტის/ბრძოლაში ქვეყნის შეგნით ან ქვეყნის გარეთ; (ბ) მესამე პარის კერძო ინტერესები-დან გამომდინარე, ხდება ძალადობის მონაწილე, რის სანაცვლოდაც მას უხდიან კომენსაციას, რაც შეესაბამება მოცემული ქვეყნის შეიაღებულ ძალებით მყოფთა ანაზღაურებას არაგებისა და ფუნქციების გადანაწილების მიხედვით; (გ) არ არის დაქირავებული მხარის თანამებამულება, არც კონფლიქტში მონაწილე მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის რეზიდენტი; (დ) არ წარმოადგენს კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების წევრს; (ე) არ წარმოადგენს შეარაღებულ ძალების წევრს და არ არის გაგზავნილი ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად იმ ქვეყნის მიერ, რომელიც არ არის კონფლიქტის მონაწილე მხარე.
2. დაქირავებული არის აგრეთვე ის პიროვნება, რომელიც ნებისმიერ სხვა სიტუაციაში: (ა) რომლის დაქირავებაც ხდება ქვეყნის შეგნით ან გარეთ ძალადობის აქტში მონაწილეობის მისაღებად შემდეგი მიზნებისათვის: (i) მთავრობის ჩამოგდება ან სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის დაგრძელება; (ii) სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დანგრევა სხვა ვითარებაში; (ბ) მოტივირებულია გარკვეული კერძო ინტერესებით და ამის სანაცვლოდ იღებს კომენსაციას; (გ) არ წარმოადგენს იმ ქვეყნის ტერიტორიული მიერ კონტროლირებული და ამგვარი კერძო მოქმედების მიხედვით, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზეც აგრძელის აქტი უნდა განახორციელოს; (დ) არ არის წარმოადგენილი ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად; და (ე) არ წარმოადგენს იმ

სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრს, რომლის ტერიტორიაზეც აგრესის აქტი ხორციელდება.“

საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, სერიოზულ კანონდარღვევას ჩადის ის ადამიანი, რომელიც ქიანაბს, იყენებს, ავინანსებს ან წერთნის დაქიანებულ მეომრებს, ან განზრაული აქს ამგვარი ქმედების ჩადას, ან დახმარებას უწევს ამგვარი ქმედების ან მცდელობის განხორციელებას. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მთავრობა უცხოელ სამხედრო ექსპრტებს საგანგებო ამოცანების შესასრულებლად ქრისტიანული თვითმფრინავების პილოტები, ანტიტერორისტული ოპერაციის მიზნებისათვის და ა.შ.).

ბავრო-ს ადამიანის უფლებების კომისიის დაქიანებული მეომრების საკითხების სპეციალური მომსხერებელი იძლევა რეკომენდაციას, რომ „განერალურმა ასამბლეამ ხელახლა უნდა მოსთხოვოს იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოუხდებით აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, დაჩქარონ ეს პროცესი. ასევე საჭიროა სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის გადახედვა კონვენციის კანონებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.“ (პარ.70)

კერძო სამხედრო კომპანიები

კერძო სამხედრო კომპანიები წარმოადგენენ „დაქიანებული მეპროლების“ თანამდებობების კორპორატიულ ტიპს. ამგვარი ორგანიზაციები მუშაობენ მატერიალური დაინტერესებისათვის, რაც გულისმრობას სამხედრო სამსახურის განევას, წერთნას, საპროლო ან არასაპროლო როლების შესრულებას. სამსროლებელი თვალსაზრისით, ამგვარი ორგანიზაცია, გარკვეული გაებით, „დაქიანებულ დალებს“ არ წარმოადგენს. მასში გაერთიანებული არიან გადამდგარი, ვატერანი სამხედროები, რომელებიც არ არიან აქტიურად ჩართული უშიშროების ძალებში. კერძო, სამხედრო კომპანიები სთავაზობენ სხვადასხვა სახის სამსახურს, რაც გამოიხატება ბრძოლაში, ოპერატორულ სამსახურში, კონსულტაციების მიცემიში, წერთაში, შეიარაღების შესყიდვაში, დაზვერვის მასალების შეგროვებაში, ტყვევების გათავისუფლებაში და ა.შ. მიუვედავად მათ მიერ განეული სამსახურისა, მათი საერთო დამასახასითებელი ნიშანი არის ის, რომ კონფლიქტურ ან პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში ისინი მთავრობის მოთხოვნით მოქმედებენ.

კერძო სამხედრო კომპანიის მაგალითია ამერიკული MPRI. აღნიშნული კომპანია მუშაობს თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც მოიცავს იძულებითი მექანიზმების კომპეტენციას, ლიდერობის განვითარებას. იგი შეექმნა 1988 წელს სამხედროების მიერ და მას დღესაც გადამდგარი ოფიციელი ხელმძღვანელობენ.

უსაფრთხოების კერძო კომპანიები

უსაფრთხოების კერძო კომპანიები ბიზნესისა და საკუთრების დაცვას ახორციელებენ, ამით კი დანაშაულის წინააღმდეგ არიან მიმართული. ზოგადად, უშიშროების კერძო კომპანიები ყველგან არსებობს, თუმცა უახლოემა ტერორიზმება აჩვენებს, რომ დღეს განსაუკრძალით მომრავლდნენ. განსაუკრძალით კონფლიქტის ზონებში, სადაც ბიზნესი მეტ დაცვას საჭიროებს და სახელმწიფოს მიერ გამოიყენებული დაცვა საქმიანობისა არ არის. ამგვარი ორგანიზაციების მიზანი უფრო საკუთრებისა და პროცედურების დაცვაა, ვიდრე კონფლიქტში ჩარჩევა. პრაქტიკაში ხდება ისეც, რომ ეს ორგანიზაციები ითავსებენ სამხედრო ფუნქციასაც. ამით კი სამხედრო და უსაფრთხოების კერძო კომპანიებს შორის ზღვარი ბუნდოვანდება.

უშიშროების კერძო მოქმედი პირების მნიშვნელობის ზრდამ და გაერცელებამ დღის წესრიგში დააყენა დემოკრატიული ინსტიტუტების, მაგ., პარლამენტის მხრიდან მათზე კონტროლისა და მეთვალყურეობის აუცილებლობა. სხვაგვარად საფრთხის წინაშე დგება ძირითადი დემოკრატიული პრინციპები.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

კანონმდებლობა

- ▷ დაადგინეთ, არის თუ არა თქვენი სახელმწიფო 1989 წლის საერთაშორისო კონვენციის წევრი, რომელიც დაქირვებულების აყვანას, გმირებების, დაფინანსებასა და წვრთნას ეხება; ასევე, არსებობს თუ არა ამ კონვენციასთან შესაბამისობაში სათანადო კანონმდებლობა.
- ▷ შეამოწმეთ, არის თუ არა მოქმედებაში უსაფრთხოებისა და სამხედრო კომპანიების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩო.

ნორმებისა და შეიარაღებაზე ემბარგოს დაცვა

- ▷ თუ თქვენი ქვეყანაში შექმნილი სამხედრო და უსაფრთხოების კერძო კომპანიები საზღვარგარეთ კონფლიქტურ ზონებში მოქმედებენ, თქვენ უნდა უზრუნველყოთ მათი საქმიანობის კანონირების დადგენა და, გარდა მისა, თქვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიასთან, ასევე საერთაშორისო ნორმებთან მათი მოქმედების შესაბამისობაში მოიყვანა.
- ▷ კანონი უნდა უზრუნველყოფდეს სამხედრო და უსაფრთხოების კერძო კომპანიების საქმიანობის აკრძალვას მი ქვეყნებში, რომელებშიც შეიარაღებაზე ემბარგო მოქმედებს.

გამჭვირვალობა

- ▷ დარწმუნდით, რომ არცერთი უცხოური კომპანია პარლამენტთან შეთანხმების გარეშე არ ეწევა საქმიანობას თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.
- ▷ უზრუნველყოთ, რომ სამხედრო და უსაფრთხოების კერძო კომპანიების ბიუჯეტის მეთვალყურეობას ახორციელებდეს პარლამენტი.

ანგარიშვალდებულება

- ▷ უზრუნველყავით, რომ პარლამენტი აწვდიდეს ინფორმაციას მთავრობას სამხედრო და უსაფრთხოების კერძო კომპანიების საქმიანობის შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

ნაწილი IV

ეროვნული უსაფრთხოების
საპარლამენტო კონტროლი:

პირობები და მექანიზმები

ეფექტური საპარლამენტო კონტროლის პირობები

პარლამენტის მიერ უსაფრთხოების სფეროზე კონტროლი დამტკიცებულია იმაზე, თუ ძალაუფლების რა დონეს ფლობს პარლამენტი მთავრობასა და უსაფრთხოების სამსახურებთან შედარებით. ამ კონტექსტში გავლენა ნიშნავს მთავრობის არჩევანზე ზემოქმედებასა და ხალხის წესიდან გამომდინარე ქმედებას. ასევე მოიაზრება პოლიტიკის იმპლემენტაციის, კონომდებლობის, გადაწყვეტილებებისა და პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მეთვლებურობა. გვილენა გამომდინარების არა მარტო კონსტიტუციიდან და კანონებიდან, არამედ საპარლამენტო პროცედურებიდან და ტრადიციებიდან.

უსაფრთხოების სექტორზე ეფექტური საპარლამენტო კონტროლი მოიცავს:

- ✓ კონსტიტუციური და სამართლებრივი უფლებამოსილებების ნათლად განსაზღვრას;
- ✓ საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდებს;
- ✓ რესურსებსა და კომპეტენციას;
- ✓ პოლიტიკურ წებას.

კონსტიტუციური და სამართლებრივი უფლებამოსილებები

კონსტიტუცია (ან მისი შესაბამისი დოკუმენტი) უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის საპარლამენტო ბაზას წარმოადგენს. კონსტიტუციები ერთმანეთისაგან განსხვადებიან ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური მემკვიდრეობით. კონსტიტუციების უმეტესობა ადგენს, რომ:

- ✓ აღმასრულებელი ხელისუფლება (პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი ან თავდაცვის მინისტრი) პასუხისმგებელია უსაფრთხოების სექტორზე;
- ✓ აღმასრულებელი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

რადგან კონსტიტუციურ დადგენილებებს უმაღლესი სამართლებრივი სტატუსი აქვთ, მნიშვნელოვანია, კონსტიტუციაში განისაზღვროს უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებული საპარლამენტო უფლებამოსილებები. კონსტიტუციის შეცვლა ადვილად არ ხდება; ამგვარ პროცედურას პარლამენტში კვალიფიცირებული უმრავლესობა ესაჭირობა. შესაბამისად, კონსტიტუცია აღნიშნულ სფეროში პარლამენტის უფლებამოსილებების რეალიზება სპეციალური კანონებითა და პარლამენტის პროცედურული წესებით ხორციელდება. გარდა ამისა, იხვეწება საპარლამენტო კონტროლისა და ანგარიშვალდებულების სოციალური წირმები და პრაქტიკა.

ჩანართი №27 აჩვენებს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის უფლებამოსილებათა ფართო სპექტრს. ამ უფლებამოსილებათა უმეტესობა განხილული იქნება შემდეგ თავებში.

ჩანართი №27

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო დემოკრატიული კონტროლისათვის

1. საერთო უფლებამოსილებები

- ა. საერთო უფლებამოსილებები
- ბ. კანონების შესწორება ან შეცვლა
- გ. აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის კითხვების დასმა
- დ. აღმასრულებელი ხელისუფლების წერტილის მოწვევა პარლამენტის სხდომებზე
- ე. სამსახურის პროცესისა და სამოქალაქო მოსამსახურების მოწვევა პარლამენტის სხდომებზე
- ვ. სამოქალაქო ექსპერტების მოწვევა პარლამენტის სხდომებზე
- ზ. აღმასრულებელი ხელისუფლებიდან დოკუმენტების გამოთხოვა
- თ. საპარლამენტო გამოძიების ჩატარება
- ი. მოსმენების ჩატარება.

2. ბიუჯეტის კონტროლი

- ა. ბიუჯეტის ყველა დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა
- ბ. უსაფრთხოების ბიუჯეტის ფონდების გადახედვისა და შესწორების უფლება
- გ. საბიუჯეტო კონტროლი ხორციელდება პროგრამების, პროექტებისა და ბიუჯეტების მუხლობრივ დონეზე
- დ. თავდაცვისა და უსაფრთხოების ნებისმიერი დამატებითი საბიუჯეტო წინადადების დამტკიცება ან უარყოფა.

სამშეიდლო ოპერაციები საზღვარგარეთ: პარლამენტის უფლება – უარყოს ან დაამტკიცოს

- ა. ჯარების საზღვარგარეთ გაგზავნამდე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა
- ბ. მისისი მანდატი, გამორი-ს მანდატის უზრუნველყოფა
- გ. მისისი ბიუჯეტი
- დ. სამხედრო პერსონალის რისკურსი
- ე. ბრძოლის წესი
- ვ. ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაქვემდებარების სისტემა
- ზ. მისის სანგრძლელობა
- თ. მისიაში მყოფი ჯარების მონახულების უფლება.

4. შესყიდვები

- ა. აღმასრულებელი ხელისუფლების მოვალეობაა, პარლამენტის მიაწოდოს ინფორმაცია შესყიდვების თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ
- ბ. კონტრაქტების დამტკიცების ან უარყოფის უფლება
- გ. შესყიდვების შემდეგი ფაზების გადახედვა
 - i. ასალი შეარალიბის საჭიროება
 - ii. მწარმოებლის შერჩევა-შედარება
 - iii. კომპენსაციები

5. თავდაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი პოლიტიკა: დამტკიცებისა და უარყოფის უფლება

- ა. უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეფცია
- ბ. კრიზისების მენეჯმენტის კონცეფცია
- გ. ძალების სტრუქტურა
- დ. სამხედრო სტრატეგია/დოქტრინა

6. თავდაცვისა და უსაფრთხოების შემადგენლობა

- ა. პემადგენლობის გეგმის დამტკიცების ან უარყოფის უფლება
- ბ. შემადგენლობის რაოდენობის დაფიქსირება
- გ. უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე დანიშნენის დროს კონსულტაციის ან დამტკიცება/ უარყოფის უფლება

საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები

კანონი არ არეგულირებს ყველა სახის მიქემდებას ან ურთიერთობას. მინშელოვანია საპარლამენტო კონტროლის გარევალი ჩვევებისა და პრაქტიკის დახვენა, რომელიც ეფუძნება სოციალურ ნორმებს, როგორებიცა ორმხრივი პატივისცემა და ნდობა. მაგალითად, პარლამენტის ჩართვას უსაფრთხოების სექტორის ახალ მიმართულებებში, გარდა გამჭვირვალობისა და სამართლებრივი ანგარიშვალდებულებისა, ხალხთან დიალოგის ფუნქციაც აქვთ.

რესურსები და კომპეტენტურობა

ზოგადად, პარლამენტის უფლებამოსილებაა, განახორციელოს კონტროლი უსაფრთხოების სექტორზე მის ხელთ არსებული კომპეტენციისა და ინფორმაციის მიხედვით, ასეთივე განმსაზღვრელია დროის ფაქტორი.

დროის ფაქტორი

მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა მიიღოს დროული ინფორმაცია უსაფრთხოების სექტორისა და უსაფრთხოების საკითხების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილებების შესახებ. პარლამენტის პრიციპი შესუსტდება, თუ მთავრობა მას მიავდის ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამგარ ვითარებაში პარლამენტი ფაქტის წინაშე აღმოჩნდება და აღარ დარჩება სხვა აღტერნატივა, გარდა მთავრობის გადაწყვეტილების დამტკიცებისა ან უარყოფისა.

ეროვნული კრიზისისა ან საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობამ ძალიან სწრაფად უნდა იმქომედოს, ამიტომ პარლამენტს ინფორმაცია მიეწოდება პოსტფაქტუმ, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს პარლამენტის დამტკიცების გარეშე შედებას.

რეგულარული და გრძელვადიანი საკითხები, როგორებიცაა თავდაცვის ბიუჯეტი, შეიარაღების შესყიდვა ან თავდაცვის პოლიტიკის გაძლიერება, საშუალებას იძლევა, ანალიზსა და დებატებში მეტი დრო იქნება გამოყენებული.

პარლამენტარები მუშაობისა და განვიცხავთ დროის ნაკლებობას, ამის დასაძლევად მათ უნდა მიმართონ პროექტიურ სტრატეგიას. ჩანართი №28 გვთავაზობს უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის პროექტიური სტრატეგიის რამდენიმე ელემენტს.

ჩანართი № 28

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის პროექტიური სტრატეგია

პარლამენტარების საქმიანობა ხშირად დღის სიახლეებით არის განპირობებული. უფრო ხშირად კი მათი დღის წესრიგი განისაზღვრება მთავრობის მიერ. დროის შეზღუდულობის დაძლევის ეფექტური გზაა საპარლამენტო კონტროლის პროექტიური სტრატეგიის დახვენა. უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებით ამგვარი სტრატეგია გულისხმობს შემდეგს:

დღის წესრიგის შემუშავება: პარლამენტარები უნდა შეეცადონ, ხალხის მოთხოვნები და საჭიროებები პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენონ.



უკანასკნელი მოვლენები: პარლამენტის გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, თუ რა ხდება ქვეყნის შეინით და საერთაშორისო არხნაზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით. ამის განხორციელება კი შესაძლებელია არა სამთავრობო არხებით, არამედ არასამავრობო ორგანიზაციების საშუალებით, როგორებიცაა უნივერსიტეტები და ანალიტიკური ცენტრები (Think Tank).

წარსულის გამოცდილება: პარლამენტის უნდა გაითვალისწინოს უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლით გამოცდილება, გამოცდილების გაზიარება პერიოდული განხილვების საშუალებით ხდება.

განხილვების გარდელება: უსაფრთხოების პოლიტიკის განახლებისას პარლამენტის უნდა მისათხოვოს მთავრობას, გაითვალისწინოს მიმდინარე პროცესები და არსებული გამოცდილება.

ინფორმაცია, კომპეტენცია და პარლამენტის თანამშრომლები

უსაფრთხოების სექტორზე უფერდური საპარლამენტო კონტროლი მეტ კომპეტენციასა და რესურსს მოითხოვს. თუმცა პარლამენტის ხელო არსებული კომპეტენცია განსხვავდება მთავრობისა და უსაფრთხოების ძალების კომპეტენციისაგან. უმეტეს შემთხვევებში პარლამენტის ნაკლები მცვლევარები ჰყავს, აქედან გამომდინარე, იძულებულია დაუყრდნოს თავდაცვის მინისტრისა და უსაფრთხოების სფეროს სხვა სამინისტროების კვლევითი ცენტრების მოხსენებებს. ზოგიერთ პარლამენტში, მაგალითად, არგენტინის კონგრეში, არსებობს სამხედრო ნაწილის ოფისი, რომელიც მუდმივად უწევს კონსულტაციებს პარლამენტარებს, აძლევს მათ ჩრენას. აღნიშნული სამსახური მჭიდროდ მუშაობს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებთან. გარდა ამისა, პარლამენტარები შეზღუდული დროით არიან არჩიული, ხოლო თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო კადრები მაულ ცხოვრებას სამინიტროში ატარებენ. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ პარლამენტარები ეყრდნობან მთავრობისა და სამხედროების ინფორმაციას, რომლის კონტროლიც თვითონ უნდა განახორციელონ. ეს კი პარლამენტარებისათვის არამოგებიან პოზიციას ქმნის მთავრობისა და სამხედროების წინაშე. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ უსაფრთხოების სექტორი დასურული ტიპის ორგანიზაციების ერთობლიობაა, რაც გამომდინარეობს სამხედრო, კულტურული, საკანგანათლებლო და საიდუმლოების შესახებ კანონებიდან.

ჩანართი №29 გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გაიზარდოს პარლამენტართა კომპეტენცია უსაფრთხოების საკითხებში.

ჩანართი №29

უსაფრთხოების საკითხებში პარლამენტის კომპეტენციის შეძენის მექანიზმები და პრაქტიკა: ზოგიერთი შეთავაზება

- ▷ შეიქმნას თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე ორიენტირებული საპარლამენტო კომიტეტი (თუ კი ის ჯერ კიდევ არ არსებობს), პარლამენტის შეუძლია, თავდაცვის კომიტეტი ცალკე – შესყიდვების, საკადრო საკითხების, სამიუჯეტო და სამშვიდობო მისიების – კვეკომიტეტებად დაპყოლ.
- ▷ დაქსწროს ეროვნულ და საერთაშორისო სეიმინარებს, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო ტურებში, მონაბეჭდობის უსაფრთხოების სამსახურების პანსიონები (იხ. თავი 11 – საილუსტრო და დაზვერების სამსახურები) და დასწროვს პარლამენტარებისათვის გამართულ ტრეინინგებს. ამან შედის იმ პარლამენტარებისათვის გამართულ ინსტრუქტაჟი, რომლებიც ეროვნულ სამშვიდობო მისიებს სტუმრობენ საზღვარგარეთ.



- ▷ გაუზიაროს გამოცდილება სხვა ქვეყნის პარლამენტარებს, მაგ., საერთაშორისო საპარლამენტო ასაბჭოებზე;
- ▷ ჰყავდეს გამოცდილი და საქართვის რაოდენობის პროფესიული საპარლამენტო აპარატი;
- ▷ უზრუნველყოს დაშვება სპეციალიზებულ, განახლებად ბიბლიოთეკებსა და დოკუმენტაციების/კვლევით ცენტრებთან თავისი ელექტრონული მონაცემთა ბაზით;
- ▷ მიიღოს რჩევები არასამთავრობო ორგანიზაციების (უნივერსიტეტები, Think-tank-ები) უცხოული ექსპერტებისაგან ან გადამდგარი სამხედრო ოფიცრებისაგან (იხ. თავი 6, სამოქალაქო საზოგადოების შესახებ);
- ▷ გახადოს პარლამენტარებისათვის ხელმისაწვდომი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებები ეროვნულ ენგაზე რატიფიკაციის სტატუსითა და შესაბამისი დოკუმენტაციით;
- ▷ ყოველწლიურად ამოირჩიოს უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებული 2 ან 3 საკითხი, რომლებიც იქნება გამოკლეული ყოველმრთველი;
- ▷ შექმნას ყველა პარტიიდან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში კომბეტენტური პარლამენტარებისაგან ჯგუფი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს Think-tank-ის როლი.

პოლიტიკური ნება

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საპარლამენტო კონტროლი წუნდაუდებელია და პარლამენტს აქვს საქართვის რესურსები და კიმიტენტცია, რათა განიხილოს აღნიშნული საკითხები, უსაფრთხოების სექტორზე ეფექტური საპარლამენტო კონტროლი ვერ დამყარდება. უკანასკნელ ელემენტი კი პარლამენტართა პოლიტიკური ნება, გამოიყენონ მათს განკიცეულებაში მყოფი ყველა მექანიზმი და საშუალება, უმნიშვნელოვანესი პირბაბა უსაფრთხოების სექტორის ეფექტური საპარლამენტო მეთვალყურეობისათვის. პოლიტიკური ნების ნაკლებობა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის:

- ✓ პარტიული დისციპლინა: მმართველი პარტიის პარლამენტარების ინტერესს წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების შენარჩუნება, შესაბამისად ისინი თავს იკავებენ აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო კრიტიკისაგან.
- ✓ ამომრჩევლის ინტერესი/ინტერესის ნაკლებობა: ბევრ ქვეყანაში ხალხი არ არის დაინტერესებული უსაფრთხოების საკითხებით. ასევე, ბევრი პარლამენტარი ფიქრობს, რომ მათ დრო არ უნდა დახარჯონ უსაფრთხოების საკითხებზე.
- ✓ დაზვერვის კომიტეტების წევრ პარლამენტარებს არა აქვთ ინფორმაციის გაცემის უფლება.

ამგვარი ვითარების შედეგად საპარლამენტო ინსტრუმენტები პასიურად გამოიყენება აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკისა და მოქმედების კონტროლის დროს, გარდა საგანგებო სიტუაციებისა და სკანდალებისა. თუმცა ყოველი პარლამენტარის კონსტიტუციური მოვალეობა და მნიშვნელოვანი ამოცანაა აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკული შეფასება და კონტროლი.

უსაფრთხოების სექტორში გამოყენებული საპარლამენტო მექანიზმები

ყველა სამართლებრივი სისტემა პარლამენტს უზრუნველყოფს კონტროლის, ზედამხედველობის, ადმინისტრირების, ადამიანის უფლებების დაცვის, დარღვევებისა და უსამართლობის გამოვლენის მრავალმხრივი საშუალებებით. გარდა ამისა, პარლამენტს თვითონ შეუძლია ამ სფეროში განავითაროს არაფორმალური პრაქტიკა და მეთოდები, რაც დაემატება კონსტიტუციურ თუ სამართლებრივ ინსტრუმენტებისა და სპეციალურებების.

მთავრობისაგან ინფორმაციის მისაღებად პარლამენტი იყენებს სამ ძირითად სამართლებრივ შესაძლებლობას:

- ✓ საპარლამენტო დებატებს;
- ✓ საპარლამენტო კითხვებსა და ინტერპელაციას;
- ✓ საპარლამენტო გამოძიებას.

საპარლამენტო დებატები უსაფრთხოების საკითხებზე

უსაფრთხოების საკითხებზე საპარლამენტო დებატები აზრთა გაცელისა და მთავრობის მიზნების შესახებ არსებოთი ფაქტებისა და ინფორმაციის შეგროვების საუკეთესო შესაძლებლობაა. ზოგადად, უსაფრთხოების პოლიტიკასა და საკითხებზე საპარლამენტო დებატები ხუთი ტიპის ვითარებაში იმართება:

- ✓ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ თავდაცვის ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტის წარდგენისთანავე;
- ✓ შესაბამის მინისტრების, როგორებიცაა თავდაცვის ან საგარეო საქმეთა მინისტრი, ოფიციალური ან არაფიციალური განცხადების შედევად;
- ✓ თავდაცვის საკითხების მიმოხილვა, თავდაცვის თეორი წიგნის ან სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი ეროვნული თავდაცვის დოკუმენტის წარდგენისათვან დაკავშირებით;
- ✓ სამთავრობო პროგრამებთან დაკავშირებით, რომელიც ძირითადად ქვეყნდება არჩევნების შემდეგ;
- ✓ წებისმიერი განსაკუთრებული საკითხის გამო, როგორებიცაა სენატისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები ან კავალერიულების.

ჩანართი №30

აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების საერთო მახასიათებლები

საერთო დებატები

„ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუციური დადგენილებების მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის წინაშე პერიოდულ მოხსენებებს აკეთებს. (. . .) ქვეყნების უმეტესობაში ზოგადი პილიტიკის საკითხები აგტიმატურად არ ხდება პერიოდული განხილვის საგანი. დებატებზე მისი გამოტანა ზოგიერთი ზევრის მიერ საგანგებო სიტუაციაში ხდება (. . .).“

▷ ინტერპელაცია (სადეპუტატო მოთხოვნა)

„(. . .) ინტერპელაცია კლასური საპარლამენტო სისტემის გამოხატულებაა ინფორმაციის მიღების პროცედურებითა და კონტროლის განხორციელებით. ინტერპელაცია მიმართულია რომელიმე მინისტრის ან მთავრობის ხელმძღვანელისადმი და ითვალისწინებს იმის გარკვევას, თუ რა გააკეთა მისმა დეპარტამენტმა ან რა გაკეთდა ზოგადი პოლიტიკის სფეროში. ინტერპელაციას ორი უმთავრესი მახასიათებელი აქვთ: პირველი, განაპირობებს საერთო დებატებს და, მეორე, ინგვეს პოლიტიკურ სანქციას, რადგანაც დებატები კულმინაციურ ფაზაში შედის მაშინ, როდესაც მთავრობის განმარტებები პარლამენტის წევრები ინგვეს კმაყოფილებას ან უქმაყოფილებას. ინტერპელაცია ყველაზე ეფექტური პროცედურაა იმ თვალსაზრისით, რომ მინისტრებს გამოძახება ხდება პირდაპირ ანგარიშისათვის. ეს არ არის, უძრალოდ, ინფორმაციის მიღების მექანიზმი, იგი კონტროლის პირდაპირი ფორმაა (. . .).“

▷ სხდომის შეწყვეტის წინადადება

„ბრიტანულ სისტემაში ინტერპელაცია არ არის ცნობილი. „Adjournment motion“ (სხდომის შეწყვეტის წინადადება) დიდად არ განსხვავდება ინტერპელაციისგან. სხდომაზე შესვენების დრწყებამდე იგი საშუალებას იძლევა, მთავრობის წინაშე რიგი მნიშვნელოვანი საკითხები წამოიჭრას, ლონდონ ხმის მიცემის პროცედურის გარეშე (. . .).“

▷ კითხვები

„კითხვების დასმის პროცედურის მიზანია, გამოავლინოს კონკრეტული ინფორმაცია ადგინისტრაციისაგან, მოთხოვოს ჩარევა და, თუ საჭიროა, ძალის გამოყენება და ზარალის ანაზღაურება. კითხვების დასმის პროცედურა, ასევე, გამოიყენება დეტალური ფაქტების მიღებისათვის პარლამენტის წინაშე არსებული რთული კანონმდებლებისა და კანონების აღსაქმებად (. . .). პროცედურა უზრუნველყოფს ოპიზმიციის მიერ მთავრობის სუსტი მსარის გამოვლენას და, საჯაროობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციაზე დადგებითი გავლენა აქვთ. ამ პროცედურის პოპულარიტა მარტინება იმ ფაქტს, რომ კითხვების დასმის უფლების გამოყენებით პარლამენტის წევრი თავისუფალ აგენტია (. . .).“

▷ გამოძიების კომიტეტები: იხ. ჩანართი №32

წყარო: Parliaments, by Michel Ameller, Inter-Parliamentary Union, 1966

უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საპარლამენტო კითხვები და ინტერპელაცია

კითხვები, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით, პარლამენტის ინკვიზიციურ ფუნქციას აყალიბებს და წარმოადგენს მთავრობის ქმედებებზე კონტროლის ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებულ პროცედურას.

კითხვები უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის მნიშვნელოვანი საშუალებაა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საპარლამენტო კითხვები:

- ✓ უზრუნველყოფს პარლამენტის წევრების მიერ დროული, ზუსტი და განახლებული ინფორმაციის მიღებას მთავრობის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და, ზოგადად, უსაფრთხოების საკითხების შესახებ;
- ✓ პარლამენტს ეხმარება უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული კანონების მიღებაში;
- ✓ უზრუნველყოფს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ საზოგადოებრივი ყურადღების ზრდას, განსაკუთრებით, როდესაც კითხვა ზეპრია და პასუხი ტელევიზით გადაცემას (საპარლამენტო კითხვები არ იზლუდება მხოლოდ პარლამენტით, კითხვების მიზანია ფართო აუდიტორიას - მედიას, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას - მანამდებოს ამომწურავი ინფორმაცია);
- ✓ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გავლენის ან რეორიენტაციის იმსტრუმენტად მთავრობის დღის წესრიგში უსაფრთხოების საკითხებზე;
- ✓ ოპოზიციას აძლევს საშუალებას, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით წამოწიოს მისთვის საინტერესო საკითხები და მიიღოს დამაკამაყოფილებული ინფორმაცია.
- ✓ უსაფრთხოების სექტორის შესახებ საპარლამენტო კითხვები მეტად მრავალმხრივია. მინისტრებს, რომლებმაც პასუხი უნდა გასცემ კითხებს, ხშირად ამის სურვილი არ გაჩინიათ. მეგვრი დამოკიდებულება უსაფრთხოების სექტორის საქმიანობის კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარეობს. ხშირად ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტები დახურულია და არც პარლამენტარებსა და არც საზოგადოებას მათი გაცნობის შესაძლებლობა არა აქვს.

ჩანართი №31

ეფექტური გამოკითხვა

- ▷ **მომზადება:** შეუძლებელია იმპროვიზაცია, როდესაც კითხვები უსაფრთხოების ტექნიკურ საკითხებს ეხება. არაფორმალური კონტაქტები სამხედრო პერსონალთან (ან აღნიშნულ სფეროში მომუშავე პირებთან) მინიჭებულოვან დახმარებას გაგვინევს.
- ▷ **განსაზღვრული, არაორაზროვანი ენა:** კითხვების ფორმულირების დროს სიზუსტის ნაკლებობა გაუგებობას იწვევს, რასაც შეიძლება მოჰყვეს მინისტრის მხრიდან არადეკვატური არადამაკმაყოფილებელი პასუხი.
- ▷ **დროის ფაქტორი:** მნიშვნელოვანია კითხვის დასმის მომენტი.

აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება, საჯაროდ გამოიტანოს დოკუმენტაცია, შეზღუდულია კანონის მიერ. თუმცა დოკუმენტების გახსნის პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს. ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ ვინ არის პასუხისმგებელი გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელი დოკუმენტები უნდა გაიხსნას, კონფიდენციალობის პერიოდი, ასევე დოკუმენტების საიდუმლობრივი შენახვის ან გახსნის პირობები.

როდესაც ინსტიტუციურ კონტექსტს ვეხებით, საპარლამენტო კითხვების დასმის ეფექტურობას განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები:

- ✓ პარლამენტარებს შეუძლიათ დასვან დამატებითი კითხვები, თუ ისინი არ დააკმაყოფილა პასუხმა ან საჭირო იყო მეტი სიზუსტე;
- ✓ პარლამენტარებს შეუძლიათ კითხვების საათზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მოაწყონ დებატები;
- ✓ პარლამენტის წევრების ნება, გარკვეული შედეგი მიიღონ კითხვების დასმით;
- ✓ საზოგადოებას შეუძლია საპარლამენტო კითხვების საათს დაესწროს ან თვალყური ადევნოს რადიოს ან ტელევიზიოს საშუალებით;
- ✓ დებატები საჯაროა და გამოკვეყნებული პასუხები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია.

საპარლამენტო გამოძიება უსაფრთხოების საკითხებზე

გარდა იმისა, რომ პარლამენტარები მონაწილეობენ კანონშემოქმედებით პროცესში, საპარლამენტო კომიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამთავრობო პოლიტიკის ეფექტურ მეთვალყურეობაშიც. მთავრობის საქმიანობის მონიტორინგი დრობითი საინფორმაციო დოკუმენტის საშუალებით ხდება, რომელშიც ერთ კითხეტიზე მეტაცია ჩართული და სანფორმაციო ანგარიშის სახით გამოდის. სპეციალურ საპარლამენტო გამოძიებას სასამართლოზე გამოძახების უფლებამოსილება აქვს.

საგამოძიებო კომიტეტების ძირითადი უპირატესობა და მახასიათებლები

უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხების გათვალისწინებით, დროებით საგამოძიებო კომიტეტებს განსაკუთრებული მიმშვნელობა და უპირატესობები აქვს. კერძოდ:

- ✓ მათი ძირითადი დადგენილებები წარმოადგენს პოზიტიურ პოლიტიკურ სიგნალს;
- ✓ საგამოძიებო კომიტეტები წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებულ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხების შემოწმების ადგევატურ საშუალებას;
- ✓ მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საკითხების ზუსტი შეფასება.

ჩანართი №32

პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტების ძირითადი მახასიათებლები

„(. . .) საგამოძიებო კომიტეტები ფართოდ გამოიყენება სპეციფიკური საკითხების შესასწავლად. ამ მიზნით პარლამენტი ინსტრუქციას აძლევს მის რამდენიმე წევრს, გამოიყენონ კონტროლის მექანიზმები და მოაწყონ დებატებს.

გამოძიების ჩატარების უფლება ბუნებრივად გამომდინარებს იმ პრინციპიდან, რომ პარლამენტი ინფორმირებული უნდა იყოს მთავრობის წებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ.



ზოგიერთ ქვეყანაში საგამოძიებო კომიტეტებს ურთულდებათ გამოძიების ჩატარება. ხშირად მათ არა აქვთ შესაძლებლობა, აიდულონ გარკვეული პირები, რათა ისინი დაესწრონ სასამართლო პროცესს. ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევა იწვევს კომიტეტების მიერ წარმოებული გამოძიების შეჩერებასა და უშედეგობას. მოწმეების დაფიცება გამოძიების საუკეთესო იარაღია (...).

სამოქალაქო პირების მიერ მიცემული ჩვენება განსაკუთრებულ პრობლემას წარმოქმნის, რადგანაც ისინი სამინისტროს თანამშრომლებს წარმოადგენს. საინტერესოა მათი გულ-ნრიცელობა ჩვენების მიცემის დროს. ზოგიერთ ქვეყანაში დეპარტამენტის თანხმობაა საჭირო იმისათვის, რომ წარმოდგენილმა პირმა ჩვენება მისცეს. ზოგიერთ ქვეყანაში ჩვენების მისაცემად აუცილებელია დეპარტამენტის თანხმობა. მაგრამ მან არ უნდა შეიკავოს თავი საჭირო ინფორმაციის მიწოდებისაგან (...).

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ სისტემაში კომიტეტის ფუნქციაა გამოძიების ჩატარება და ფაქტების მოძიება, შემდევ კი პარლამენტში ანგარიშით წარდგომა. პარლამენტმა კი შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანოს (...).

წყარო: Parliaments, by Michel Ameller, Inter-Parliamentary Union, 1966

ამერიკი კომიტეტების შემდეგი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მათი შემადგენლობა. ოპოზიციისა და უმრავლესობის პროპორციული განაწილება, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია.

საგამოძიებო უფლებამოსილებები არსებითად განსხვავდება პარლამენტიდან პარლამენტამდე და კომიტეტიდან კომიტეტამდე, მაგრამ ძირითადი უფლებამოსილებები შესაძლოა შემდეგნარად გამოვყოთ:

- ✓ საპარლამენტო გამოძიების საკითხისა და მასშტაბის შერჩევა;
- ✓ უსაფრთხოების სამსახურების სხვადასხვა შენართოსა და საჯარისო ნაწილის ბაზების მონახულება (ჩ. თავი 17);
- ✓ ყველა შესაბამისი ინფორმაციის, პრეზიდენტის აპარატის, სამთავრობო ადმინისტრაციის ან გენერალური შტაბისაგან საიდუმლო დოკუმენტების შეგროვება;
- ✓ პრეზიდენტის, აპარატის, სამთავრობო ადმინისტრაციის, სამხედროების ან სამოქალაქო საზოგადოების წევრების მიერ ჩვენების მიცემის წინ ფიცის დადება;
- ✓ საჯარო ან დახურული მოსმენების ორგანიზება.

ჩანართი №33 გვიჩვენებს კანადის პარლამენტის გამოძიებას კანადის ჯარების სომალიში განლაგების შესახებ.

ჩანართი №33

საგამოძიებო კომისია კანადის ჯარების სომალიში განლაგების შესახებ: უსაფრთხოების საკითხების შესახებ საპარლამენტო მოხსენების საზოგადოებაზე ზეგავლენის ილუსტრირება

1993 წელს კანადის ჯარები სომალიში განლაგდა. იქ განვითარებულმა მოვლენებმა კანადელების შეძრნულება გამოიწვა. კანადური ნაწილოდან, სადაც სამხედრო ტყვეები იყვნენ განთავსებული, გაიქცა სომალელი ახალგაზრდა. მას სცემა კანადის საპარლო დესანტის პოლკის ორმა ჯარისკაცმა, რასაც ახალგაზრდის დაღუპვა მოჰყვა, თუმცა ფაქტები მიმჩქმალა. ვიდეოკასეტებმა, რომლებზეც დაფიქსირებული იყო კანადული ჯარისკაცების ქმედება, ნათელი მოჰყვნეს სინამდვილეს. მთავრობამ გამოძიების სამხედრო საძროს მიერ ჩატარებული გამოძიება არადამაკაყაფოლებლად გამოაცხადა, რადგანაც ის კანადაში აღიარებულ საჯარო ანგარიშვალდებულების სტანდარტებს არ პასუხობდა, კანადის პარლამენტმა აღნიშნულ საქმეზე ღია საჯარო გამოძიება დაწიშნა.

სივრცე და გავლენა - საგამოძიებო აქტს აქვს სასამართლოზე გამოძახების, ჩვენების მოსმენის, ექსპერტებისა და მრჩეველების მოწვევის, ჩვენებების შეფასების უფლებამოსილება. მტკიცებულების მოთხოვნის უფლებამოსილებამ გამოაცხავა ის, თუ რა მოხდა სომალიში და ეროვნული თავდაცვის შტაბინაში. 116 მოწმემ ტელევიზიით მისცა ჩვენება, გადაცემა მთელ კანადში გადაიცემდო. ეს ყოველივე არ შემოიფარგლა მარტო სომალიში მოშხდარი ამბებით, მან მოიცავ კანადის მთელი თავდაცვის სისტემის ჯაჭვი, ხელმძღვანელობა, დისციპლინა, კანადის ჯარების ოპერაციები, ასევე თავდაცვის დეპარტამენტის მოქმედებები და გადაწყვეტილებები. კომპეტენციის მეორე ნაწილი მიეღოვა სომალიში კანადის ჯარების განლაგებამდე, განლაგების პერიოდისა და განლაგების შემდგომი პერიოდის განხილვას.

სასამართლო არ არის - გამოძიება სასამართლო არ არის, მოსმენები სისტემის ეფექტურობის განხილვას ეძღვება და არა ცალკეული ინდივიდების საქმიანობის შეფასებას, თუმცა სწორედ ცალკეული პიროვნებების ქმედებების ანალიზი განაპირობებს ინსტიტუციური პრობლემების განსაზღვრას.

შედეგები - ორწლიანი სამუშაოს შედეგები აისახა გრძელ მოხსენებაში, რომელიც ეძღვნებოდა შემდეგ საკითხებს: სომალის ოპერაციის დროს კანადის ჯარებისა და ეროვნული თავდაცვის დეპარტამენტის სტრუქტურა და ორგანიზაცია, კანადის სამხედრო სფეროში ხელმძღვანელობის ჯაჭვი, სამხედრო კულტურისა და ეთიკის განხილვა, კანადაში სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და ა.შ. ყოველივე ეს დასრულდა მთავრობასა და კანადის შეიარაღებულ ჯარებში მნიშვნელოვანი ცვლილებებით. ბევრი ამ რეკომენდაციათაგანი დღეს-დღეობით რეალიზების სტადიაშია.

წყარო: Prof Dr. Donna Winslow
Technical Adviser to the Canadian Parliamentary Inquiry, 1996.

პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი

უსაფრთხოების სექტორის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კარგად გაწვითარებული საპარლამენტო კომიტეტის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ხელისუფლებაზე რეალური კანგრესოლის განსახორციელებლად. უსაფრთხოების სექტორშე საპარლამენტო კონტროლი მხოლოდ ერთი კომიტეტის მიერ არ ხორციელდება, მასში ჩართულია რამდენიმე კომიტეტი, კომიტეტებს სხვადასხვა სახელმძღვანელოს აქვთ სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტში (ზშირდ მათი მანდატი კომიტეტის მიერ არ ხორციელდება).

- ✓ თავდაცვის კომიტეტი (შეიარაღებული ძალების ან ეროვნული თავდაცვის კომიტეტი, უსაფრთხოების ან საქმეთა კომიტეტი) უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწევა (მაგალითად, მისიერი, ორგანიზაციები, შემადგენლობა, სამხედრო სფეროს ფინანსირება, განვევა და შესყიდვები);
- ✓ საგარეო საქმეთა კომიტეტის კომპეტენციაში შედის საგარეო სამშვიდობო მისიერში მინანილების შესახებ გარეველი დასკენების გაეტყობა ან უციო ქვეყნის ჯარების განაღვება საკუთარ ტერიტორიაზე, საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო/რეგიონული ორგანიზაციები, ხელშეკრულებები და გალდებულებები;
- ✓ საბიუჯეტო ან სამინისტრო კომიტეტი, რომელიც საბოლოო სიტყვის ამბობს უსაფრთხოების სექტორის დაფინანსების შესახებ; ასევე, საჯარო ანგარიშების კომიტეტი, რომელიც განიხილავს ეროვნული ბიუჯეტის აუდიტორულ მოხსენებებს, მათ შორის თავდაცვის ბიუჯეტს;
- ✓ დაზვერვის სამსახურის კომიტეტი ან ქვეეკისამიტეტი, რომელიც იკრიბება დაზურულ კარს მიღმა;
- ✓ მრეწველობისა და ვაჭრობის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია შეიარაღების შესყიდვაზე ან ვაჭრობაზე (კომპნენსაცია და განაღლება);
- ✓ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტი (სამხედრო საკითხების კვლევა და განვითარება);
- ✓ შინაგან საქმეთა კომიტეტი უძლვება შემდევ უწყებებს: პოლიციას, საზღვრის დაცვას, გასამხედროებულ ორგანიზაციებს.

უფლებამოსილებები და საშუალებები

საპარლამენტო კომიტეტების მიერ გარე წყაროებიდან ჩვენების შეგროვებისა და მიღების უფლება-მოსილება ყველა ქვეყნის პარლამენტში განსხვავებულია. ზოგიერთი საპარლამენტო კომიტეტი (მაგ., ბრიტანეთის თემთა პალატის დროებითი კომიტეტები) არ არის უფლებამოსილი, თვითონ აიღოს ეს მოვლენა, მაშინ როცა აშშ-ი კონგრესს განუსაზღვრელ უფლებამოსილება აქვს, გრე წყაროებიდან მიღლოს ინფორმაცია (ფიცით).

ზოგიერთ საპარლამენტო კომიტეტს კანონშემოქმედების უფლება აქვს - კანონების მიღება, კანონპროექტების მომზადება, არსებული კანონშედებლობის შესწორება - ზოგან კი საპარლამენტო

კომიტეტები მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობასა და შესაბამის საბიუჯეტო სახსრებზე კონტროლის ფუნქციას ასრულებს, მათ კანონშემოქმედების შესაძლებლობა არა აქვთ.

კომიტეტის ხელთ არსებული საშუალებებისა და კომიტეტის დონე განმსაზღვრელია საპარლამენტო მანდატის ეფექტური განორციელებისათვის; კომიტეტის თანამშრომელთა რაოდენობა, შესაძლებლობების დონე და სტაბილურობა; კვლევითი შესაძლებლობები და მისი არსი (ზოგადი და სპეციალიზებული, პარლამენტის კვლევითი განვითარების ცალკეული წარმატები); მონაცემების ხელმისაწვდომობა და შესაბამისი დოკუმენტაცია (მისი მიღებისა და კვლავნარიცხვის შესაძლებლობა); ექსპერტების მოწვევის შესაძლებლობა, მოსმენტის ჩატარებისა და გამომძებას შესაძლებლობა (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავა 14 საპარლამენტო მექანიზმებისა და საშუალებების შესახებ).

ჩანართი №34

პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების კომიტეტის შესაძლო ძირითადი ფუნქციები

უსაფრთხოების პოლიტიკა

- ▷ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა და მოხსენება;
- ▷ თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობების პერიოდული მიმოხილვა;
- ▷ თავდაცვის სამინისტროს მიერ ინციდენტის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის დაცვის შემოწმება და პარლამენტისათვის მიერ მიწოდებული მასალების ხარისხი;
- ▷ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სამხედრო პერსონალისა და სამოქალაქო პირების პეტიციებისა და საჩივრების განხილვა.

კანონმდებლობა

- ▷ მთავრობის მიერ მიწოდებული ნებისმიერი კანონპროექტის განხილვა და პარლამენტისათვის გადაცემა;
- ▷ თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის სფეროში არსებული საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების განხილვა;
- ▷ თუ მისაღებია, ასალი საკონისმდებლო ინიციატივების წამოწება, რაც გამოიხატება თავდაცვის მინისტრისადმი კანონპროექტის მომზადების მოთხოვნით ან კანონ-პროექტის თვითონ მომზადებით;

დანახარჯები

- ▷ თავდაცვის სამინისტროს დანახარჯების შეფასება და მოხსენება;
- ▷ თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის განხილვა და პარლამენტისათვის გადაცემა შემდგომი გადახედვისათვის;
- ▷ საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური პირების ჩატარვა აუდიტის პროცესში.

მენეჯმენტი და აღმინიტრირება

- ▷ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული დანიშვნების განხილვა, შეძლებისდაგვარად წვენების მიღება და მოხსენების გაკეთება;
- ▷ ვითვალისწინებით რა თავდაცვის სექტორის ორგანიზების შიდა სტრუქტურას, განსაკუთრებით პარლამენტთან დაკავშირებული გარე ორგანიზაციების მეშვეობით (მაგ., ომბუდსმენი), ყურადღებას მივაძყრობთ თავდაცვის სექტორის ფუნქციების შეუსრულებლობას.

შემდეგი ჩანართი გვაძლევს წორვეგის პარლამენტის მუშაობის მეთოდის მაგალითს:

ჩანართი №35

სტორტინგის (წორვეგის პარლამენტის) საგარეო საქმეთა და თავდაცვის კომიტეტების გაერთიანებული სესია

„გაფართოებული საგარეო საქმეთა კომიტეტის ამოცანაა მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზი. დებატები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე იმართება. განსაკუთრებულ სიტუაციებში კომიტეტი სტორტინგს წირულდება. რეკომენდაციებს.

გაფართოებული კომიტეტი შედგება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მუდმივმოქმედი კომიტეტის ორი წევრისაგან, ასევე, სტორტინგის პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარისა და საარჩევნო კომიტეტის მეურ წარდგენილი 11 წევრისაგან. დაკომპლექტებისას გათვალისწინებულია სხვა პარტიების პროპორციული რაოდენობა.

იმავე პრინციპიდან გამომდინარე, საარჩევნო კომიტეტი ინშანავს წარმომადგენლებს, რომლებიც შეცვლიან მათ არყოფნის ან კომიტეტის დატოვების შემთხვევაში.

კომიტეტი იყრიბება თავმჯდომარის, პრემიერმინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის ან კომიტეტის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

გაფართოებული კომიტეტის საქმიანობა საიდუმლოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯაროობა აუცილებელია. იგივე პრინციპი მოქმედებს სხვადასხვა კომიტეტის ერთობლივ შეხვედრებზე. თავმჯდომარე ილებს გადაწყვეტილებას შეკრების საიდუმლოდ გამოძახების შესახებ.

გაფართოებული საგარეო ურთიერთობების კომიტეტის შეკრების დღის წესრიგის საკითხი სტორტინგის შეხვედრამდე დგება, სულ მცირე ექვსი წევრის მოთხოვნით. კომიტეტმა უნდა განიხილოს, არსებობს თუ არა საკითხის სტორტინგზე განხილვის პირობები და აცნობოს ამის შესახებ პრეზიდენტს. სტორტინგი კაბინეტის სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რაფორმით ჩაატაროს სხდომა – საჯაროდ თუ კაბინეტის მოსმენზე. სტორტინგზე განსახილველი საკითხი წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადების სახით მთავრობის წევრის მიერ. სტორტინგის გადაწყვეტილების თანახმად დებატები საკითხის გარშემო უნდა გაიმართოს დაუყოვნებლივ, განცხადების გაეთებისათანვე ან მომდევნო სხდომაზე. კომიტეტებს უფლება არა აქვთ წინადადებების განსახილველად წარმოდგენისა.“

წურო: Section 13 of the Rules of Procedure of the Norwegian Parliament
(Storting: <http://www.stortinget.no/g>)

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

სფეროთა სპეციალისტთა მოიცავს ოქვენი
პარლამენტის ან პალატის თავდაცვის საკითხების
განმხილველი კომიტეტი

- ▷ კომიტეტისა და ქვეკომიტეტების მანდატის გადამოწმება, რათა უზრუნველყოფილ
იქნება შემდეგი:
 - მანდატი ზუსტადაა განსაზღვრული;
 - კომიტეტის მიერ კომპეტენციის ყველა სფერო სიღრმისეულად შეისწავლება;
 - მანდატი შეესაბამება უსაფრთხოების პოლიტიკასა და სამინისტროს ფუნქციებს:
საგარეო ურთიერთობების, საავიაციო და საზღვაო უსაფრთხოებას, მრეწველობას, ენერგომომარაგებას და ა.შ.

ეფექტური საპარლამენტო კომიტეტი

- ▷ კომიტეტი ან ქვეკომიტეტი აღჭურვილია 34-ე ჩანართში აღწერილი მექანიზმებით
როგორც კანონის მიერ, ასევე პრაქტიკით გამომდინარე;
- ▷ განიხილავს ქვეკომიტეტების ჩამოყალიბებას სპეციფიკურ სფეროებთან (თავდაცვა,
ბიუჯეტი, აირალის შესყიდვა, პირიდი შემადგენლობა და სამშვიდობი მისიები)
დაკავშირებით;
- ▷ უსაფრთხოების სექტორის სანფორმაციო პოლიტიკის შესახებ კანონპროექტების
მომზადება და თავდაცვის ბიუჯეტთან დაკავშირებული ხარჯების გადამოწმება;
- ▷ უზრუნველყოთ, რომ კომიტეტი აქმაყოფილებდეს რესურსების ადეკვატურ დონეს,
პასუხისმგებელი იყოს ექსპერტების მოწვევაზე;
- ▷ განიხილოს უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლის საერთაშორისო
გამოცდილება.

ომბუდსმენი

დამოუკიდებელ ინსტიტუციურ მოქმედ პირებს შორის, რომლებიც უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგს ახორციელებენ, სახალხო დამცველის ინსტიტუტს განსაკუთრებული პოზიცია უკავია. არსებობენ ქვეყნები, სადაც ომბუდსმენს ზოგადი კომპეტენციები აქვს და ადმინისტრირების დარგში არსებულ პრობლემებს უძლვება. სხვა ქვეყნებში სხვა ორგანიზაცია არსებობს, რომელიც იმავე ფუნქციების მქონეა (მაგ., კომისარი ან საჯარო საჩიერების კომიტეტი ნიგერიში). ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ომბუდსმენის პოსტი, რომელიც სპეციალურად შეისარალებული ძალების საკითხებს ხელმძღვანელობს.

ჩანართი №36

ომბუდსმენი

„(. .) ომბუდსმენი განიხილავს საზოგადოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, საჯარო ადმინისტრაციის ქმედებებსა და უმოქმედობას. იმბუდსმენს ირჩევს ბარლამენტი ან ნიშნავს სახელმწიფოს ქოთაური ან მთავრობა პარლამენტთან კონსულტაციების შემდეგ. ომბუდსმენის როლი მდგომარეობს ადამიანის უფლებების დაცვაში, საჯარო ადმინისტრაციის მიერ უფლებამოსილებების გადამეტების გაკონტროლებაში. სახალხო დამცველის ინსტიტუტი ქვეყნის კონსტიტუციით განისაზღვრება და გამყარებულია კანონმდებლობის მიერ ან იქმნება საკანონმდებლო აქტით (. .).

ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სახალხო დამცველი აღჭურვილია შემდეგი უფლებამოსილებით:

1. მთავრობის მიერ უკანონო ქმედებების განხორციელების გამოძიება;
2. თუ ობიექტურ გამოძიება ვერ ამხელს ადმინისტრაციის შეცდომებს, სახალხო დამცველი უწევს რეკომენდაციას ამგვარი ხელმძღვანელობის გაუქმების შესახებ;
3. ამგვარი საქმიანობის შესახებ განსაკუთრებულ შემთხვევებში მოხსენების გაკეთება მთავრობისა და მომჩინეანის წინაშე უშედეგოა, მთავრობა მას არ ეთახებება. ომბუდსმენის უმეტესობა ყოველწლიურ მოხსენებას აკეთებს საკანონმდებლო ორგანოსა და საზოგადოების წინაშე.

ჩვეულებრივ, სახალხო დამცველს არ გააჩნია მთავრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. ის იძლევა მხოლოდ ცვლილებებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს (. .). ზოგადად, საჯარო სექტორის სახალხო დამცველი სამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობათა ფართო ინტერვალს ფარავს. ზოგან ეს ინტერვალი მოიცავს სასამართლოს, პოლიციას, სამხედრო სფეროებს, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში შესაძლოა მათგან ერთი ან მეტიც აკლდეს.“

წყარო: *The International Ombudsman Institute Information Booklet on*
<http://www.law.ualberta.ca/centres/loi/>

ინფორმაციული ფაქტურა: *Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Fact Sheet N° 19, National Institutions for the Promotion and Protection*

სახალხო დამცველი თავდაცვის საკითხებში

თავდაცვის სფეროს ომბუდმენი როგორც დამცველებელი ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელს ატარებს: ფინეთში, ნორვეგიაში, პორტუგალიასა და ვერმანაში ამ თანმიღებას ეწოდება თავდაცვის ომბუდმენი, ისრაელში - სამხედრო ჯარისაცემის სჩივრების კომისარი, კანადაში - ეროვნული თავდაცვისა და კანადის შეიარაღებული ძალების ომბუდსმენი, ავსტრალიაში კანადული თავდაცვის ძალების ომბუდსმენი.

ჩანართი № 37

თავდაცვის ომბუდსმენის პოსტის მიმოხილვა ზოგიერთ ქვეყანაში

ქვეყნა	კომპეტენციები	უზრუნველყოფა	პოლიტიკური ხელისუფლების წინაშე მოსსენებები და მდგრადი მდგრადი
ავსტრალია	თავდაცვის ომბუდმენი - ინიციატის მინისტრის გადაწყვეტილებით	ავსტრალიის თავდაცვის ომბუდმენი გამოყოფილი წევისმიზინი დაზიანებების აღმოჩენა	ყოველწლიურად მინისტრს პარლამენტის წევარმინისაცის წარუდგენს მოსსენებას
კანადა	თავდაცვის ომბუდმენი - ინიციატის მინისტრის გადაწყვეტილებით	ეროვნული თავდაცვის ფესტივალისტისა და კანადის ძალების წევრთა უფლებების დაცვა	მოსსენებას თავდაცვის ეროვნულ დეპარტმენტსა და კანადის ძალებს გამსაუთებული შემთხვევების შესახებ. მინისტრს ნარუდვების წლიურ მისამართისა და სამიამასის შესახებ. / წევისმიზინი და სამუშაოების საჭირო თავდაცვის მინისტრისგან დამოუკიდებლობა.
ნორვეგია	თავდაცვის ომბუდმენი - ინიციატის ნორვეგიის პარლამენტის მიერ	თოთოული ჯარისაცის კოთილდღიობის უზრუნველყოფა; თავდაცვის სექტორიში კონფიდენციალური განვითარებულება, ნიმუშის, საჯაროობის დასაშვიდობებისა და თავდაცვის ისტემის მიმერვენის სხვადასხვა სექტორის შემთხვევაში.	აკეთებს რეკომენდაციებს, შეფასებებსა და კანონიკულ შემთხვევებს, რომელთაც შესაძლისა საზოგადოებრივი დასესტულებები წებაყიფლითი ასრულებენ

ომბუდსმენი წარმოადგენს სამხედრო სფეროს მოქალაქეებისა და პარლამენტის სახელით მონიტორინგის დამატებით მექანიზმს. სამხედრო ომბუდმენის ძირითადი ამოცანა შესაბამისი მინისტრ(ების) მიერ ჩადენილია დამინისტრისაციული სამართალდარღვევების გამოიძიება.

სამხედრო ომბუდმენი ინსტიტუციურად პოლიტიკური სისტემის ნაწილია. თავდაცვის ომბუდმენი შესაძლოა დანიშნულ იქნეს პარლამენტის მიერ. შესაბამისად, იგი გამოღის მოხსენებით პარლამენტის წინაშე (მაგ., გერმანია და შვედეთი) ან შესაძლოა მას ნიშნავდეს თავდაცვის მინისტრი (ისრაელი, კანადა). ზოგიერთ ქვეყანაში სახალხო დამცველის ოფისი პარლამენტშია განთავსებული (გერმანიის შეიარაღებული ძალების საპარლამენტო კომისარი, იხ. ჩანართი № 38), შეედეთის შემთხვევაში კი ინსტიტუციურად განცალკევებულია პარლამენტისაგან.

მოქადაქებსა და მოსამსახურე პერსონალს, რომელთაც გარკვეული საჩივარი აქვთ სამხედროების წინააღმდეგ, შეეძლიათ მიმართონ ომბუდსმენს, რათა გამოიძოონ შესაბამისი ფაქტები. გარდა ამისა, პარლამენტარებსაც შეეძლიათ მიმართონ ომბუდსმენს დალევეებისა და საჩივარების გამოიძიებისათვის. ხშირად სახალხო დამცველის მიერ გამოიძიებულ ფაქტებს შესაბამისი გადაწყვეტა მოჰყვება: სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადაწყვეტა, გადაწყვეტა ან სხვა ნაწილისთვის მიუჟონება სამხედრო სამსახურის დროს, შეკრება, დემობილიზაცია, შეებულება, დისცაბლიური და დამჯელი ორინისიერების გატარება. თუ ომბუდსმენი დაადგენს, რომ საჩივარი დასტურდება, ის აკეთებს რეკომენდაციას, რის საფუძვლზეც სთხოვს შესაბამის ინსტიტუტს, შეცვალოს ან ხელახლა განიხილოს გადაწყვეტილება.

ომბუდსმენი და საიდუმლოება

უსაფრთხოების სექტორის არსის გათვალისწინებით, ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება გარკვეული ინფორმაციის საჯაროდ გამოტანა. ბევრ ქვეყანაში კანონი არეულირებს მისა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს იმბუდსმენმა ეროვნული უსაფრთხოების საეკონომიკო გათვალისწინებით. საზოგადოდ, მაშინაც კი, როდესაც საიდუმლოს დაცვის წესები ძალაშია, იმბუდსმენს უფლება აქვს, წარმართოს შესაბამისი გამოიძება, მას აქვს უფლება, გაეცნოს სამხედრო პაზუს და მიუცემული შემთხვევის ყველა დოკუმენტი შეისწავლოს. სახალხო დამცველს არა აქვს უფლება, საზოგადოებას მიანიჭონ გამოიძიების შედეგები.

ჩანართი №38

გერმანიის შეიარაღებული ძალების საპარლამენტო კომისარი

გერმანიის შეიარაღებული ძალები მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა. საპარლამენტო კონტროლით თავიდანვე გამოიცხადდა პრიორიტეტად გერმანიის კონსტიტუციის დამატებითი მუხლი 45ბ, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპს უზენაეს პროცესისადან აცხადებს:

„... საპარლამენტო კომისარი ინიშნება, რათა დაიცვას შეიარაღებული ძალების წევრთა ძირითადი უფლებები და დაეხმაროს ბუნდესტაგს საპარლამენტო კონტროლოს განხორციელებაში.“ ამ მუხლის რეალურებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი წარმოდგენილია „შეიარაღებული ძალების საპარლამენტო კომისიის შესახებ კანონში“.

საპარლამენტო კომისარი გერმანიის ბუნდესტაგის დამხმარე ირგანოა, შესაბამისად, საკანონმდებლო ხელისუფლების წევრია. ბუნდესტაგისა და თავდაცვის კომიტეტის ინსტრუქციების მიხედვით ის იძიებს ცალკეულ ფაქტებს ან თვითონ ირჩევს საკითხებს შესასანვალად.

ხელმძღვანელობს რა ძალის განანილების პრინციპით, სახალხო დამცველი ახორციელებს კონტროლს თავდაცვის მინისტრზე, მას შეუძლია მოიხილოს ინფორმაცია და დოკუმენტები ამ უკანასკნელისა და მის მიმართ დაკვემდებარებული ორგანიზაციებისა და პირებისაგან. მას ნებისმიერ დროს, გაუფრთხოებლებლადაც კი, შეუძლია მოინახულოს ნებისმიერი ნაწილი, შტაბბინა, სააგენტო, ან შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა და ინსტიტუტები. მას შეუძლია ანარმონს გამოძიება, სახელმიწრ, როდესაც მიღებულია სამსახურების წევრთა საჩივრები, მიუხედავდ მათი რანგისა და პოზიციებისა. შეიარაღებულ ძალებში ნებისმიერს შეუძლია პირდაპირ მიმართოს კომისარს ოფიციალური არხების გარეშე და ამის გამო მას არ ემუქრება რაიმე სასჯელი ან დისკრიმინაცია.

წყარო: <http://www.bundestag.de/>

ომბუდსმენი: სამხედროებში ნდობის წყარო

სამხედრო თბილის მეცნიერებების ინსტიტუტის აჩენა, რომ იგი თავდაცვის სექტორში საზოგადოებრივი ნდობის ზრდას უწყობს ხდეს (შვედეთში 1915 წლიდან არსებობს სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტი). გარდა ამისა, ომბუდსმენი უზრუნველყოფს სამხედრო სექტორის მოსამახურე პერსონალის უფლებების დაცვას ყოველგვარი დარღვევასაგან. ზოგადდა შეიძლება ითქვას, რომ ომბუდსმენის უმთავრესად ფუნქციაა ნდობის გაზრდა სამხედრო სექტორისადმი შეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფით სამხედრო იერარქიისა და სამხედრო მშადყოფისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

ომბუდსმენის ინსტიტუტი

- ▷ თუ თქვენს ქვეყანაში ამგვარი ისწილებული ჯერ არ არსებობს, გააკეთეთ ყველაფერი მის შესაქმნელად.
- ▷ ამასთან დაკავშირებით, გაითვალისწინეთ ორიენტირები, გამოცდილება და ყველა ის დოკუმენტი, რაც შექმნილია საერთაშორისო ომბუდსმენის მიერ.
<http://www.ombudsmaninternational.com>

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ომბუდსმენი

- ▷ თუ თქვენს ქვეყანაში ამგვარი ინსტიტუტი ჯერ არ არსებობს, გააკეთეთ ყველაფერი მის შესაქმნელად.
- ▷ ინფორმაცია ომბუდსმენის ინსტიტუტის შესახებ მიიღეთ იმ ქვეყნებისაგან, რომელიც უკვე არსებობს სახალხო დამცველის ინსტიტუტი.
- ▷ თუ თქვენს ქვეყანაში გარკვეული დროის მანძილზე არსებობდა ომბუდსმენი, მოიპოვეთ ინფორმაცია მისი კომპეტენციების, ფუნქციების, ძირითადი პროცედურების (პარლამენტის წინაშე მოხსენებით გამოსვლა, გავლენა, რესურსები და ბიუჯეტი)

ვიზიტები უსაფრთხოების სამსახურების ობიექტებზე

აქტუალობა

ყველა პარლამენტარი ვალდებულია, საფუძვლიანად გაეცნოს უსაფრთხოების სექტორს. თეორიულ ცოდნას უნდა ამყრობდეს პრაქტიკა და სავალე გამოცდილება, ყოველივე ეს უსაფრთხოების სექტორის საჭროებებს უკეთ დაგვანახვებას. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, პარლამენტარების ვიზიტები უსაფრთხოების სამსახურების ბაზებში შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერთა შორის წილისა და დიალიგის განვითარების საუკეთესო საშუალება. პარლამენტის წევრთა შეგვარი კიზიტები მთა დაქმირებათ, უკეთ შეისწოლონ უსაფრთხოების სექტორი, თოთოული ჯარისკაცის ყყველდღიური პრობლემები და აჩვენონ სამხედროებს, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაინტერესებულია და მოტივირებულია ჯარისკაცების კეთილდღეობით.

ჩანართი № 39

არგენტინის მაგალითი

პოლიტიკოსები სცუმირობენ სამხედრო ბაზებსა და ნაწილებს იმ მიზნით, რომ სამხედროებთან გაცვალონ იდეები. ამგვარი ვიზიტები უზრუნველყოფს შეიარაღებულ ძალების შესწავლას და ორ ინსტიტუტს შორის უნდობლობის ხარისხის შემცირებას. სამხედრო პრობლემების უკეთ გააზრება მიღწევადა მხოლოდ პარლამენტარებსა და შეიარაღებული ძალების წევრებს შორის ურთიერთობის შედეგად. წესები და ღროის ფაქტორი განსხვავებულია უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში, ვიზიტები კი პოლიტიკოსებს ეხმარება ამ საკითხების უკეთ გაცნობაში.

წყარო: Pablo Carlos Martinez, “The restructuring of the armed forces and the role of the parliament: the Argentine experience”, <http://www.pdgs.org>

სასკელალსრულების ცენტრებსა და ციხეებში ადამიანები მთლიანად უსაფრთხოების სამსახურების პერსონალის დაქვემდებარებაში არიან. ამგვარი ვითარება მათ მეტად მიზუვლადს ხდის ადამიანის უფლებების დარღვევების მხრივ. სამწესაროდ, ამგვარ ადგილებში ხმირია წამების ფაქტები, ამის გამო ეს ინსტიტუტები სპეციალურ მეთვალყურეობასა და კონტროლს უნდა დაექვემდებარონ. ამიტომ პარლამენტარების მიერ ამ ადგილების მონაზულება მსგავსი ფაქტების გამოვლენისათვის ძალიან მიზუნელოვანია.

ჩანართი №40 აღნერს წამების წინააღმდეგ გამორიტ-ს კონვენციის დამატებითი ოქმის მიერ წარმოდგენილ მექანიზმებს:

ჩანართი №40

ნამების წინააღმდეგ დამატებითი ოქმი ზრდის უსაფრთხოების სამსახურების ობიექტების მონაცელების შესაძლებლობას

2002 წლის დეკემბერში გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა გაერო-ს კონვენციასთან წამების, სხვა ბოროტების, არაპუნანური მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ დამატებითი ოქმი. ოქმი ავალდებულებს სახელმწიფოებს, გახსნან სასჯელალსრულების ადგილები ეროვნული და დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის, რომლებიც არაპუნანურად მოპყრობის ფაქტებს გამოავლენენ.

მეტი ინფორმაციისათვის მიმართეთ ვებგვერდს: www.unhchr.ch

წარმატებული ვიზიტების პირობები

პარლამენტარების ვიზიტები ყაზარმებში ან სამხედრო ბაზებზე შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის სამინიჭროებთან (მაგალითად, თავდაცვის სამინიჭროსთან). მოულიდნელ ვიზიტებს შესაძლოა მძმე შედეგები მოჰყევეს, ამგვარი ვიზიტები შესაძლოა აღმტულ იქნეს, როგორც უწდობლობა სამხედროების მიმართ, იქარისის გადაბიჯებით მოქმედება და ამით შესაძლოა სამხედრო სფეროს ნორმალური ფუნქციონირება შეფერხდეს. ვიზიტები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისგან სრულდება და, როგორც წესი, კარგად მზადდება.

ვიზიტების შეზღუდვას წარმოადგენს საპარლამენტო კომიტეტისთვის მხოლოდ იმის ნახვის შესაძლებლობა, რასაც უსაფრთხოების სამსახურების სამხედრო ხელმძღვანელები სთავაზობენ. ამგვარი ვიზიტები პრობლემის რეალურ ბურჯებს ვერ გამოაშკარავებს. სამხედროებს ეძღვავა იღდევ ერთი შანსი, მიმთხვეონ მეტი სასსრები ბაუჯეტისაგან. ამის გამისწორება სამი საის შეთანხმებული ვიზიტთ არის შესაძლებელი: სამხედროების მიერ რეკომენდაციული ვიზიტები, პარლამენტის მიერ რეკომენდაციული და გამოცადებული ვიზიტები და პარლამენტის მიერ რეკომენდაციული სასწრაფო ვიზიტები (ზაგ, ერთ დღეში).

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

კანონმდებლობა უსაფრთხოების სამსახურების დაწესებულებათა მონაცელების შესახებ

- ▷ უსაფრთხოების სამსახურების დაწესებულებებში(საზღვარგარეთ განლაგებული ეროვნული ნაწილების ჩათვლით) კანონის მიერ სანქცირებული ვიზიტების ორგანიზება;
- ▷ საპარლამენტო დელეგაციების უსაფრთხოების სამსახურების დაწესებულებებში ვიზიტების შესახებ კანონის არარსებობის შემთხვევაში გაარკვეოთ, არაან თუ არა პარლამენტარები ჩართული ამგვარი დაწესებულებების ვიზიტები მონაცილეთა საში, დაადგინდთ, რა საფუძველზე დარმტლი პროცედურების მიხედვთხდება მონაცილეობა, რა კრიტერიუმებით ხდება პარლამენტარების შერჩევა და რა გავლენა აქვს მას.



- ▷ განსაზღვრეთ, არეგულირებს თუ არა კანონი შემდეგ საკითხებს:
 - უსაფრთხოების სამსახურების რომელი დაწესებულებები უნდა იქნეს მონახულებული;
 - რა პირობებსა და გარემოებებში ხდება ამგვარი ვიზიტების ორგანიზება, მაგ., შესაძლოა თუ არა ნებისმიერ დროს ეწყობოდეს ვიზიტები.
 - ეროვნულ სამხედრო ნაწილებსა და ბაზებში საპარლამენტო ვიზიტების პრაქტიკა და სიხშირე;
- ▷ უზრუნველყავით, რომ დეტალური წერილობითი მოხსენებები ამგვარი ვიზიტების შესახებ პარლამენტში ან შესაბამის კომიტეტში იყოს წარმოდგენილი და ამ მოხსენების თაობაზე გამართოს დებატები;
- ▷ შეაფასეთ ორგანიზებული ვიზიტების გავლენა;
- ▷ შეამოწმეთ, მოაზიდინა თუ არა თქვენმა სახელმწიფომ წამების წინააღმდეგ გაერთ-ს კონვენციისა და დამატებითი პროტოკოლის რატიფიცირება;

ვიზიტებში მონაწილე საპარლამენტო დელეგაციების წევრები

- ▷ უზრუნველყავით, რომ საპარლამენტო დელაგაციები იყოს მიუკერძობელი და წარმოადგენდეს საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის პროპორციულ ნაზაკავის.
- ▷ აუცილებელია დელეგაციებში გენდერული ბალანსის დაცვა.

ვიზიტების მომზადება

- ▷ იმისათვის, რომ არასასურველი შედეგები თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა თავდაცვის სამინისტროსთან ვიზიტების შეთანხმება.

მოხსენებები პარლამენტში

- ▷ უზრუნველყავით, რომ პარლამენტში წარმოდგენილ იქნეს დეტალური მოხსენებები და განხილულ იქნეს პარლამენტის ან შესაბამისი კომიტეტის სხდომებზე.
- ▷ უზრუნველყავით, რომ კომსეტენტურმა პირებმა შეძლონ შეხვედრამდე მოხსენების განხილვა და რეკომენდაციების წარმოდგენა.

გავლენა და საჯაროობა

- ▷ უზრუნველყავით, რომ საჯაროდ გამოქვეყნდეს დელეგაციის წევრთა დასკვნები და რეკომენდაციები და პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ნაწილი V

უსაფრთხოების სამსახურების
კონტროლი მოქმედებაში:
გარემოებები და ქმედებები

გამონაკლისი შემთხვევები

არსებობს განსახურებული ვითარებები, მაგ., ომი, შიდა კონფლიქტი ან სხვა ტიპის საგანგებო მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფომ კრიზისის დასაძლევად უნდა მიმართოს სპეციალურ ზომებსა და პროცედურებს, კრიზისული სიტუაციების დაძლევის მეთოდებმა არ უნდა შეუქმნას საფრთხე დემოკრატიული მიმართვულობის სისტემას.

ომი და რამდენიმე სახის საგანგებო ვითარება მოითხოვს სამხედრო საპასუხო რეაქციას ან სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებასაც კ. ამ შემთხვევაში სამხედრო სფერო და უსაფრთხოების სექტორი ექვემდებარება საერთაშორისო კრიზისებისა და გარანტიების, საერთაშორისო სამართლის წესებსა და დემოკრატიულ კონტროლს. ადამიანის უფლებების დაცვა უპრიველესი ამოცანაა. 2001 წლის აგვისტოს ბავრი-ს ადამიანის უფლებების კამიტეტის მიერ მიღებულ იქნა ზოგადი კომენტარი №29, რომელიც მიღებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის მეოთხე მუხლს.

ომის მდგომარეობა

ბავრი-ს 2.4 მუხლში აღნიშნულია:

„ორგანიზაციის წევრებმა საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავონ ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენებისაგან...“

სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება მეცნად შეზღუდულია. პარლამენტი უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელსაუფლების მინიჭონილებას მის პერიოდში, პარლამენტის უმინდველობანეს როლს წარმოადგენს საერთაშორისო შეზღუდვების დაცვის კონტროლი. ნეიტრალური სახელმწიფოები, მაგალითად, შევიცარია, ლიად უარყოფს საგარეო ურთიერთობებში კონფლიქტების მოვარებას მოისახეა და მართვა დამუქრების შექმნას. სხვა სახელმწიფოები, მაგალითად, უნგრეთი, ომს, როგორც ერებს შორის კონფლიქტების მოვარების საშუალებას, უარყოფს.

ომის პერიოდში, კონსტიტუციიდან გამომდინარე, პარლამენტის შეუძლია ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სულ ცოტა, სამი განსხვავებული გზით (ამ შემთხვევაში რიგს არ უნდება დიდი მნიშვნელობა):

(1) კონსტიტუცია განსაზღვრავს პარლამენტის უფლებამოსილებას, გამოაცხადოს ომი ან დადოს ზავი. თანამედროვე მსოფლიოში გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ომი ბშირად გაფრთხილების გარეშე იწყება და მოვლენებმა შესაძლოა პარლამენტის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ჩამოაცილოს.

(2) კონსტიტუციის მიხედვით, მოს გამოცხადების ან ზავის დადგების დროს აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტისგან იღებს სასწრაფო უფლებამოსილებას. ამგვარი დადგენილება პარლამენტს აღევს მის საშუალებას, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება განიხილოს დასტული მომცანა.

(3) კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი უნდა იქნეს ინფორმირებული აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილების შესახებ საიმართო ქმედებების დაწყების თაობაზე პარლამენტისაგან თანხმობის მიღების გარეშე. ამ აქტს ექვემდებარება კონსტიტუციების უქეტესობა.

საგანგებო მდგომარეობა

საგანგებო მდგომარეობისა თუ ეროვნული კრიზისის მდგომარეობის წარმოქმნა შესაძლებელია მრავალნაირ, ფართო დაპაზინის მქონე სიტუაციებში. ეროვნული კონსტიტუციური და სამართლებრივი რეჟიმი ბევრ ისეთ სიტუაციას ითვალისწინებს, რომელიც იძლევა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საშუალებას, დანერგული საომარი მოქმედებებით, საფრთხის შექმნით კონსტიტუციური და საზოგადოებრივი წესრიგისათვის და დამთავრებული სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით ან ეროვნული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისით.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება უნდა მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში, დემოკრატიის პრინციპების ხელყოფა თავიდან უნდა იქნეს აცილებული: იხ. ჩანართი №41. ამგვარი გამოინაკლისი ვითარების განმარტება მოცემულია ეროვნულ კონსტიტუციაში და ასახულია სამართლებრივ წესრიგში. ამასთან, კონსტიტუციი და შესაბამის კანონები უნდა ახდენდნენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ეროვნულ მოტივებიდან გამომდინარე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პრევენციას. გარდა ამისა, კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები განაპირობებენ სამხედრო გადატრიალების არაკანონერებას.

ჩანართი №41

საგანგებო მდგომარეობები: მიზნები და პრინციპები

„ყველა სამართლებრივი სისტემა საგანგებო მდგომარეობის გადაწყვეტის სხვადასხვა ზომას ითვალისწინებს. თუმცა, ადამიანის უფლებების ნებისმიერი დარღვევა და უგულებელყოფა, რომელიც კრიზისულ სიტუაციასთანაა დაკავშირებული, საბოლოოდ მიზნად ისახავს წესრიგის აღდგენას და ადამიანის უფლებების დაცვას.“

საერთაშორისო პრინციპები:

„საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრინციპებია:

კანონიერების პრინციპი – წარმოადგენს ბალანსს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და საგანგებო ზომებს შორის, ერთი მხრივ, და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობას შორის, მეორე მხრივ. ამ პრინციპის მიხედვით, შიდა კანონი საერთაშორისო სამართალთან არის შეთანხმებული.

გამოცხადების პრინციპი – წარმოადგენს საგანგებო მდგომარეობის საჯაროდ გამოცხადების საჭიროებას.

კომუნიკაციის პრინციპი – ყოველი სახელმწიფო ვალდებულია გააფრთხოლოს მეორე სახელმწიფო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ რწმუნების წერილით ან გაერმო-ს მომსხენებლის საშუალებით, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებების ვითარებას იკვლევს.

დოკუმენტობის პრინციპი – განსაზღვრავს საგანგებო მდგომარეობის განსაკუთრებულ არსა და დროში შეზღუდულობის აუცილებლობას.

გამონაკლისი საფრთხის პრინციპი – კრიზისი საზოგადოებისათვის რეალურ საფრთხეს უნდა წარმოადგენდეს.

პროპორციულობის პრინციპი – კრიზისის სილრმესა და მის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს შორის უნდა არსებობდეს პროპორციულობა.



ხელშეუხებლობის პრინციპი ეხება ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომელთაგანაც საფრთხე არ მომდინარეობს.

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პარლამენტი, რომელიც ადამიანის უფლებების დამცველია, თავად არ გახდეს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირველი მსხვერპლი – პირდაპირი დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების, ან საკანონმდებლო უფლებამოსილების ან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელების უფლების რადიკალური შეზღუდვის შედეგად. პარლამენტისთვის, ასევე, მეტად არსებითა, შეინარჩუნოს ქმედობაზურიანი როგორც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, ასევე მისი გაუქმების შემთხვევაში (...).“

საგანგებო ვითარების სამართლებრივი ბუნება

„(. .) [საგანგებო მდგომარეობის] სამართლებრივი ბუნება წარმოადგენს მის შემადგენელ აქტებს (გამოცხადება, რატიფიცირება და ა.შ.) და მისი ძალაში ყოფნის დროს გამოყენებულ ზომებს (განსაზღვრული უფლებების შეზღუდვა და ა.შ.). ყოველივე ეს კანონის უზენაესობის პრინციპს უნდა დაექვემდებაროს. (. .).“

პარლამენტის ფუნქციონირება

„ალიარებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის დამოუკიდებლობისა და წონასწორობის პრინციპი კანონის უზენაესობის ნაწილია. ამიტომაც სამართლებრივი სისტემების უმრავლესობა პარლამენტს ანიჭებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაში აქტიურად ჩართვის ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოშვებული დეკრეტის რატიფიცირების უფლებამოსილებას. ეს კი მიზნად ისახავს პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების პრევენციას ამგვარ სერიოზულობის მქონე საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტის დროს.“

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების რანგი

„გამოცდილებამ აჩვენა, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს გამოყენებულ სამართლებრივ აქტებს სასურველია ჰქონდეს კონსტიტუციური რანგი. კანონმდებლობების უმრავლესობა უზრუნველყოფს ამ პრინციპს, თუმცა ზოგი თვლის, რომ: „არცერთ ხელისუფლებას არ შეუძლია უზრუნველყოს საკანონმდებლო ფუნქცია საგანგებო მდგომარეობის არსებობის დროს.“ (...).“

წყარო: Report by the UN Special Rapporteur on Human rights and states of exception, Mr. L. Despouy, to the IPU Symposium on Parliament, Guardian of Human Rights, Budapest, 1993

სანკრძლივი და დე ფაქტო გამონაკლისი მდგომარეობები

ხანგრძლივი გამონაკლისი მდგომარეობების განახლება პარლამენტის მიერ პერიოდულად ხდება, ის შესაძლოა ათწლეულების განმაღლობაში გაგრძელდეს. ამ დროს შესაძლოა დაირღვეს უსაფრთხოების სექტორის ორგანიზაციებზე სამიქანურო უზენაესობის პრინციპი. მათ შემდეგ მათ შესაძლოა წარმოიქნას დემოკრატიისათვის უდიდესი საფრთხე – დაუსჯებლობის სინდრომი. ეს კი პარლამენტს სუსტ და მოწყვლად სიტუაციაში ჩააყენებს. რიგ ქვერწებში არსებული დე ფაქტო უმართავი საგანგებო მდგომარეობა, რეალურ საფრთხეს უქმნის პარლამენტს უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის განხორციელებაში.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

კანონმდებლობა გამონაკლისი შემთხვევების შესახებ

- ▷ უზრუნველყავით, რომ თქვენი ქვეყნის კანონმდებლობასა თუ კონსტიტუციაში გამონაკლისი შემთხვევების სხვდასხვა ტიპი კარგად იყოს განსაზღვრული.
- ▷ გამონაკლისი შემთხვევები სამი ან ექვსი თვის განმავლიბაში ავტომატურად გაგრძელდება, თუ ის საპარლამენტო დებატების ან განახლების საგანი არ გახდება.
- ▷ უზრუნველყავით კანონიერების, გამოცხადების, კომუნიკაციის, დროებითობის, გამონაკლისი საფრთხის, პროპორციულობისა და ხელშეუხებლობის საერთაშორისო პრინციპებს გათვალისწინება საერთაშორისო კანონმდებლობაში გამონაკლის შემთხვევებთან დაკავშირებით.
- ▷ უზრუნველყავით, რომ საგანგებო მდგომარეობების დროს დაცული იყოს ჰუმანიტარული სამართალი, კონსტიტუციური გარანტიები და ადამიანის უფლებები.
- ▷ უზრუნველყავით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის კომპეტენცია საგანგებო მდგომარების გამოცხადებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს კონსტიტუციასა თუ კანონებში.

პარლამენტი საგანგებო მდგომარეობის დროს

- ▷ უზრუნველყავით, რომ გამონაკლისი ცალკეული შემთხვევები სრულიად არ კრძალავდეს პარლამენტის კონტროლის უფლებამოსილებას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებების უსაფრთხოებისა და პატივისცემის თვალსაზრისით.

შიდა უსაფრთხოების დაცვა

უმთავრეს საზოგადო სიკეთეს შიდა (ანუ საზოგადოებრივი) უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი წარმოადგენს. უსაფრთხოება ყველასათვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ეროვნულ ტერიტორიაზე მყოფი იმიგრანტებისა და უცხოლების ჩათვლით, ყოველგარი დისკრიმინაციის გარეშე. უსაფრთხოების სამსახურები, რომლებიც ზერთ აღნიშნულ მაზრებს ემსახურებიან, არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური ლიდერებისა თუ ძალების სამსახურში, ან თვით უსაფრთხოების სფეროს ინტერესებში.

ამგვარი კანონმდებლობის ძირითადი მიზეზები და მახასიათებლები

ყველა სამართლებრივი სისტემას აქვს კანონმდებლობის იმგვარი ფორმები, რომლებიც არ მოითხოვს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, თუმცა წარმოადგენს საფრთხეს შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის.

სხვადასხვა დოზით ამგვარი კანონმდებლები განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ანჭებენ აღმასრულებელს და დროებით უზღუდვენ ან უჩერებენ რიგ უფლებებს სხვა უფრო ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც გარევაულ ვითარებაში შესაძლებელია საფრთხე დაუზუროს და რომლებიც შეაფილ უნდა იქნან განმარტივული გამსახილველი კანონის ფარგლებში.

უფრო ხშირად იზტუდება ინფორმაციის თავისუფლების, საჯარო დემონსტრაციების, თავშესაფრის მიღების უფლებას; საერთაშორისო სამართლი მკაცრად კრძალავს შემდეგი გაუსხვისებელი უფლებების დარღვევას, როგორცა სიცოცხლის უფლება და კორპორატიული დასკანი ან ნებისმიერ ფორმის. უფლებების დაცვის მთრიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მგრძნელებს, უურნალისტებს, ადამიანის უფლებების დამცველებს, თავშესაფრის მაძიებელებს, ლტოლვილებსა და რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობებს.

მემკვიდრეობითი რისკები

შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით კანონმდებლობა შეიცავს ცალკეულ რისკებს:

- ✓ საფრთხის ხსიათის შესახებ ბუნდოვანი განმარტებები, ინტერპრეტირებისა და აღმასრულებლის მხრიდან შექმნილ ვითარებაზე იძლევა მორგვების საშუალებას.
- ✓ აღმასრულებლისათვის – მისი მეშვეობით კი უსაფრთხოების სექტორის მრავალი ორგანიზაციისათვის – განსაკუთრებული და ხანგრძლივი უფლებამოსილების მინიჭება დაბალანსების, სათანადო კონტროლისა და სათანადო ადმინისტრაციული და სასამართლო სანქციების გარეშე.
- ✓ ზოგჯერ შიდა უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი ირლევევა მოსახლეობის ცალკეული სექტორის, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ან თვით უსაფრთხოების სექტორის ექსპლუზიური უფლებების დაცვის მიზნით.

- ✓ პოლიციური ძალების - შიდა კანონიერებისა და წესრიგის დამცველი - მილიტარიზაცია სამხედრო სფეროსა („საგარეო უსაფრთხოების დამცველი“) და პოლიციას შორის ზღვარს აბუნდოვნებს. ეს განსაკუთრებით საშიში ხდება, როდესაც ამგვარი ძალები ცუდად ფინანსდება და, აქედან გამომდინარე, დაუსჯელობის გამო კორუფციაში ერთვებან. პოლიციური ძალების მილიტარიზაციის ეფექტურობის აღმოჩენაში ერთ საფრთხო არის ის, რომ ამგვარი ძალები (ზშირად დაზერვის სამსახურები და გასამხედროებული ძალები) შიდა უსაფრთხოებას კი არ იცავენ, არამედ იპოზიციის კონტროლისა და რეპრესიურების მიზნით გამოიყენება. გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სამხედრო ძალის ხშირი გამოყენება სამხედროების პოლიტიზაციას უწყობს ხელს.
- ✓ პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების უფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით იქ, სადაც მათ რეალურად არ გააჩინათ უფლებამისილება აღმსარულებელ ხელისუფლების რეალური პასუხისმგებლობის განხორცილებისა.
- შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გამოყენებული ზომები უსაფრთხოების სამსახურების წევრების მიერ აგმანის უფლებების დარღვევებს ჩამოვალებას და ხშირად ცალკეულ შემთხვევებსა და ვითორებაში ისინი დაუსჯელობით სარგებლობენ. ხშირად ირლევა შემდგენ უფლებები: სიცოცხლის უფლება; უფლება, არ გახდე ნამების, შეურაცხმყოფი და არაპუმანური მოპყრობის მსხვერპლი; უფლება, არ გახდე შემთხვევით დაკავების მსხვერპლი; მიუკერძოებელი სასამართლოსა და დამოუკიდებელი ტრიბუნალის მიერ გასამართლების უფლება; აზრის, გამოხატვისა და შეკრების უფლება.

ჩანართი № 42

უსაფრთხოებისა და დემოკრატიის დაცვა

ისტორიულად და ბევრ განვითარებად ქვეყანაში დღესაც, ავტორიტარული მთავრობები დემოკრატიზაციის პროცესს აფერხებდნენ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატია შეუთავსებელი იყო საზოგადოებრივ წესრიგსა და პიოვნულ უსაფრთხოებასთან. მაგრამ მონაცემებით აჩვენეს, რომ გარდა პიოვნული უსაფრთხოებისა, არსებითი სახელმიწოდებო უსაფრთხოების ძალებზე დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლი. ამგვარი კონტროლის გრეშე პიოვნული უსაფრთხოება საშიშროების ქვეშ აღმოჩნდება.

წყარო: UN Human Development Report, 2002 (page 87)

ზოგიერთ ქვეყანაში დემოკრატიის საგანგებოდ შექმნილი კანონმდებლობა იცავს. არგენტინაში, მაგალითად, 1984 წელს მიღებულ იწა კანონი „დემოკრატიის დაცვა“ № 23.077. იგი წარმოადგენს სისტემის სამართლის კოდექსს მოდიფიცირებულ ვარიანტს და დემოკრატიული სისტემის წინააღმდეგ სისტემის სამართლის დასკავა ითვალისწინებს: მაგ., არაკანონიერი ორგანიზაციების დასჯა, რაც დემოკრატიისა თუ კონსტიტუციურ წყობას საფრთხეს უქმნის.

შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირების დაკავება

ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ პირების დაკავებას, რომელიც საფრთხეს უქმნიან შიდა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს. ამ თვალსაზრისით არსებობს ორ სახის კანონმდებლობა:

- ✓ კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს იმ პირების დაკავებას, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნიან ეროვნულ უსაფრთხოებას: დაკავების ორდერს ამ შემთხვევაში გასცეს სასამართლო, განსაკუთრებულ ვითორებაში – აღმსარულებელი ხელისუფლება;

- ✓ კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი პირის დაკავებას, რომელსაც აღმასრულებელი დაგენერის, ეროვნული უსაფრთხოებისათვის შეიძლება საშიროებას წარმოადგენდეს, ანუ, კანონმდებლობა, რომელიც აღმასრულებელს ანიჭებს ისეთ განსაკუთრებულ უფლებებს, რომ მან საკუთარი შეხედულებისამებრ გააკონტროლოს ან აღკვეთოს სიტუაცია, საშიში ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

პრიცენტის თანამეობრიბის წევრ ბევრ ქვეყანაში მეორე კატეგორიის კანონმდებლობა არსებობს. ამგვარი კანონმდებლობის პროცედური აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება გაფართოებულია, რაც ბევრი კონსტიტუციური გარანტიის შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა, სკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება კანკლიადა აღჭურებულ ჩარევის უფლებით. ამას სრულებულ ხელისუფლების ერთ-ერთ მიზნებით კომიტეტის იმ პირების ადმინისტრაციული ან სამთავრობო დაკავება წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოსათვის საფრთხეს წარმოადგენს. ეს პიროვნებები აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებიან, დაკავების პროცედურის იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი. ამგვარ კანონმდებლობები არსებობს მაკონტროლებული ორგანიზაციის ინსტრუქტი, რომელსაც შეიძლება კონსულტაციური ხსიათი ჰქინდეს, ან პირიერი, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე გარკვეული ზენოლის განხირცილება შეეძლოს, მაგალითად, დაკავებულ პირთა გათვალისუფლების მოთხოვნით.

ზოგიერთ ქვეყანაში ამგვარი კანონმდებლობა კოლონიურ მმეკიდრებობას წარმოადგენს. დღეს ის გადამოწმების პროცესში, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და უსაფრთხოების სექტორის ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით პოლიციისათვის, გაფართოებული უფლებამოსილებების მინიჭება უარყოფით გავლენას აძლენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზებაზე.

ჩანართი №43

სერიოზული შედეგების მქონე გადახრები

როდესაც მთავრობები უსაფრთხოების ორგანიზაციებს ეყრდნობიან ხელისუფლების შესანარჩუნებლად, უსაფრთხოების ძალები ქვეყნის მოქალაქეებისა და მეზობელი ქვეყნებისათვის საფრთხის ძირითად წყაროდ იქცევიან. (...) როდესაც შინაგანი ჯარები, გასამხედროებული პოლიცია და დაზვერვის სამსახურები შედა პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებმებიან, დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის აღდგენის მცდელობა ხშირად უშედეგობა.

წყარო: UN Human Development Report, 2002 (pp. 87 and 92)

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარის

კანონმდებლობა შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ

- ▷ დაიმახსოვრეთ, რომ უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი ხალხისთვისაა და არ წარმოადგენს ხალხის ჩაგვრისა და პარტიების პოლიტიკური ინტერესების განხორციელების ინსტრუმენტს. უზრუნველყოფა პოლიციის რეპრესიული მიზნებით გამოყენებისა და მისი მილიტარიზების თავიდან აცილება;



- ▷ უზრუნველყავით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული იყოს და განსაზღვრეთ მისი სამართლებრივი შეზღუდვები;
- ▷ უზრუნველყავით უსაფრთხოების სექტორის დაქვემდებარება აღმინისტრაციულ და სამართლებრივ სანქციებზე უფლებამოსილების ან ძალის გადამეტების შემთხვევაში;
- ▷ გააანალიზეთ, რამდენად მოხერხებულია და გამოყენებადი დემოკრატიის დაცვის კანონი.

საპარლამენტო კონტროლი

- ▷ პარლამენტი რეგულარულად უნდა განიხილავდეს შიდა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებს და არსებულ კანონმდებლობასთან მათს შესაბამისობას ადგენს.
- ▷ დაადგინეთ, რამდენად იყენებენ კომპეტენტური საპარლამენტო კომიტეტები მათს ხელში არსებულ ყველა საშუალებასა და რესურსს, რათა მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და განახორციელონ შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ეფექტური საპარლამენტო კონტროლი.
- ▷ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საჯარო მოსმენების ორგანიზება.
- ▷ შიდა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებით ინსტიტუციური ან ეკრძო დიალეგი არასამთავრობო სექტორთან. ხალხის მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენების შესაძლებლობა.

თავი 20

ტერორიზმი

„ტერორიზმი ერთ-ერთი იმ საფრთხეთაგანია, რომელთაგანაც სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქები უნდა დაიცვას. სახელმწიფოს არა მარტო აქვს სეთი უფლება, არამედ მოვალეცა, ასე მოიქცეს. მაგრამ, ამასთან ერთად, სახელმწიფო მეტად ფრთხილად უნდა მოვერდოს ამ საყითხს, რთა გარანტირებული იყოს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ გამოყენებული ზომები სახეს არ შეიცვლის და არ გადაქცევა ისეთ ზომებად, რომელთა საძუალებითაც შესაძლებელი გახდება ადამიანის უფლებების დარღვევის შენიღბვა ან გამართლება.“

„ქვეყნის შიგნით არსებობს იმის საშიროება, რომ უსაფრთხოების გამყარებისაკენ სწრაფებს მივყავართ თავისუფლების უმნიშვნელოვანესი ფასულობების შეწირვისა-კენ, რთაც არათუ გამყარებით, არამედ შიგნიდანაც გაცლით საფუძვლებს დემოკრა-ტიულ მმართველობას.“

გავრ-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი, 2001 წლის 21 ნოემბერი

აღსრულება ან ხარჯვა: მა ფიზიკურ პარლამენტი ამინმებს მთავრობის დანახარჯებს და შესძლოა შეეცალოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალებულების უფრო მაღალი დონის მიღწევას. იხილეთ შესაბამისი ნაწილი ქეებით. დამატებითი საბიუჯეტო მოთხოვნების შემთხვევაში გადახარჯვის თავიდან აცილების მიზნით პარლამენტი ამინმებს ამ მოთხოვნებს.

აუდიტი ან შემომწება: პარლამენტი ამინმებს მთავრობის მიერ დახარჯული ფულადი სახსრების კორექტულებას. პარლამენტი პერიოდულად აფასებს ბიუჯეტს და ანგარიშვალებულების, პროდუქტიულობისა და სიზუსტის დაცვის მიზნით.

ჩანართი №52

რატომ უნდა მიიღოს პარლამენტმა საბიუჯეტო პროცესში აქტიური მონაწილეობა?

ოპოზიციას შეუძლია გამოიყენოს დებატები ბიუჯეტის ალტერნატიული პროექტის წარმოდგენის მიზნით.

უმრავლესობა, რომელიც ხმას აძლევს ბიუჯეტს, გამოხატავს თავის ნდობას აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი, ამით ხაზს უსავამს იმ პუნქტებს, რომელიც ამართლებს ამ ნდობას და კავშირს პოლიტიკის იმპლემენტაციასა და იმ მნიშვესტებელის შორის, რომლის საფუძველზეც ივი არჩეულ იქნა.

მთავრობის პოლიტიკაზე საბიუჯეტო კონტროლი გავლენის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ბიუჯეტის განხილვის აქტის საფუძველზე იგი აღმასრულებელს ანიჭებს მისი განხორციელების უფლებას და ამგვარად ასრულებს საბიუჯეტო ციკლს.

წერილი: General Report on the IPU seminar on “Parliament and the Budgetary Process, including from a Gender Perspective”, Bamako, Mali, November 2001

თავდაცვის ხარჯები

ქვემოთ მოცემულ ჩანართში წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის თავდაცვის ხარჯები. ცივი იმის შემდგომ პერიოდში შეინიშნება თავდაცვის ხარჯების შემცვრების ტენდენცია, რაც წარმოადგენს „მშენდობის დოვიდუნდას“. თუმცა აზისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნაში, პირიქით, შეინიშნება თავდაცვის ხარჯების ზრდა.

ჩანართი № 53

თავდაცვის ხარჯები (მშპ-ის %)

დაფო	1985	2000	2001
აშშ	4.0	2.2	2.2
გაერთიანებული	6.5	3.0	3.2
სამეცნ	5.2	2.4	2.5
საფრანგეთი	4.0	2.6	2.6
გერმანია	3.2	1.6	1.5
ნატო-ს გარეშე ევროპა	4.3	2.8	2.3
სსრ/რუსთი	16.1	5.0	4.3
ახლო აღმოსავლეთი და			
ჩინდილიეთ აფრიკა	11.9	6.7	7.2
ცენტრალური და სამხრეთ აზია	4.3	5.2	3.8
აღმოსავლეთ აზია და ავსტრალია	6.4	3.5	3.3
იაპონია	1.0	1.0	1.0
კარიბის ყურე და ლათინური ამერიკა	3.2	1.7	1.7
სუბსაჰარანია აფრიკა	3.1	3.8	3.4
ერიტრეა	-	30.0	20.9
მთელი მსოფლიოს მასშტაბით	6.7	3.6	3.5

წყარო: The Military Balance 2002-2003, IISS, London.

უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტის შედგენა

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა ბიუჯეტის ეფექტური შედგენის არსებითი პირობებით. ბიუჯეტის შედგენის პროცესში საჯაროობის შედეგად მიიღწევა ანგარშვალდებულება. შესაბამისი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა გამომდინარეობს ეფექტური ბიუჯეტის შედგენის პრინციპებიდან:

აღმიტებითი უფლებამოსილება - პარლამენტმა დანახარჯების უფლებამოსილება უნდა მიანიჭოს აღმას-რულებელ ხელისუფლებას.

ერთიანობა - ყველა დანახარჯი და შემოსავალი პარლამენტის ერთი მთლიანი ჩამოყალიბებული დოკუმენტის სახით უნდა წარედგინოს.

პერიოდულობა - აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტს ყოველწლიურად გარკვეულ დროს უნდა წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი. პერიოდულობა, ასევე, გულისხმობს სახსერების განკარგვის პერიოდის დაფიქსირებას ბიუჯეტის დოკუმენტში.

სპეციფიკურობა - ბიუჯეტის თითოეული პუნქტი უნდა აღირიცხოს და აღინეროს. ფონდების აღწერა არ უნდა იყოს ძალით დიდი.

სამართლებრივობა - ყველა დანახარჯი და საქმიანობა კანონს უნდა შეესაბამებოდეს.

გამოსაყენებლად აღვილი სტრუქტურა - აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტს უნდა აცნობდეს შეფასებული ხარჯების გეგმას, რომელიც პარლამენტის წარმოდგენილი ფართო და მრავალუროვანი აუდიტორიისათვის უნდა იყოს აღვილად მართვადი და გასაგები.

ყუვლისმომცველობა - ეროვნული ბიუჯეტი, რომელიც უსაფრთხოების სექტორის სხვადასხვა ასპექტს მოიცავს, უნდა იყოს ყოვლისმომცველი და სრულყოფილი. ყოველი დანახარჯი უნდა აღირიცხებოდეს და იყოს განკუთხობილი უსაფრთხოების სამსახურებისათვის, მაგალითად, თავდაცვის სფეროსათვის; სხვა გასამზედროებული ორგანიზაციები, პოლიცია და დაცვერვის სამსახურები, ასევე, კერძო სამზედრო კომისანიები დაქირავებული უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

საჯაროობა - ბიუჯეტთან დაკაშირებით ყოველ მოქალაქეს (ნიდივიდს ან ორგანიზაციის სახით) უნდა ჰქონდეს უფლება, გამოითხოვას თავისი აზრი, რაც მას მიმმარცხლისათვის გამოსაყენებლად ადვილ სტრუქტურად წარმოაჩინს. ქვეყნის ყველა რეგიონში უნდა ჰქონდეთ ბიუჯეტის გაცნობის საშუალება (ადგილობრივ ბიბლიოთეკებს უნდა დაეგზავნოთ ასლები).

შედგენილობა - პოლიტიკას, გეგმებს, ბიუჯეტის შემავალ იმპულსებსა და მოქმედების გამომავალ იმპულსებს შერის უნდა არსებობდეს აქარად გამოხატული ბეჭედი.

საშუალებები და მიზნები - ბიუჯეტის ახსნით ნანილი უნდა იყოს ასახული რესურსები, მიზნების მიღწევის გზით, გვემობის განზომვადი შედევები. მოქმილი მოქადაგისათვის ამ სამი პარამეტრიდან წესის მიმდევრობა, დროის ფაქტორი და განვითარების საკითხები თავდაცვის ბიუჯეტის შემუშავების ციკლში.

სათანადო უსაფრთხოების ბიუჯეტის შედგენის პირობები

აღნიშვნული პრინციპები თანამედროვე ბიუჯეტისათვის ხარისხობრივ კრიტერიუმს წარმოადგენს. თუ პარლამენტარებს აკლიათ შესაბამისი ინფორმაცია უსაფრთხოების სექტორის შესახებ, მათ არ შეუძლიათ წამონიონ სოციალ-ეკონომიკური და განვითარების საკითხები თავდაცვის ბიუჯეტის შემუშავების ციკლში.

განსაზღვრული კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის უფლება ზუსტად უნდა განისაზღვროს კონსტიტუციასა და დამატებით კანონებში. გარდა ამისა, პარლამენტმა უნდა გაატაროს კანონები, რათა მიღლოს ინფორმაცია მთავრობისაგან და ამისა უფლებამისილებაც უნდა მოიზოდეს შესაბამისობაში კანონებთან. უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტზე საპარლამენტო კონტროლი ეყმარება პარლამენტის პოლიტიკურ ჩვეულებს. ამას სჭირდება შესაბამისი ძალისხმეული.

ფულის ლირებულება

საბიუჯეტო პროცესი ფულის ლირებულების რო ძირითად წესს ეფუძნება:

- ✓ ეფუძნებულობა: პოლიტიკის მიზნების რეალიზება („სწორად კეთება“)
- ✓ ეფუძნებიანობა: პოლიტიკის მიზნების რეალიზება მინიმალური რესურსების გამოყენებით („ეკონომიკურად კეთება“)

იმსათვის, რომ შევაფასოთ, თუ რამდენად ლირებული ფული თავდაცვის ბიუჯეტში, როგორც ამას თანამედროვე ბიუჯეტის თეორია განსაზღვრავს, ხარჯები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამებსა და მიზნებს (იხ. ჩანართი №54). მაგალითად, დანახარჯები უნდა უკავშირდებოდეს შესაბამის სფეროებსა და მიზნებს (სამშვიდობო მიზები, განათლება). ასევე, ცველა დანახარჯი უნდა დაჯგუფდეს ფუნქციურ კლასტერში. უფრო მეტიც, პარლამენტმა უნდა შეაფასოს ფულის ლირებულების დონე აუდიტორების დამარებით (იხ.

ჩანართი № 54

დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტის შედგენის სისტემა

„(. . .) დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტის შედგენის სისტემა პირველად XX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში იქნა გამოყენებული აშშ-ში თავდაცვის ბიუჯეტის განვითარების მიზნით [დღეს კი მას ბევრ სხვა ქვეყანაშიც მიმართავენ] (...). ამ სისტემის ტიპური ციკლი შედგება პირველად დაგეგმვის ფაზისაგან, რომელშიც უსაფრთხოების გარემო, ასევე, ეროვნული ინტერესები და საფრთხეები განიხილება შეარაღებული ძალების ამოცანების, შემადგენლობისა და სტრუქტურის განსაზღვრის მიზნით. ამ იმპერატივების გათვალისწინებით ვითარდება პროგრამირება. პროგრამა (ბიზნესეგეგმის ფორმა) ახდენს კონკრეტული მიზნების იდენტიფიცირებას. ციკლში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ბმაა, რადგანაც ის აკავშირებს იდენტიფიცირებულ მიზნებს ფინანსურ რესურსებთან. ამ გზით, მოცემული მოთხოვებიდან გამომდინარე, გამოიყოფა რესურსები და დაგეგმვა და პროგრამირება მოსალოდნელი საბიუჯეტო შეზღუდვების მხედვით ხდება. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამები ვითარდება პრიორიტეტების საფუძველზე, ანუ გათვალისწინებულია შეიარაღებულ ძალების ყველაზე პრიორიტეტულ მოთხოვები. ციკლის დასრულებისას იწყება მოქმედების შეფასების ფაზა, რომლის დროსაც სამინისტროსა და მთლიანად საზოგადოებას შეუძლია განსაზღვროს, რამდენად იქნა რეალიზებული წლის ბოლოსათვის კონკრეტული მიზნები. ამ გზით მიღწევა რესურსების ეფექტიანი განაწილება...“

წყარო: Defence Budget Transparency on the Internet, by Kate Starkey and Andri van Meny
Information & Security, Vol. 5, 2000. C4 in Defence of Reengineering.

შემდეგი თავით, ეს კულისხმობს, რომ მთავრობა პარლამენტს გამავალ ბიუჯეტს წარუდგენს შემომავალი ბიუჯეტის ნაცვლად. სისტემატური საბიუჯეტო სისტემები, როგორიცაა ზემოთ მოცემული სისტემა, შესაძლებელია იმ შემთხვევებში, თუ უსაფრთხოების სამსახურების მუშაობა გამჭვირვალეა და აკმაყოფილებს კონფიდენციალობის მოთხოვებს.

საბიუჯეტო წესი

პარლამენტმა უნდა გაითვალისწინოს საბიუჯეტო წესის შემდეგი ელემენტები:

- ✓ ურთიერთობა თავდაცვის ბიუჯეტსა (დანახარჯების გამოთვლა) და ფასების დონის განვითარებას შორის;
- ✓ გადახარჯვის ან ნაკლები დანახარჯების ზღვრის დაწესებისა და მონიტორინგის გამოყენება;
- ✓ ბიუჯეტის განხირცილებისას გადახარჯვის ან ნაკლები დანახარჯების თავიდან აცილების მიზნით გარკვეული ზომების მიღება;
- ✓ თავდაცვის ბიუჯეტის გადახარჯვის ან ნაკლები დანახარჯების შემთხვევაში უნდა ეცნობოს ფინანსთა მინისტრსა და კაბინეტს;
- ✓ თავდაცვის ბიუჯეტის გადახარჯვის კომენსირების წესები: თავდაცვის ბიუჯეტში თავდაცვის სახსრების გადახარჯვის შემთხვევაში კომენსირება ხდება სხვა სფეროების ბიუჯეტიდან.

დროის ფაქტორი და პერიოდულობა

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტის შემუშავების ზღვრული ეფექტიანობა, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიეკცეს დროის ფაქტორს. ხმის მიცემის პროცესსამდე თავდაცვის ბიუჯეტის პროექტების განხილვისათვის უნდა იყოს გამოყოფილი საქმარისი დრო. სამი თვის განმავლობში, სულ ცოტა, 45 დღე საჭირო, რათა პარლამენტარებს მიეცეთ საშუალება თავდაცვის ბიუჯეტის კომისიური განხილვისა.

თავდაცვის ბიუჯეტის შესახებ ზუსტი, გასაგები და დროული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია შემდგენ მიზეზების გამოც:

- ✓ ინფორმაცია ხდება საზოგადოებრივი განხილვების საგანი;
- ✓ იგი აადგილებს უსაფრთხოებისა და მთავრობის სხვა დანახარჯების სისუსტეების, რეფორმების აუცილებლობისა და მთ შორის გაცემლის იდენტიფიცირებას;
- ✓ უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტის გამჭვირვალე მენეჯმენტი აუმჯობესებს მის საზაო-გადოებრივ და საპარლამენტო ანგარიშვალებულებას და ზრდის მთავრობის მიმართ საზოგა-დობის ნდობას.

ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან

პარლამენტს შეუძლია მიიწვიოს ბიუჯეტისა და ფინანსური დაგეგმარების ექსპერტები ბიუჯეტის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში. ამგვარი ქმედება განსაკუთრებით ამართლებს უსაფრთხოებათან დაკავშირებული ბიუჯეტის შემუშავების დროს, თუმცა ეს ყოველთვის არ არის ცხადი და ადგილად გასავალი. ბიუჯეტის შედგენის გამჭვირვალე პროცესი, სხვათა შორის, ეფუძნება ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობისა.

წვრთნა და კომპეტენცია

დაბოლოს, ბევრი ქვეყნის პარლამენტის წინაშე უპირველესი მოცანაა მისი წევრებისა და თანამშრომლების შესაძლებლობების გაზრდა წვრთნითა და კელევით. ამ მაზნით, პარლამენტის მოწოდების ატარებს რეგიონულ და სუბრეგიონულ სემინარებს, რაც ემსახურება დემოკრატიულ მმართველობისა და ეფექტური საპარლამენტო მუშაობის განვითარებას და განკუთვნილია პარლამენტის წევრებისა და თანამშრომლებისათვის (იხ. www.ipu.org).

ჩანართი №55

თავდაცვის ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები: ესპანეთის 2002 წლის თავდაცვის ბიუჯეტი

საქონელი და მომსახურება
საკეთები
ინფრასტრუქტურის განვითარება
საწვავი
მომსახურება: ელექტროენერგია, წყალი, ტელეფონი და ა.შ.
ტენსაციელი
ხელფასი
ტრანსპორტირება
ტრეინინგი
სამედიცინო
სხვა ოპერაციული დანახარჯები
სხვა ფინანსური დანახარჯები
მიმდინარე ტრანსფერები
საერთაშორისო ორგანიზაციები
ავტონომიური ორგანოები
სხვა ტრანსფერები
რეალური ინვესტიციები
შეინალებული ძალების მოდერნიზაცია
იარაღი
კვლევა და განვითარება
სხვა ინვესტიციები
კაპიტალური ტრანსფერები
ფინანსური ანარიცხები

წყარო: Spanish Defence Budget 2002, Ministry of Defence of Spain.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტის შედგენისას

გამჭვირვალობა vs საიდუმლოება

გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობა გადაწყვეტილების შედეგებში საზოგადოებრივი ინტერესებისა და ძირითადი სტრატეგიების გათვალისწინების უმთავრესი გზაა. თავდაცვის ბიუჯეტის შემუშავების პროცესი გამჭვირვალობა საშუალებას აძლევს პარლამენტარებს, სრულყოფილად შეასრულონ მაკონტროლებლის ფუნქცია, გამჭვირვალობა ხელს უწყობს საზოგადოების თვალში უსაფრთხოების სექტორის მიმართ ნდობის გაღიმენებას. თავდაცვის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გამჭვირვალობის დეფიციტი დაკავშირდებულია ბიუჯეტის შედეგების მომენტებულ ფრამებთან ან უსაფრთხოების მიზნების არასწორ განსაზღვრისათვა. ეს მოულენა, ასევე, დაკავშირდებულია ეროვნულ აუდიტურ ინვანიზაციები მრავალდისცადლისური კომპეტენციის არარსპექტასთან, საზოგადოებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინფორმაციის მინიჭების სუსტ კონსტიტუციურ დადგენილებებთან და ბორივრატიულ მიმართებებთან, რომელიც კონფიდენციალობას მდჯობირებს ანგარიშვალდებულებას. საკონისტრუქტო აუდიტური ინვანიზაციები და კანონმდებლები ვალდებული არან გაითვალისწინონ არსებული სისტემური სისუსტეები (იხ. შემდეგი თავი).

ჩანართი №56

უსაფრთხოების ბიუჯეტის შემუშავებისას გამჭვირვალობის ძირითადი წინააღმდეგობები

„გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ძირითადი პრობლემაა ბიუჯეტის შემუშავებისას, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლების ცალკეული ინდივიდუები იღვებენ გა-დაანუველილებს უსაფრთხოების პოლიტიკისა და რესურსების შესახებ. ბევრი მნიშვნელოვანი ოფიციალური პირი გადაწყვეტილებს მიღების პროცესს ეთიშება ან მის მიერ მოღებული გადაწყვეტილება იცვლება, საპარლამენტო ორგანოები, რომელთაც ეროვნულ კონსტიტუციის კონტროლის უფლებამოსილება აქვთ, ასევე, მედია და სამოქალაქო საზოგადოება გამო-თიშულია აღნიშნული პროცესიდან.“

„უსაფრთხოების ძალების ყველა დანახარჯი - შემადგენლობა, ოპერაციები და აღჭურვა - ბიუ-ჯეტში უნდა შევიდეს. თითოეული სეგმენტის ბიუჯეტი უნდა ასახავდეს იმსა, თუ როგორ დაფინანსდება ხარჯები, თუცა უსაფრთხოების ბიუჯეტებს არანარი პირისა არა აქვთ. შიდა საბიუჯეტო სახსახული არის მუხლოვანი, ხოლო მთლიანი დანახარჯი - რომელიც შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა დეპარტამენტის ფრინვებს - ასევე გაუმჭვირვალეა. იმ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვანი ბიუჯეტმიმოდა საქმიანობები ხორციელდება, თვითონ მთავრობა არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას. შესაბამისად, ანგარიშვალდებულება - გეგმების შედრება და აღსრულება - არ ხორციელდება. თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირებსა და აღმა-სრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს ესაჭიროებათ თავდაცვის შესახებ ტექნიკური ცოდნა, რათა შესაბამისი გადაწყვეტლებები მიიღონ თავდაცვის პოლიტიკას, ბიუჯეტის შემუშავებისა და შესკილვების შესახებ. ბიუჯეტმიმოდა პრობლემების გათვალისწინება პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს და მოითხოვს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერ-თობების ხანგრძლივ ფუნდამენტურ ცვლილებებს.“

წყარო: Human Development Report, 2002 (pp. 89 and 91)

კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი თავდაცვისა და უსაფრთხოების ხარჯები

პარლამენტს ხელი უნდა მოუწდებოდეს ბიუჯეტის შესაბამის დოკუმენტებთან იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსური სიზუსტე. თუ მას არ მიეროდება სპეციფიკური ინფორმაცია, მას არ შეეძლება თავდაცვის ბიუჯეტის მონიტორინგისა და კონტროლის კონსტიტუციური ვლადებულების აღსრულება.

პარლამენტს ხელი უნდა მოუწდებოდეს თავდაცვის ბიუჯეტის ყველა დოკუმენტზე. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., დანია და ლუქსემბურგი) პარლამენტი ფლობს დეტალურ ინფორმაციას ბიუჯეტის თითოეული პუნქტის შესახებ. სხვა ქვეყნებში (სარდანებოთ, საბერძნეთი და პოლონეთი) თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტი ერთადერთია, რომელსაც პუნქტობრივად წარდგინება თავდაცვის ბიუჯეტი. ეველტური მმართველობის თვალსაზრისით, კომიტეტი (თუნდაც დაზურულ კარს მიღმა) ან პარლამენტი უნდა იღებდ-ნენ ბიუჯეტის ყველა დოკუმენტს. იგივე პროცედურა უნდა იქნეს გამოყენებული უსაფრთხოების სხვა სამსახურების, სხელდობრ, დაზეურების სამსახურების, მიმართ.

უსაფრთხოების სამსახურების ბიუჯეტის კლასიფიკაცია კანონს უნდა შეესაბამებოდეს, განსაკუთრებით კი კანონს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.

უსაფრთხოების ბიუჯეტის განხილვისა და ხმის მიცემის დროს პარლამენტს არ შეუძლია თავისუფლად შეცვალოს ის, რადგანაც მოქმედებს სამანდატო დანახარჯი (შესყიდვების შესახებ წინა წლებში ხელმინერილი კონტრაქტები) და უფლებამოსილების პროგრამები (პენსია და ჯანდაცვის პროგრამები სამხედრო პირებისათვის). ამგვარი დანახარჯების შეცვლა ხდება გრძელებით პერიოდში.

ჩანართი № 57

კლასიფიკაციის სამი დონე უსაფრთხოების ბიუჯეტში

პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ საგანგებო ვითარებებში ინფორმაციის კონფიდენციალურობას, თავდაცვის ბიუჯეტის შესაბამის ხარჯებსა და ანგარიშვალდებულებას შორის წონასწორობის მიღწევა. ერთ-ერთი გზა ბიუჯეტის პროექტების განცალევებაა უსაფრთხოების კლასიფიკაციის სხვადასხვა დონეზე: პარლამენტისათვის წარდგენილი თავდაცვის ზოგადი ბიუჯეტი; სიცუმლო კაპიტალი და მიმდინარე ხარჯები, რომელსაც გააკონტროლებს თავდაცვის ბიუჯეტისა და სამხედრო ხარჯების ქვეკრიტეტი; ხარჯები, რომელიც გათვალისწინებული მაღლი დონის სამხედრო საიდუმლოსათვის, რომელსაც ამონტებ შემოწმების კომიტეტის წარმომადგებლობის წერტილი წერტილი სამხედრო მიეცებ შესაძლებლობა, გაცნოს საიდუმლო დოკუმენტებს ეროვნული საიდუმლოების აქტის შესაბამისი პროცედურების მიხედვით.

წყარო: Ravinder Pal Singh, Arms Procurement decision making processes, vol 1, OUP, Oxford, 1998.

გამჭვირვალობა საზოგადოებრივი ფონდების არასწორად მართვისა და კორუფციის წინააღმდევე

პარლამენტი მიშიშენელოვან როლს ასრულებს მთავრობის მიერ საზოგადოებრივი ფონდების არასწორად მართვის ენტროლის საქმეში. პარტტიკამ ვეოჩენა, რომ ამგვარი დარღვევები ძირითადად უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტთან დაკავშირებით ხდება, მისი არსიდნ - კომპლექსური ტექნიკური საკითხები და სტრატეგიული უსაფრთხოების მოთხოვნები - გამომდინარე.

უსაფრთხოების სექტორის ეფექტური საპარლამენტო კონტროლის უმთავრესი პირობაა თავდაცვის ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. გამჭვირვალობა, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულების წინააღმდებარება, რომელიც ეფექტური მართველობის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული კოცეცეციები მთელი საბიუჯეტო ცკკლის გასაღებია.

„რადგანაც თავდაცვის ბიუჯეტის შედეგების პროცესში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ნაკლებობას ქვეყნის შეარაღებული ძალების სიდიდის, შესაძლებლოებებისა და მიზნების გაურკვევლობამდე მიყვარათ, მეტი გამჭვირვალობა ყურადღებას უთმობს სამხედრო ხარჯებს და ამცირებს გაურკვევლობისა და გაუგებრობის აღნათობას.“

პოლ ჯორჯი, „#0-იანი წლების თავდაცვის ხარჯები: ბიუჯეტი და ფინანსური პოლიტიკის საკითხები განვითარებაზე ქვეყნებისათვის“, 2002.

საზოგადოდ აღიარებულია, რომ ექსტრემისური სახელმძღვანელო ხარჯები შესაძლოა გარდაიქნას იმ ღირებულ რესურსად, რომელსაც შეუძლია დამლობის სიღრმიები და განაპირობოს სოციალური განვითარება. ხალხის წარმომადგებლები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას მისი შესახებ, თუ როგორ აპირებს აღმასრულებელი ხელისუფლება გადამზღვდების ხარჯზე საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

გადასხადებისარანტორის გამოყენება განვითარებაზე ქვეყნებისათვის დამოუკიდებლივ, ეფექტური მმართველობის მიზნების განხორციელებისა მთავრობა ვალდებულია, გათვალისწინების საზოგადოების აზრი უსაფრთხოების სექტორის დაფინანსებისას. პარლამენტი უნდა უზრუნველყოფებს თავდაცვის ბიუჯეტში განვითარებისა და უსაფრთხოების მთხოვნების გათვალისწინებას. უსაფრთხოების სექტორშე ეფექტურ საპარაღმენტო კონტროლის დამაპრეოლებელი მრავალი პრობლემა არსებობს, რაც აღწერილია შემდეგ ჩანართში.

ჩანართი №58

უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტზე ეფექტური კონტროლის განხორციელების ძირითადი პრობლემები

- ▷ კონსტიტუციური ჩარჩოს არარსებობა - ზუსტი კონსტიტუციური ჩარჩოს არარსებობა განაპირობებს მრავალ სირთულეს, რაც პარლამენტის ართმევს შესაძლებლობას, გააკონტროლოს უსაფრთხოების სექტორის საქმიანობა.
- ▷ ინფორმაციის ნაკლებობა - ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის ნაკლოვანები ართულებენ სენატიური ინფორმაციის გამუდავნებას. ამავე დროს სამართლებლივი ჩარჩოს არასრულფასოვნება და ბუნდოვანება აბრეკოლებენ საპარლამენტო მეთვალყურეობის რეალიზების ძალისხმევას. ამის შედეგად საზოგადოებასა და პარლამენტის ჩამორთმეული აქვთ ანგარიშვალდებულების უფლება, რაც მათ ნორმალური დამოკრატიული სისტემის პრინციპში უდაბნოდ უნდა ჰქონდეთ.
- ▷ ბიუჯეტმილმა ქმედებები და უსაფრთხოების სექტორის საშემოსავლო წყაროები - ბიუჯეტმილმა საშემოსავლო წყარო ხშირად უცნობი ჩჩება პარლამენტისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისათვის (განსაკუთრებით სამხედრო კომანიების კომერციული სახის საქმიანობა ან მოგება გარკვეული სამსახურის უზრუნველყოფისათვის). ეს საქმიანობები უნდა ეცნობოს პარლამენტის ისევე, როგორც უსაფრთხოების სექტორის დაფინანსების სხვა გზები.
- ▷ უსაფრთხოების ხარჯების დამალვა - უსაფრთხოების სექტორში პენსიების, ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ა.შ. ხარჯები ხშირად სხვა სამინისტროების/სექტორების ბიუჯეტებშია გადასრულილი (ჯანდაცვა, განსახლება, რეინიგზა და ა.შ.). ამგვარი პრაქტიკა ხელს უშლის თავდაცვის რეალური ბიუჯეტის წარმოდგენსა და აღუნებს საზოგადოებისა და პარლამენტის შესაძლებლობას, მოახდინოს თავდაცვის ხარჯების რეალური შეფასება.
- ▷ სუსტი მედია - ბევრ ქვეყანაში სუსტი მედია (კომპეტენციისა და რესურსების ნაკლებობის თვალსაზრისით), რაც განაპირობებს უსაფრთხოების სექტორისა და პარლამენტის მუშაობის არაეტუალობას. საზოგადოება ჩჩება მიმდინარე, მუდმივად განახლებადი ინფორმაციის გარეშე.
- ▷ ძალიან მცირე დრო შესაბამისი შემონმებისათვის - როგორც ზემოთ აღნიშნულით, თავდაცვის ბიუჯეტის განხილვისას დროის შეზღუდულობა ეფექტური საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მნიშვნელოვანი პროცესში.
- ▷ ინფრასტრუქტურის, კომპეტენციისა და კადრების ნაკლებობა - ბევრ პარლამენტში ინფრასტრუქტურის, კომპეტენციისა და კადრების ნაკლებობა იმ მოთხოვნების რეალიზების ბარიერისა, რომელთაც აღმასრულებული ხელისუფლება ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული იქნებოდა.

საბიუჯეტო კონტროლი დემოკრატიზებად ქვეყნებში

XX ს-ის 90-იან წლებში ევროპას დემოკრატიის ტალღამ გადაუარა. დემოკრატიზებად ქვეყნებში განვითარება პოვა საპარლამენტო კონტროლის იდეამ და პრაქტიკამ. 59-ე ჩანართში მოცემულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბიუჯეტო პრაქტიკა. აღნიშნული ქვეყნები ცდილობენ, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჩარჩოში მოახდინონ პოლიტიკური სისტემების ინტეგრირება.

ჩანართი №59

თავდაცვის ბიუჯეტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ეპროპის ზოგიერთ ქვეყანაში (2001 წლის მონაცემები)

აღგანითი: 2000 წლის ოქტომბერში შეიქმნა ბიუჯეტის მართვის ოფისი. თავდაცვის პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილია თავდაცვის მოთხოვნები 2008 წლამდე. საბიუჯეტო პროცესზე პასუხისმგებელია თავდაცვის სამინისტრო.

პულგარეთი: უკანასკნელი 10 წლის მანძილზე თავდაცვის მანძილზე თავდაცვის ბიუჯეტის განიხილავს ეროვნული ასამბლეა (ბულგარეთის პარლამენტი). უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლის სფეროში ასამბლეის შესაძლებლობები თანდათან ძლიერდება.

ცორვატია: მთავრობა ბიუჯეტის კანონპროექტს წარუდგენს პარლამენტს, რომელიც ქვეყნდება „ოფიციალურ ბიულეტენში“. ბიუჯეტის შედგენის პროცესი გრძელდება ივლისიდან ნოემბრამდე, კანონპროექტი მუშავდება ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროებში. პარლამენტი თავდაცვის ბიუჯეტის მხოლოდ მთლიანი რაოდენობის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, მას არ შეუძლია შეცვალოს ბიუჯეტის სტრუქტურა.

გაერთიანებული სახაზები: თავდაცვის სამინისტრო ამზადებს კანონპროექტს, რომელიც ეჭიავნება ფინანსთა სამინისტროს. მათ ეტაპზე ქვეწის შესაძლებლობების გათვალისწინების მიზნით სხვა სამინისტროებთან იმართება დიალოგი. ამის შემდეგ ბიუჯეტი ეგზავნება მთავრობას. ცვლილებების შეტანის შემდეგ ბიუჯეტი გადაინაცვლებს პარლამენტში. თავდაცვის სამინისტრო ბიუჯეტს წარუდგენს შედა პოლიტიკისა და თავდაცვის კომიტეტს. კერძოს შემდეგ პრეზიდენტი დაკრეტის სახით აქვეწის ბიუჯეტს. თავდაცვის ბიუჯეტი მშპ-ს 2.12%-ს შეადგენს.

რუმინეთი: დაგემარების, პროგრამირების, ბიუჯეტის შედგენისა და შეფასების სისტემა თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა 2000 წლის იანვრიდან. მისი მიზანია თავდაცვის სექტორის საქმიანობის გამჭვირვალობა. პარლამენტში ბიუჯეტის შედგენის პროცესში რამდენიმე კომიტეტია ჩართული: თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ეროვნული უსაფრთხოების, საბიუჯეტო და საბანკო. თავდაცვის სამინისტროში შესაბამის დეპარტამენტებს ეწოდება: პარლამენტთან ურთიერთობების, საკანონმდებლო, პარმონიზაციისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების. თავდაცვის ძირითადი დოკუმენტი ქვეყნდება ინტერნეტში.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

უსაფრთხოების სექტორის საბიუჯეტო ციკლი

- ▷ უზურნველყავით, რომ პარლამენტი მონაწილეობდეს საპიუჯეტო ციკლის ოთხივე ფაზაში: ბიუჯეტის მომზადება, ბიუჯეტის დამტკიცება, აღსრულება და ხარჯების აუდიტი.
- ▷ უზრუნველყავით კონტროლი სტატუსიანი სააუდიტო ინსტიტუტების საშუალებით.
- ▷ პარლამენტის აუდიტმა და მონიტორინგის სხვა ინსტიტუტებმა ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს პოლიტიკის მიზნები და ბიუჯეტის მოთხოვნები.

ეფექტური საპარლამენტო ქმედება უსაფრთხოების გამჭვირვალე ბიუჯეტის

უზრუნველყოფისათვის

- ▷ მოითხოვეთ, რომ ბიუჯეტი მომზადებულ იქნეს მოცემულ თავში ასახული საბიუ-ჯეტო პრიცესის შესაბამისად.
- ▷ ისარგებლეთ დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით.
- ▷ უზრუნველყავით, რომ უსაფრთხოების სამსახურები იყენებდნენ ფინანსური დაგეგ-მარებისა და ბიუჯეტის შედგენის თანამედროვე მეთოდებს, რაც საშუალებას მისცემს პარლამენტს, გააკეთოს თავდაცვის ხარჯების ვალიდური შეფასება და გააცნობიეროს მიზნებს, ფინანსურ შენატანებსა და ქმედების შედეგებს შორის ურთიერთობა.
- ▷ შეამოწმეთ ვითარება პარლამენტში, დაადგინეთ, რა არის გასაკეთებელი სიძირე-ების აღმოსაფხვრელად.

თავი 24

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯების აუდიტი

პარლამენტი და ეროვნული სააუდიტო ოფისი

პარლამენტი მხოლოდ ბიუჯეტის მიღებაში არ იღებს მონაწილეობას. პარლამენტი ბიუჯეტზე კონტროლსა და აუდიტს ახორციელებს, რაც დემოკრატიული პროცესის ნაწილია. აუდიტის პროცესი როგორიცაც და ქმედებების აუდიტი ითვალისწინებს. უსაფრთხოების სამსახურების ანგარიშები და ყოველწლიური მოხსენებები პარლამენტისათვის მნიშვნელოვანი წყაროა იმის შესაფასებლად, თუ როგორ დაიხარჯა ფული მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლიბაში.

კონტროლის განხორციელებაში პარლამენტს ეხმარებან დამოუკიდებელი ინსტიტუტები, ეროვნული სააუდიტო ოფისი (ზშირად მას უწოდებენ გვინერალურ აუდიტორს), საბიუჯეტო ოფისს ან ანგარიშების პალატას). აღნიშვნული ინსტიტუტები კონსტიტუციური კანონის საფუძვლებზე იქმნება. იგი აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელსუფლებისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუტია. პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ გენერალური აუდიტორი:

- ✓ დაინიშნოს პარლამენტის მიერ და მისი სამუშაო პირობები ნათლად იყოს განსაზღვრული;
- ✓ იყოს მფლობელი სამართლებრივი და პრატიკული საშუალებებისა და რესურსებისა თავისი მისის დამოუკიდებლად შესასრულებლად;
- ✓ იყოს დამოუკიდებელი უფლებამოსილი, გააქეთოს მოხსენება ხარჯების შესახებ პარლამენტის ან მისი საბიუჯეტო კომიტეტის წინაშე.

კანონი ითვალისწინებს სამართლებრივ სახელმწიფო რესურსების არასწორად მართვისა და კორუფციის შემთხვევაში. პარლამენტმა თვალყურური უნდა აღევნოს, რათა დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ზომები იქნეს მიღებული.

ჩანართი № 60

გენერალური აუდიტორი

„გენერალური აუდიტორი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი და ავტონომიური თავისი ფუნქციის შესასრულებლად. თავისი მისის განსახორციელებლად ის უნდა ფლობდეს ადეკვატურ რესურსებს. მას აქვს სამგვარი ფუნქცია:“



ფინანსური კონტროლი

სააუდიტორ ოფისი ამონშებს აღმასრულებელი და საჯარო ინსტიტუტების ფინანსურ სკონტჩებს. მან უნდა დაადგინოს, რომ ფინანსური ოპერაციები საზოგადოებრივი ფონდების საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისად ხდება. აღნიშნული კონტროლის კონტექსტში სააუდიტორ ოფისმა უნდა დააკმაყოფილოს სამართლებრივი მისია ნაფიც ბულალტრებსა და სხვადასხვა სახის ანაზღაურების გამცემ მოწილალურ სტრუქტურებთან. მათ მიერ დასტენის-მებლობის შესასრულებლობის შემთხვევაში გუნერალური აუდიტორი სასამართლოს მოახსენებს დარღვევების შესახებ.

სამართლებრივი კონტროლი

სააუდიტორ იფისი ადგენს ბიუჯეტის კანონთან ყველა დანახარჯისა და შემოსავლის შესაბა-
მისობას.

საზოგადოებრივი ფონდების სწორი გამოყენება

თანამედროვე საუდიტორო ოფისმა ეფექტური მმართველობის თვალსაზრისით უწდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ფონდების სათანადო გამოყენება შემდეგი სამი კრიტერიუმის საუკეთესო:

- (i) **ფულის ღირებულება:** უზრუნველყოვთ, რომ გამოყენებული რესურსების ოპტიმალური ხარჯება მოხდეს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით.
 - (ii) **ეფექტურა:** შეფასებები, თუ რა დონეზე შესრულდა დასახული მიზნები და განზრახვები;
 - (iii) **ქმედობა-უნარიანი:** შედეგების დადგენა რესურსების ოპტიმალური გამოყენებით.

აღნიშნული წინასარი კონტროლი მიმდინარეობს სააუდიტო ოფისის ან პარლამენტის ინიციატივით.

የያኝነት: General Report on the IPU Seminar on Parliament and the Budgetary Process, Including from a Gender Perspective (Bamako, Mali, November 2001)

უსაფრთხოების სფეროს ბიუჯეტის აუდიტი პრაქტიკაში

უსაფრთხოების ბიუჯეტის აუდიტი პარლამენტისათვის მეტად კომპლექსური პროცესია. იგი მოიცავს უსაფრთხოებასთან პირდაპირ და არაპირდაპირ კავშირში მყოფი საკითხების აუდიტური მოხსენებების ანალიზს. არაპირდაპირი საკითხებია: ვაჭრობა, მრეწველობა, კომუნიკაციები და ულის გადარიცხვები. ძირითად გამოწვევას წარმოადგინს აქციარად დაუკავშირებელ საკითხებს შრინის საერთოს ვადას.

პრატეკულად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამინისტროები - ტრადიციული თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ვაჭრობისა და მრეწველობის, ასევე კომუნიკაციებისა და ფინანსთა - პარლამენტის წინაშე რეულარულად წარადგენ დოკუმენტის შემცველ მოხსენებებს იმის შესახებ, თუ როგორ იხსრჯება მათთვის გამოყოფილ სახსრები. საპარლამენტო პროცედურები მოიცავს: დეპარტამენტების ყოველზორ მოხსენებებს, გამოყოფილ სახსრების განხილვას საპარლამენტო კომიტეტების მიერ, თითოეულ სამინისტროს წლიურ ანავარტიშის, პარლამენტის თითოეულ დაპრეზიდენტში სამართლის მიერ.

ჩანართი № 61

გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სააუდიტო ოფისის როლი უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის სფეროში

ეროვნული სააუდიტო ოფისი (NAO), როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, შეიქმნა 1983 წელს, მას ხელმძღვანელობს რევზორი და გენერალური აუდიტორი (C&AG). NAO პარლამენტს აპარებს მოხსენებას ცენტრალური მთავრობის დასახარჯების შესახებ, ანარმოებს ფინანსურ აუდიტს და მოახსენებს, თუ რამდენად შესაბამება იგი მიღებულ თანხებს.

▷ ფინანსური აუდიტი

კანონის მიხედვით, C&AG და ეროვნული სააუდიტო ოფისი პასუხისმგებელი არიან, მოახდინონ ყველა სამთავრობო უწყებისა და სააგენტოს ანგარიშის აუდიტი და შედეგები წარუდინონ პარლამენტს. C&AG ანგარიშების შესახებ გარკვეულ მოსაზრებას აყალიბებს. გარდა ამისა, ისინი აკეთებენ დასკვნას იმის თოაბაზე, რომ ტრანსაქციებს საპარლამენტო წებართვა აქვთ. თუ ეროვნული სააუდიტო ოფისი აღმოაჩენს მატერიალურ უზუსტობას, C&AG ამის შესახებ გამოთქვამს მოსაზრებას. თუ ანგარიშებში არ არის დამკვებული მატერიალური შეცდომა ან უზუსტობა, C&AG-ს შეუძლია გააკეთოს მოხსენება სხვა საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის წინაშე. თემთა პალატის საჯარო ანგარიშების კომიტეტი იღებს აღნიშნულ მოხსენებას.

▷ ფულის ღირებულების აუდიტი

C&AG ყოველწლიურად 50 მოხსენებას წარუდინებს პარლამენტს სამთავრობო უწყებებისა და დეპარტამენტების მიერ მათი რესურსებიდან მიღებული ფულის ღირებულების შესახებ. ეროვნული სააუდიტო ოფისი ამონტებს საჯარო ხარჯების ეკონომისა, ეფექტურობასა და ეფექტურობას. მოხსენებაში საუბარია როგორც აღმოჩენილ უზუსტობებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე, ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები ცვლილებებთან დაკავშირებით. ეროვნული სააუდიტო ოფისის განცხადებით, სამი წლის განმავლობაში გაკეთებული რეკომენდაციების საფუძველზე მთავრობამ დაზოგა 1.4 მილიარდი ფუნტი სტერლინგი. აღნიშნული დაწესებულება, ასევე, აკეთებს მოხსენებას 30 უდიდესი პროექტის შესახებ.

▷ პარლამენტთან ურთიერთობები და ანგარიშვალდებულების ციკლი

ურთიერთობები პარლამენტთან და, განსაკუთრებით, საჯარო ანგარიშების კომიტეტთან მისი ძირითადი სამუშაოა. C&AG, სტატუსის მიხედვით, თემთა პალატის ოფიცერია და მისი ძირითადი საქმიანობა წარმოდგენილია პარლამენტში. ამ თვალსაზრისით მოქმედებს ანგარიშვალდებულების ციკლი. მთავრობის მიერ დასარჯული საზოგადოებრივი ფულის შესახებ გენერალური აუდიტორი მოხსენებას აკეთებს პარლამენტის წინაშე მისი რეგულარულობის შესახებ. მთავრობა ვალდებულია, ყოველ შეკითხვაზე უპასუხოს. საჯარო ხარჯებთან დაკავშირებით ეროვნული სააუდიტო ოფისი პარლამენტარების მიერ 400 კითხვას პასუხობს.

წყარო: Tom McDonald, Senior Auditor, Defence, National Audit Office, UK, 2002

სააუდიტო ოფისის ძირითადი ელემენტები

საპარლამენტო კონტროლის უმნიშვილოვანესი ინსტრუმენტია სააუდიტო ოფისი. მის ეფექტურობას უზრუნველყოფს შემდეგი მახსაითებლები:

- ✓ კანონის მიერ განსაზღვრული აუდიტის ინსტიტუტი აკეთებს მოხსენებას პარლამენტის ანგარიშების კომიტეტის წენაშე (არა სამიუჯეოტო კომიტეტის);
- ✓ მას ხელი უნდა მოუწვდებოდეს საიდუმლო დოკუმენტებზე, რომ გააცნობიეროს გადაწყვეტილებები;
- ✓ უსაფრთხოების სექტორში, თავდაცვის მენეჯმენტში, ტექნიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ საკითხებში მრავალდისციპლინარული კომიტეტებია.

ჩანართი № 62

საქართველოს პარლამენტი და ბიუჯეტის კონტროლი

2001 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტარებმა გადადეს 2002 წლის ბიუჯეტის განხილვა რიცხვებთან დაკავშირებული უთანხმოებისა და დროის უკონლობის გამო, რადგანაც მთავრობამ ძალიან გვიან მიაწოდა ბიუჯეტის კანონპროექტი. იმავე დროს ამერიკელი ექსპერტების დამარტინ თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა თავდაცვის ბიუჯეტის პირველი პროგრამა. პარლამენტის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ შეიარაღებული ძალების ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს და მათ მიეწოდათ ინფორმირებული მოსაზრებები თავდაცვის ხარჯების შესახებ. გარდა ამისა, ბიუჯეტის კანონპროექტი შესაბამებოდა ნატე-ს სტანდარტებს - ყველა ხარჯი სამ ბლოკად იყო განაწილებული: შემადგენლობა, საბრძოლო შესაძლებლობების განვითარება და ინვესტირება.

საპარლამენტო კონტროლის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ძირითადი პრობლემა ის იყო, რომ პარლამენტმა დაამტკიცა ბიუჯეტი და რომ ა) პრეზიდენტი, ფინანსთა მინისტრი და თავდაცვის მინისტრი თავდაცვის ოპტიმალური ხარჯების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ; ბ) უკანასკნელ მომენტში მოხდა ბიუჯეტში რიცხვების შეცვლა, კანონმდებლებს არ აუცილეს მიზეზი; გ) პარლამენტარებს არ ჰქონდათ ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროში შემადგენლობის შემცირებისა და აღნიშნული ზომების ფინანსური გავლენის შესახებ. ამავე დროს სამთავრობო უწყებების ბიუჯეტის კანონპროექტი, რომელიც არ წარმოადგენს ბიუჯეტის კანონის ნაწილს, ზრდის საპარლამენტო კონტროლს.

დაბოლოს, პარლამენტმა თავდაცვის ბიუჯეტისათვის მხოლოდ 38 მილიონი ლარი გამოყო, როდესაც მოთხოვნა იყო 71 მილიონ ლარზე. ამ კონტექსტში, პრეზიდენტი და უსაფრთხოების საბჭო წყვეტს, როგორ გაანილოს ფონდები სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურას შორის. პარლამენტი გამოიყენებს დემოკრატიულ კონტროლს ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების საპარლამენტო პროცედურების გზით.

წერთ: David Darchishvili, Head of the Parliamentary Research Department of the Parliament of Georgia, 2002.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

ეფექტური დამოუკიდებელი აუდიტი

- ▷ უზრუნველყავით, რომ უმაღლესი სააუდიტო ინსტიტუტის შექმნა გათვალისწინებულ იქნეს კონსტიტუციით ან კანონმდებლობით. განსაზღვრული უნდა იქნეს შემდეგი:
 - ეროვნული სააუდიტო ინსტიტუტისა და პარლამენტის ურთიერთობების არსი და სიგრცე;
 - ეროვნული სააუდიტო ინსტიტუტისა და მისი წევრების დამოუკიდებლობა;
 - პარლამენტმა უნდა განიხილოს და მოახდინოს მთავრობის პასუხების მონიტორინგი;
- ▷ შეამოწმეთ, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნას ლიმას დეელარაციის პრინციპები აუდიტის შესახებ. იხ. უმაღლესი სააუდიტო ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციის ვებგვერდი www.intosai.org

კანონიერების, რეგულარობისა და ქმედების აუდიტი

- ▷ შეამოწმეთ, რომ უსაფრთხოების საკითხების განხილვისას ეროვნული სააუდიტო ინსტიტუტი ითვალისწინებდეს აღნიშნულ სამ ასპექტს.
- ▷ უზრუნველყავით, რომ უსაფრთხოების ხარჯების აუდიტის პროცესი პოსტფაქტო ხორციელდებოდეს.
- ▷ აუდიტი ძირითადად ფინანსურ საკითხებს ეხება. სტატუტორული აუდიტის ხელმძღვანელობა უნდა ანარმობდეს ქმედების აუდიტს ან იყენებდეს კონსულტანტებს დამოუკიდებელი შეფასებისათვის, თუ ორგანიზაციას აკლია კომპეტენცია.
- ▷ სტატუტორულმა აუდიტის ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს უსაფრთხოების სამსახურების ფინანსური დეპარტამენტების აუდიტი.

ნაწილი VII

ადამიანური რესურსები
უსაფრთხოების სექტორში:

პროფესიონალიზმისა და დემოკრატიული
კონტროლის უზრუნველყოფა

უსაფრთხოების სექტორში დემოკრატიული ღირებულებების წახალისება

დემოკრატიული განათლება და შეიარაღებული ძალების განწყობა იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ მოხდეს სამხედროების ინტეგრირება საზოგადოებში და ამით საფრთხე არ შეექმნას დემოკრატიას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სამხედრო სფერო ნაკლებად ნარმობადგენს დემოკრატიული კონტროლის სუბიექტს, მნელმართვადა და საზოგადოებაში არ არის ინტეგრირებული. აქედან გამომდინარე, იგი დემოკრატიას მრავალ პრობლემას უქმნის:

- ✓ მისი გავლენა ხშირად არ შეესაბამება კონსტიტუციურ ნორმებს და იქმნება სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე;
- ✓ ახორციელებს არაკანონიერ სამხედრო ან კომერციულ ოპერაციებს;
- ✓ იყენებს იმ რესურსებს, რომელიც საზოგადოების სხეა სფეროებში უნდა იქნეს გამოყენებული;
- ✓ არასწორად განკარგავს საზოგადოებრივ ფონდებს;
- ✓ არღვევს ადამიანის უფლებებს (მაგალითად, ყაჩაღობა, ქურდობა, ძალადობა და გაუპატიურება).

უსაფრთხოების სექტორში დემოკრატიული სამხედრო წესრიგის შექმნის მექანიზმები

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული პოზიციის წახალისება მოიცავს სამხედრო ორგანიზაციებში დემოკრატიული ღირებულებებისა და ინსტიტუტების, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების მექანიზმთა შექმნას. საჭიროა, ეს შედა მექანიზმები დაემატოს შეიარაღებულ ძალებზე საპარლამენტო, სამთავრობო და სამინისტროების შემდეგი ელემენტები დაგენერირებათ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დემოკრატიულად განთავსების გაუმჯობესების საქმეში.

ერთგულება კონსტიტუციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ

ეფექტური მმართველობა მოიცავს უსაფრთხოების სექტორში საზოგადოებრივი სამსახურის ღირებულებებისა და სამართლის ნორმების მორჩილების ეთიკის დანერგვას, კონსტიტუციისა და ეროვნული ინსტიტუტების მიმართ პატივისცემას. ჯარისკაცები და დემოკრატიული საზოგადოების სხეა მცველები ვალდებული არიან, კონსტიტუციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთგულების ფიცი დაღონ. ამგვარი „არაპირობრიული“ ერთგულების ფიცი წარმოადგენს იმსა გამოხატულებას, რომ უსაფრთხოების სამსახურები მთავრობის მიმართ კი არ არიან ლიიალური, არამედ ემორჩილებიან კონსტიტუციისა და ხალხის ლეგიტიმური წარმომადგენლების მიერ მიღებულ კანონებს. უსაფრთხოების სექტორში სამოქალაქო კონტროლი უნდა მოიცავდეს სამხედრო ფიცის არსის ზუსტ ცოდნისა და მისი განხორციელების კონტრეტულ ნაბიჯებს.

უსაფრთხოების სექტორის განსაზღვრული შიდა წესრიგი

მნიშვნელოვანი უსაფრთხოების სექტორის შიდა წესრიგის სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა დემოკრატიული კონტროლის თვალსაზრისით. შიდა წესრიგი გულისხმობს:

- ✓ ოფიცირების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას;
- ✓ მიღებას, ან გადახედვას განვევის შესახებ კანონის, სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის უწევის კონვენციებთან შესაბამისობაში მოყვანილი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას;
- ✓ სამხედრო პრესინალის დაუმორჩილებლობა არასამართლებრივი ბრძანებების მიმართ.

კონსტიტუცია იძლევა მოქალაქეების უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის გარანტიებს, თუმცა სამხედრო სამსახურში მყოფი ადამიანებისათვის ეს უფლებები, სამხედრო დავალებებისა და ამოცანების სპეციფიკიდნ გამომზინარე, შეიძლება შეიზღუდოს. სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს იგივე უფლებები აქვთ, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რადგანაც სამხედრო მოსამსახურები ფორმისანი მოქალაქეები არიან. თუმცა შეზღუდვები ეხმა სიტყვის თავისუფლების პრინციპს, ვინაიდნ სამხედროებს საქმე აქვთ სიცდემი ინფორმაციასთან, გადაადგილების თავისუფლებასთან, რამდნაც ამ შემთხვევაში საქმე ეხმა სამხედრო/უსაფრთხოების მზადყოფნას, ასევე პოლიტიკურ თანამდებბაზე აჩვევის უფლებას. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში აღნიშნული შეზღუდვები სხვადასხვაგვრად არის ნარმოდგენილი. მაგალითად, სკანდალის ქვეყნებში, ვერმანიასა და ნიდერლანდები სამხედრო მოსამსახურებს უფლება აქვს, შექმნას პროფესიულ კავშირი ან გახდეს მისი წევრი. სხვა ქვეყნებში სამხედრო მისამსახურებს მხოლოდ წარმომადგენლობით კავშირების შექმნისა და წევრობის უფლება აქვთ. ყველა შემთხვევაში შეზღუდვები ნარმოდგენილია კანონიქვემდებარე აქტებში და ყოველთვის პირდაპირ კავშირშია სამხედრო მოსამსახურისა და ეროვნული უსაფრთხოების სპეციფიკურ მდგომარეობასთან.

სამხედროების წამომადგენლობითი ასოციაციები და კავშირები

მოხალისეთა და წევებამდლოთა ინტერესების დაცვის მიზნით ბევრ ქვეყანაში აერძალულია პროფესიული კავშირების შექმნა და მასში განვითარება. სახელმძღვანელო მოსამსახურების კავშირების წინააღმდეგ ძირითადი არგუმენტი არის შემდეგი: მათ შესაძლოა დაარღვონ შეასრულებულ ხალხები არსებულო წესრიგი და დისკაბლონ. ევროპის ადამინისტრის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად, სხვა ექვებები ნიბას რიავეგა სამხედრო მოსამსახურებს, შექმნას და შეუერთდნენ სამხედრო პროფესიულ კავშირებსა და ასოციაციებს. ამ ქვეყნების რიცხვში შედიან: აესტრა, ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სლოვენია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, შვედეთი და შვეიცარია. ამ ქვეყნებში სამხედრო მოსამსახურების წარმომადგენლობით ასოციაციებსა და კავშირებს სხვადასხვა უფლებები აქვთ, რაც დამოკიდებულია ასოციაციის ტიპზე. ამგვარი ასოციაციები თავდაცვის მინისტრს უწევენ გარკვეულ კონსულტირებას და ანარმობებ მოლაპარაკებებს სამხედრო სამსახურის პირობების შესახებ. სხვა შემთხვევებში ისინი უზრუნველყოფებ სამხედრო მოსამსახურების ჯამშრობლობისა და უსაფრთხოების პირობებს და ეხმარებიან ცალკეულ ჯარისკაცებს ხელმძღვანელობასთან სამართლებრივი კონფლიქტის დროს. ბრიუსელში არსებობს სამხედრო მოსამსახურების ევროპული ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მეორე ქოლგა ორგანიზაციას სტოკოლმში დაფუძნებული წვევამდელთა ორგანიზაციების ევროპული საბჭოს შემდეგ.

ჩანართი №63

ევროსაბჭოს რეკომენდაცია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ასოციაციის უფლებების შესახებ

1. საპარლამენტო ასამბლეა კრძალავს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურების შეერების უფლებას ნორმალურ ვითარებაში გაფიცვის მიზნით;
4. უკანასკნელ წლებში ევროსაბჭოს ბევრი ქვეყნის არმია განვივის სისტემიდან გადავიდა პროფესიულ სისტემაზე. ამის შედეგად სამხედრო მოსამსახურები ხდებან მუდმივი „თანა-შრომლები“, მათ ქირაობს თავდაცვის სამინისტრო და ისინი მთლიანად უნდა დაემორჩილონ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის მიხედვით განსაზღვრულ სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს.
5. შეიარაღებული ძალების წევრები, როგორც „ფორმიანი მოქალაქეები“ არასაომარი ვითარების დროს, სარგებლობები ყველა იმ უფლებით, რითაც სარგებლობს ჩვეულებრივი მოქალაქე, მათ შეუძლიათ შექმნან, შეუერთდნენ და აქტიურად ითანამშრომლონ იმ ასოციაციებთან, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტების ჩარჩოში იცავენ მათს პროფესიულ ინტერესებს მოვალეობების შესრულების დროს.
6. სამხედრო მოსამსახურები სარგებლობები ყველა უფლებით, მათ შორის უფლებით, გახდნენ ლეგალური პოლიტიკური პარტიის წევრები.
7. ამავე დროს ასამბლეა მინისტრთა კომიტეტს აძლევს რეკომენდაციას, მოუწოდოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს:
 - i. წება დართონ შეიარაღებული ძალების წევრებს, შექმნან წარმმადგენლობითი ასოციაციები საკუთარ ხელფასებსა და მუშაობის პირობებთან დაკავშირებით;
 - ii. გააუქმონ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ასოციაციების შექმნის არსებული შეიღუდვები;
 - iii. წება დართონ შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო მოსამსახურების წევრებს განვირინდნენ ლეგალურ პოლიტიკურ პარტიები;
 - iv. ასახონ აღნიშნული უფლებები სამხედრო კანონებსა და წევრი სახელმწიფოების კოდექსში.
 - v. შექმნან ომბუდსმენის აფისი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სამხედრო მოსამსახურები შრომითი და სხვა სახის დავის დროს;
8. ასამბლეა მოუწოდებს მინიტრთა კომიტეტს, გამოიყენოს შესაძლებლობა და გადახედოს ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებულ მეხეთ მუხლს: „მუშებისა და მოსამსახურების მიერ მათი სოციალური და ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის თავისუფლების უზრუნველყოფისა და წახალისების თვალსაზრისით, მხარეები თავის თავზე იღებენ იმას, რომ ეროვნული კანონ-მდებლობა არ გახდება ამ უფლების დარღვევის მიზეზი. ეროვნული კანონები და დადგინდებები განსაზღვრავენ ამ მუხლში გათვალისწინებულ გარანტიებს.

წყარო: Recommendation 1572 (2002)
Council of Europe Parliamentary Assembly, 3 September 2002

განათლების ძირითადი ღირებულებებისა და ნორმების ხელშეწყობა

სამხედრო მოსამსახურების განათლების მიზანია ამოცანების შესრულებისათვის მზადებოლი და თავგანწირული პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურის აღზრდა. განათლება უნდა იყოს პოლიტიკურად ნებისმიერული და ყოველგვარი პოლიტიკური იდეოლოგიისა და პროპაგანდის ელემენტებისაგან თავისუფალი. იგი უნდა მოიცავდეს დემოკრატიის, კონსტიტუციური, საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის კურსებს. ალბერტულ სექტორში დემოკრატიულ ღირებულებების წახალისების სფუძველის საერთაშორისო პუმანიტარულ სამართლასა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის შესწავლა და ამ დაწესებში ტრეინინგები. პარლამენტარებს პუმანიტარული სამართლის შესწავლის მიზნით შეეძლია გაცემის პარლამენტაშორის კვშრისა და წითელი ჯერის საერთაშორისო კომიტეტის მიერ 1999 წელს გამოქვეყნებულ წესს „პუმანიტარული სამართლის დაცვა“. წითელი ჯერის საერთაშორისო კომიტეტი და ბასრო-ს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი ტექნიკურ დამარტინის უწევენტი იმ ქვეყნებს, რომელთაც სურათ გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები საერთაშორისო პუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის დაცვის თვალსაზრისით.

პოლიტიკური ნეიტრალობისა და არააქტიური ჩარევის უზრუნველყოფა

პოლიტიკური ნეიტრალობა უსაფრთხოების სამსახურების პრეროგაზეავა, პოლიტიკურ პარტიებს არა აქვთ უფლება, ანამორო კამიანია ყაზახმებში. თუმცა ზოგიერთ ქვეყნაში სამხედრო მოსამსახურებს შეეძლიათ გახსნენ პოლიტიკური პარტიის წევრები, სხვა ქვეყნებში კი, განსაკუთრებით, პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში, სამხედრო მოსამსახურებს არა აქვთ უფლება პოლიტიკური პარტიაში განვითარებას. მაგლოთად, პოლონეთში შინაგან საქმეთ სამინისტროს, დაზგვრის ან პოლიციის თანამშრომლებს აკრძალული აქტ პოლიტიკური პარტიის წევრობა. ბევრ ქვეყანაში სამხედრო მოსამსახურები ვერ გახდებან ეროვნულ პარლამენტის წევრები. ნიდერლანდებსა და გერმანიაში კი სამხედრო სამსახურში მყოფი პირები ადგილობრივი ან რეგიონული ასამბლეის წევრები ხდებან.

უსაფრთხოების სამსახურები, როგორც საზოგადოების სარკე

ფაქტობრივად, უსაფრთხოების სამსახურები კველა მოქალაქეისათვის ლია სქესის, პოლიტიკური ორიენტაციის, კლასის, რასისა თუ რელიგიის მიუხედავად. იყო საუკეთესო საკუთარ სფეროში - შეჩრების უმთავრესი კრიტერიუმია. ბევრ ქვეყნაში აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სამსახურების მოსამსახურ პირი, განსაკუთრებით, პოლონებისა და შეიკრალებული ძალების წევრები ნარმოადგენ საზოგადოების სარკე. ეს ქვეყნები სპეციფიკურ პოლიტიკას მიმართავთ უსაფრთხოების სამსახურების ნაკლებად ნარმოდგნილი ჯგუფების ამ სფეროში დაკავების მიზნით.

არაკანონიერი და შეურაცხებული ბრძანებების დაუმორჩილებლობის ღეგალიზება

უსაფრთხოების სამსახურების სტაცისი, სიცროცი, მოქმედება, თანამშრომლობა, ამოცანები, მოხსენები, მოვალეობები და კონტროლი განსაზღვრულია კანონის მიხედვით. უსაფრთხოების სამსახურების უფლებამოსილებებს ადგენის კანონი. სამხედრო მოსამსახურება აქტი ან სისხლის სამართლის სამხედრო კანონი ასახელებს იმ ბრძანებებს, რომელთა შესრულება არ ევალება სამხედრო პერსონალს. ბევრ ქვეყნაში ეს კანონის ამულებს თითოეულ სახელმწიფო ხელმძღვანელ, დაცუს კანონის უზენაესობა რისინების გაცემის შემთხვევაში. მოსამსახურებს უფლება აქტი, არ დატერმინირებულ არაკანონიერ (დანაშაულებრივ) ბრძანებებს; არცერთ სამხედრო მოსამსახურებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრძანება გასცა ხელმძღვანელმა; გარდა ამისა, არცერთი მოსამსახურე არ არის გაღდებული, შეასრულოს ის ბრძანება, რომელიც არ არის დაკავშირებული მის

საქმიანობასთან და შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას. ეს ნიშანებს, რომ თითოეული მოსამსახურე თვითონ არის პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე, მაშინაც კი, როდესაც ბრძანებას მისი ხელმძღვანელი იძლევა.

უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა საჯაროდ უნდა აცხადებდეს, რომ არ უნდა იქნეს დაშვებული არადომორატიული, ანტიკონსტიტუციური, ამორალური ბრძანებები ან აქტები ჯარისკაცთა მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის განცხადება ყოფილ სამხედრო დიქტატორულ ქვეყნებში. მას შემდეგ, რაც არგენტინა დაუტუნდა დემოკრატიას, „უმაღლესია სამხედრო პირებმა განაცხადეს, რომ „მიზანი არ ამართლებს საშუალებას“, და ყველა, ვინც იძლევა ამორალურ ბრძანებებს და ვინც ემორჩილება მათ, არღვევს კანონს“. ამგვარი განაცხადის გაკეთებათ, უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა აზუსტებდა, რომ ინდივიდი თვითონ არის პასუხისმგებელი დანაბაშლასა და კანონდარღვევაზე და ამის გამართლება დაუშვებელია.

დაუსჯელობის აღკვეთა შესაძლებელია იმის უზრუნველყოფით, რომ ჰემიანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევის შემთხვევაში ინდივიდი დაისჯება შესაბამისი ადმინისტრაციული ოუ სასამართლო ორგანოების მიერ.

უმაღლესი სამხედრო პირების დანიშვნისას მიღებული კრიტერიუმები

კაბინეტი ან თავდაცვის მინისტრი ნიშანებს უსაფრთხოების სამსახურების უმაღლეს ხელმძღვანელობას, მაგალითად, შეიარაღებული ძალების სარგალს ან დაზერვის სამსახურის ხელმძღვანელს. ზოგირთ ქვეყანაში ამგვარი დანიშვნების განხორციელება პარლამენტში დებატების საგანი ხდება, ან მათ ნიშანებს პარლამენტი. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სამხედრო პირები ინიშვნებიან სამოქალაქო პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ, სელექციის პროცესში განმსაზღვრელია პროცესიული კრიტერიუმი.

სამოქალაქო პირები უსაფრთხოების სექტორის მართვის უმაღლეს ეშელონებში

ეფექტური მართველობის თვალსაზრისით, უსაფრთხოების სამსახურების, მაგალითად შეიარაღებული ძალების, მართვაში უნდა იყენებ ჩაბმული სამოქალაქო პირები. დაბალნისტული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფად მინისტრების მრჩეველები უნდა იყენებ არა მარტო სამხედრო განერლები, არამედ სამოქალაქო მიერ.

პროცესიული პათოსი

მუშაობის პროცესიული პათოსი ემყარება პარაქტიკას, კანონებსა და პოლიტიკას. სამხედრო მოსამსახურებმა უნდა ითანმშრომლონ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და კონსტიტუციასთან, თავი უნდა მიუძღვნან საზოგადოებრივ სამსახურს, თავიათი მოვალეობები უნდა შეასრულონ ეფექტურად და ეფექტურად, ბოროტად არ უნდა გამოიყენონ უფლებამოსილება და საზოგადოებრივი ფული. მნიშვნელოვანია, რომ პროცესიული ხასიათი განპირობებული იყოს წებაყოფლობითი თანხმობით და არა ისულებითი მორჩილებით. წებაყოფლობითი თანხმობა გულისხმობების მოსამსახურების მიერ დემოკრატიული ლირებულებების გათავისებას კანსტიტუციისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სასარეცხოდ.

ბევრ ქვეყანაში მიღებულია უსაფრთხოების სამსახურების მოსამსახურეთა ქცევის კოდექსი, რომელიც მათს ქმედებას არეგულირებს. ჩანართი №64 ასახავს გერმანიის შეიარაღებულ ძალებში არსებულ პროცესიულ პათოსს.

ჩანართი №64

ხელმძღვანელობა და სამოქალაქო განათლება გერმანიის შეიარაღებულ ძალებში: პრინციპი „Innere Führung“

„(...)როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბუნდესვერის შექმნა განიხილებოდა, მორალური ლიდერობისა და სამოქალაქო განათლების პრინციპი იყო ის გზა, რომელიც დაეხმარებოდა შეიარაღებულ ძალებს ძველი, ადრეული ტრადიციების გადალებაში. აღნიშნული პრინციპები ქმნიდა ბუნდესვერის შიდა ორგანიზაციის ძირითად მოწირებისა და სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მისი ინტეგრირების საფუძველს.

(...)აღნიშნული პრინციპი ამცირებს დაძაბულობასა და კონფლიქტებს, ერთი მხრივ, უსაფრთხოების სექტორის მოსამსახურების ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ხოლო მეორე მხრივ, სამხედრო სამსახურის ვალდებულებებს შორის. მაღალჩინოსანი ოფიციების მოქმედებას უნდა განაპირობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემა - ჩვენი კონსტიტუციური წესრიგის საფუძველი. (...)

გარდა ამისა, ბუნდესვერის, როგორც ინსტიტუტის, ასევე, ყველა სამხედრო მოსამსახურის სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ინტეგრირება მეტად მნიშვნელოვანია. (...) ბუნდესვერის „სახელმწიფოს სახელმწიფოში“ არსებობის საფრთხე მუდმივად არსებობს. (...)

აღნიშნული პრინციპის მიზნებია:

- ▷ სამხედრო პერსონალის სრულად ინფორმირება ბუნდესვერის პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებების, ასევე, მათი სამხედრო მისიის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ;
- ▷ ბუნდესვერისა და მისი მომსახურე პერსონალის სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ინტეგრირების წახალისება და მისი მისიების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის ხელშეწყობა;
- ▷ სამხედრო მოსამსახურების მიერ თავიანთი მოვალეობების გაცნობიერების ხელშეწყობა, შეიარაღებულ ძალებში დისციპლინისა და ერთიანობის ზრდა.

შეიარაღებული ძალების შიდა სტრუქტურის ორგანიზების საფუძვლად ადამიანის ღირსებისა და სამართლებრივი და კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა, რაც გაამარტივებს შეიარაღებული ძალების ეფექტურ ქმედებას.

ლიდერობისა და სამოქალაქო განათლების პრინციპი სამხედრო ცხოვრების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, რაც კანონებში, ბრძანებებსა და რეგულირების ცალკეულ ნორმებში პოულობს ასახვას. (...“

წყარო: Website of the German Federal Parliament www.bundestag.de

საერთაშორისო დონეზე განვითარდა დემოკრატიული ქვეყნის სამხედრო მოსამსახურის პროფესიული ქცევის ორი კოდექსი. პირველი, 1979 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საერთაშორისო კოდექსი სტრუქტურების ნარმობადგენერატათვის: იხ. ჩანართი №65. კოდექსი ზოგადია და ეხება არა მარტივ ფორმიან მოსამსახურებს, არამედ ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე ყველა საჯარო მოხელეს.

ჩანართი № 65

ძალოვანი სტრუქტურების ქცევის კოდექსი

1979 წლის 17 დეკემბერს მიღებულ იქნა გერერალური ასამბლეის მიერ, რეზოლუცია 34/169

მუხლი 1 - ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა უნდა შეასრულონ ის მოვალეობები, რომლებიც კანონითავა განსაზღვრული, ანუ ემსახურონ საზოგადოებას და დაიცვან ადამიანები არაკანონიერი აქტებისაგან. მათი პროფესია ითხოვს პასუხისმგებლობის მაღალ დონეს.

მუხლი 2 - ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას პატივი უნდა სცენ ადამიანის ღირსებას და უნდა დაიცვან ყველა ადამიანის უფლებები.

მუხლი 3 - ძალოვანი სტრუქტურებს ძალის გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

მუხლი 4 - ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა კონფიდენციალური სახის ინფორმაცია მკაცრად უნდა გაასაიდულონ, გარდა იმ ვითარებისა, როდესაც მათ მიერ მოვალეობის შესრულება ან სამართლიანობა მოითხოვოს ამგვარი ინფორმაციის გაცემას.

მუხლი 5 - ძალოვანი სტრუქტურის რომელიმე წარმომადგენლელს უფლება არა აქვს, ჩაიდონოს ან დამალოს წამების, არაპეტურული დასჯის ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი. წამების, არაპეტურული დასჯის ან დამამცირებელი მოპყრობის გამართლება დაუშვებელია ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებით: ომის მდგომარეობა, ომის სასირთხო, ეროვნული უსაფრთხოების რისკი, შეიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა ნებისმიერი განსაკუთრებული ვითარება.

მუხლი 6 - ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების ჯანმრთელობა, განსაკუთრებით, საჭიროების შემთხვევაში დამატებარება უნდა გაუწიონ მათ.

მუხლი 7 - ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები არ უნდა აღმოჩნდნენ ჩართული კორუფციულ ქმედებებში. მათ წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ და ბრძოლა გამოუცხადონ აზგარ ფაქტებს.

მუხლი 8 - ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან კანონი და აღნიშნული კოდექსი, უნდა ებრძოლონ და წინააღმდეგობა გაუწიონ ყველა ამგვარ ფაქტს. იმ შემთხვევაში, თუ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები აღნიშნული კოდექსის დარღვევის ფაქტს აღმოაჩენი ან შეინიშნავენ, რომ დარღვევა შეიძლება განხორციელდეს, მათ ამის შესახებ უნდა მოახსენონ ზემდგომ ან სხვა შესაბამის ოფიციალურ პირებს ან ორგანოებს, რომელთა უფლებამოსილებაშიც შედის აღნიშნული ფაქტების გამოკვლევა.

შენიშვნა: აღნიშნული კოდექსის თთოვეულ მუხლს აქვს კომენტარი, რომელიც არ არის წარმოდგენილი წიგნის ამ ნაწილში. სრული დოკუმენტაციის გასაცნობად იხ. ბერძნ-ევროპური დოკუმენტი: www.UN.org

ეუთო-ს უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური ქცევის კოდექსი უსაფრთხოების სექტორის ორგანიზაციების მომსახურე პერსონალზე ვრცელდება და ასევე წარმოადგენს ორიენტირს შეიარაღებული ძალების შემადგენლობისათვის. ამ სტრუქტურებში მომსახურე პირი უნდა იზიარებდეს კანონიერობის, დემოკრატიის, ნეიტრალობის, ადამიანის უფლებების პატივისუფლივისა და სერთაშორისო ჰერიტაჟული სამართლის წორებს. კოდექსში აღნიშნულია, რომ სამხედრო მოასახურები პუმანიტარული სამართლის პრინციპების დარღვევაზე ინდივიდუალურად არიან ანგარიშვალდებული. კოდექსში წარმოდგენილია საკითხები, რომლებიც, ჩვეულებრივ, შეიდა სახელწიფო იურისდიქციის წარმოადგენს. ასე რომ,

აღნიშნული კოდექსი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წინსვლას და საჭიროა მისი დაცვა. მას შემდეგ, რაც 1994 წელს ეუტო-ს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს აღნიშნულ კოდექსს, ეუტო-ს სახელმწიფოები შეუდინებ ჯარის რერუტირების, განთლების, წერთხისა და ხელმძღვანელობის ნორმების შემუშავებას. კოდექსის მინშენელოვანი ელექტრიკული ძეგლების შემდევი პროფესიონალიზაცია, რაც უნდა გაზდეს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ნაწილი.

ჩანართი №66

ეუტო-ს ქცევის კოდექსი უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების შესახებ (1994): ძირითადი მახასიათებლები

- ▷ შინაგანი ძალების ფართო კონცეფცია მოიცავს: დაზვერვის სამსახურებს, გასამხედროებულ ორგანიზაციებსა და პოლიციას. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, დემოკრატიული კონტროლი დამკვიდროს აღნიშნულ ორგანიზაციებზე (მუხლი 20-21).
- ▷ თავდაცვის ბიუჯეტის დამტკიცება საკაონმდებლო ორგანოს მიერ და სამხედრო ხარჯების შეზღუდვის მხარდაჭერა. შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა (მუხლი 22)
- ▷ შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალობა (მუხლი 23); შეიარაღებული ძალების პერსონალი ინდივიდუალურად არის პასუხისმგებელი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის დარღვევებზე (მუხლი 31);
- ▷ შეიარაღებული ძალები უნდა იმართებოდეს, კომბლექტდებოდეს, ინვრონებოდეს და აღიჭურვებოდეს ომისა და მშვიდობის დროს საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად (მუხლი 34);
- ▷ შიდა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ძალის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ძალის გამოყენების საჭიროებას. შეიარაღებულმა ძალებმა უნდა იზრუნონ სამოქალაქო პირებისა და მათი საკუთრების დაცვაზე (მუხლი 36);
- ▷ შეიარაღებული ძალების გამოყენება არ ზღუდვას მოქალაქეს ადამიანური და სამოქალაქო უფლებებით მშვიდობიან და კანონიერ სარგებლობას და არ ართმევს მათ ეროვნულ, კულტურულ, ლინგვისტურ ან ეთნიკურ იდენტურობას (მუხლი 37);

წერო: OSCE Code of Conduct, Sections VII and VIII. **თბ:** OSCE website: www.osce.org and OSCE Code of Conduct website: http://www.osce.org/docs/english/1990-1999/summits/buda94e.htm#Anchor_COD_65130

სამხედრო იურისდიქცია

სამხედრო დისციპლინის მოთხოვნებს განაპირობებს სამხედრო მისის უნიკალური ბუნება. მაგალითად, სამხედროებს დაბაძულებრივი ქედების შესახებ განსხვავებული შეხედულება აქვთ. სამოქალაქო მოსახახურე სისხლის სამართლის დენისის სუბიექტი არ ხდება იმის გამო, რომ სამუშაო საათების დროს სამსახურში არ იმყოფება ან შესაბამისად ვერ ასრულებს თავის საქმეს ხელმძღვანელობა მას საკუვედურს გამოუცხადებს და სხვა სამსახურში მოსაწყობად რეკომენდაციას არ მისცემს, მას უფლება არა აქვს აღძრას სისხლის სამართლის საქმე. სამხედრო მოსამსახურე კი თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან

მოვალეობის თავიდან აცილების შემთხვევაში სისხლის სამართლის დევნის სუბიექტი ხდება. ამგვარი ქმედება არა მარტი მოვალეობის შეუსრულებლიბას ნარმოადგენს, არამედ ის, ასევე, არღვევს სხვა სასხელმწიფო პირების უსაფრთხოებას. სამოქალაქო საზოგადოების აღიარებულია, ასევე, სხვა სამზღვრო დარღვევები: ყალბი სიები, დეზირებირობა, შევებულების გარეშე გამოიცხადებლობა, გაცდენა, სამზღვრო ხელმძღვნელობის მიმართ უპატივცემულიას, ბუნტი, მტრისთვის დახმარების გაწევა და მოვალეობის შესრულების დროს ძილი.

აქედან გამომდინარე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი საქმე უნდა დაექცემდებაროს სამხედრო და სამოქალაქო ოურისდიქციას. სამხედრო სასამართლო შედარებით ნაკლებად უნდა იქნეს წარმოდგენილი, ვიდრე სამოქალაქო. სამხედრო ოურისდიქცია განიხილავს იმ დანაშაულობებს, რომლებიც სამხედრო ფუნქციების აღსრულების დროს იქნა ჩადენილი, სამხედრო კოდექსსა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა გადაფაროს სამოქალაქო სისხლის სასამართლოს კოდექსი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყნაში სამხედრო სასამართლო არ არის სასამართლო ხელისუფლების ნაწილი, არამედ ეკვეთებარება შეიარაღებულ ძალების აღმინისტრაციულ ტრიბუნალს, რაც, თვეის მხრივ, ეკვემდებარება აღმსარულებელ ხელისუფლებას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სამხედრო მოსამართლები მოსამართლეთა დანიშნვის კონსილიტუციური დადგენილებებისა და მოთხოვნების საფუძველზე არ ინიშნებიან. მგრამ, მიუხედავად ამისა, სამხედრო სასამართლოების მონიტორინგს სასამართლო ხელისუფლება ეწევა. ბევრ ქვეყნაში არსებობს სამოქალაქო სააპელაციო სასამართლო, რომელიც სამხედრო ოურისდიქციის სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენს.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

უზრუნველყავით, რომ:

1. სამხედრო მოსამსახურებ ფიცი დადოს კონსტიტუციის, კანონის უზენაესობის, სახელმწიფო ინსტიტუტების და არა ცალკეული ინდივიდების ერთგულებაზე.
2. განათლება მიმდინარეობდეს დემოკრატიული ღირებულებებისა და ნირმების, სამოქალაქო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის, როგორც სამხედრო წერთნის სტანდარტების, საფუძველზე.
3. სამხედრო ოფიცირებს არ ჰქონდეთ უფლება, გახდნენ პარლამენტის წევრები.
4. ახალი ჯარისკაცებისა და ოფიცირების შერჩევა განისაზღვრება პროფესიული კრიტერიუმის მიხედვით.
5. ლეგალიზებული იყოს ის, რომ სამხედრო მოსამსახურის მოვალეობა არ დაემორჩილოს არაკანონიერ ბრძანებებს.
6. სამხედრო პათოსს ახასიათებდეს ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელიც ქცევის შესაბამისი კოდექსიდან გამომდინარეობს.
7. სამხედრო ოურისდიქციის კომისიერეცია შეზღუდული იყოს იმ ასევეტით, რომ სამხედრო სასამართლოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელი იყოს სისხლის სამართლის სამოქალაქო სასამართლოში.



8. უსაფრთხოების სამსახურები ანგარიშვალდებული იყვნენ - კანონისა და პრაქტიკის მიხედვით - სახელმწიფოს თითოეული ელემენტის მიმართ (ამ თავში უკვე იხილეთ სამხედრო მოსამსახურის ინდივიდუალური ანგარიშვალდებულება) და უსაფრთხოების სამსახურების შიდა ანგარიშვალდებულების მექანიზმებს ადგენდეს კანონი; ეს მექანიზმები ეფექტურად იქნეს გამოყენებული; აღნერილ იქნეს ფაქტები იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას დააპირებს.

სამხედრო მოსამსახურეთა სამოქალაქო უფლებები

- ▷ სამხედრო მოსამსახურების სამხედრო მზადყოფნისა და პოლიტიკური წეიტრალობის უზრუნველსაყოფად კანონით შეზღუდეთ მათი სამოქალაქო უფლებები.
- ▷ გაითვალისწინეთ, რომ სამოქალაქო უფლებების წებისმიერი დარღვევა პირდაპირაა დაკავშირებული უსაფრთხოების სამსახურების უნიკალურ ხასიათსა და ამოცანებთან, ამის მაგალითად ძალის მონიპოლიზება საზოგადოებაში.
- ▷ ეფექტურად უნდა მოხდეს სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის კომპენსირება.

მორჩილება

- ▷ კანონით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სამხედრო მოსამსახურის, მათ შორის წევევმდებების, მიერ არაკანონიერი და არაეთიური ბრძანებების (რომლებიც ენინაალმდებებიან ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს) შეუსრულებლობა.
- ▷ უზრუნველყავით, რომ აღნიშნული მოვალეობა უსაფრთხოების სამსახურების დისციპლინური სისტემის მიერ იყოს გათვალისწინებული.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და კორუფცია

- ▷ მოქმედეთ სწრაფად, თუ უსაფრთხოების სფეროში ადგილი აქვს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის ფაქტებს.
- ▷ უზრუნველყავით ჩაღრმავებული გამოძიება, სანქციების გამოტანა კი უნდა მოხდეს შესაბამისი ორგანოს მიერ.
- ▷ მიიღეთ კანონი, რომლის მიხედვითაც სამხედრო მოსამსახურეს ეკრძალება კომერციულ საქმიანობაში ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ჩართვა ან სხვა სამუშაოზე ყოფნა.

თავი 26

უსაფრთხოების სექტორში მომსახურე პერსონალის მენეჯმენტი

სამხედრო პირის საქმიანობა დაკავშირებულია ფიზიკურ რისკთან, რეგულარულ გადაადგილებასთან, რეაქციების მოწყვეტასთან და ა.შ. პარლამენტარულია უნდა იცოდენ, რომ სამხედრო საქმე სხვა სამუშაოს არ ჰყავს. პერსონალის სწორი მენეჯმენტი - მათ შორის სწორი რეერუტირება, სელექცია, თანამშრომელების აყვანა, ანაზღაურება, განათლება და დაფილდოება - უმნიშვნელოვანესია პროფესიული უსაფრთხოების სექტორის განვითარებისთვის, იგი ემუსირება დემოკრატიულ პრიციპებს.

პარლამენტმა კონტროლი უნდა განახორციელოს პროფესიული უსაფრთხოების სექტორის განვითარებაზე. პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის მენეჯმენტის გეგმების განვთავება და იმპლემენტაცია, რაც დემოკრატიულ და პროფესიულ სამუშაო ძალის განმაპირობებელია. სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასის, სამუშაო პიროვნების, პენსიონერებისა და ფულადი დახმარების მინიჭორინგს, ასევე, ახორციელებს პარლამენტი.

ჩანართი №67

სამხედრო მოსამსახურეთა მენეჯმენტი: ძირითადი მომენტები

პარლამენტარებს უნდა მიეროდოთ ინფორმაცია მთავრობის წინადადებების შესახებ უსაფრთხოების სამსახურების მოსამსახურე პერსონალის მენეჯმენტის მენეჯმენტთან დაკავშირებით.

პოლიტიკის ძირითადი საკითხები

- ▷ ამტკიცებს თუ არა პარლამენტი უსაფრთხოების სამსახურების მოსამსახურე პერსონალის მენეჯმენტის პოლიტიკას, როგორც წლიური ბიუჯეტის ნაწილს თუ როგორც ცალკეულ დოკუმენტს?
- ▷ არის თუ არა, ბიუჯეტისა და ეროვნული ეკონომიკის თვალსაზრისით, რეალისტური პერსონალის მენეჯმენტისა და შეიარაღებული ძალების სტრუქტურა?

სიძლიერე და ზოგადი პირობები

- ▷ განსაზღვრავს თუ არა პარლამენტი შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და დაზვერვის სამსახურების მოსამსახურე პერსონალის რაოდენობის მაქსიმუმს?
- ▷ წყვეტს თუ არა პარლამენტი რანგების ზღვარს?
- ▷ აქვს თუ არა საზოგადოებას საშუალება, გაეცნოს პერსონალის მენეჯმენტის პოლიტიკას?
- ▷ იღებს თუ არა პარლამენტი ინფორმაციის რანგების რაოდენობის, ანაზღაურების, ფუქციების, ვაკანსიების შესახებ?
- ▷ წარმოადგენს თუ არა უსაფრთხოების სექტორის რეფორმა სამხედრო მოსამსახურეთა დროებითი გათავისუფლების მიზეზს?



რეკუტირება და სელექცია

- ▷ არის თუ არა ყველა თანამდებობა ლია ნებისმიერი მოქალაქისათვის, მათ შორის ქალებისათვის, თუ ეს განსაზღვრულია კანონის მიერ?
- ▷ ფუნქციონირებს თუ არა უსაფრთხოების სამსახურების მომსახურე პერსონალის რეკუტირების ლია სისტემა, განსხვავებით ჩაკეტილი სისტემისაგან, როდესაც საზოგადოების მხრივ ცალკეულ სეგმენტს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა შერჩევის პროცესში?
- ▷ გამოიყენება თუ არა პროფესიული კრიტერიუმები კანდიდატების შერჩევისათვის?
- ▷ ბევრი ვაკანსია თუ არა წარმოდგენილი უსაფრთხოების სამსახურებში?
- ▷ როგორია შერჩევის შემდეგ სამხედრო სამსახურიდან დათხოვილთა რაოდენობა?

კადრების შერჩევა

- ▷ მოქმედებს თუ არა პრინციპი - მოსამსახურე პერსონალი შერჩეულ უნდა იქნეს დამსახურებისა და პროფესიულობის საფუძველზე?
- ▷ მოქმედებს თუ არა პერიოდული შეფასების სისტემა?
- ▷ არის თუ არა ეს სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი?
- ▷ არსებობს თუ არა პროფესიული ზრდისა და ვერტიკალური მობილობის საშუალება?
- ▷ აკრძალული აქვთ თუ არა სამხედრო მოსამსახურებს სხვა სამსახურში მუშაობის უფლება?
- ▷ რამდენად გამოცდილი არიან მეთაურები სავალე გამოცდილების თვალსაზრისით?
- ▷ აძლევს თუ არა მინისტრი რჩევას პარლამენტს ან შესაბამის კომიტეტს უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე დანიშვნების დროს, მაგალითად, ამ თვალსაზრისით: რა ვითარებაა უმაღლესი მთავარსარდლის დანიშვნის დროს?

ანაზღაურება

- ▷ არის თუ არა სამხედრო მოსამსახურის ანაზღაურება საკმარისად მაღალი სხვა პროფესიებთან შედარებით, რაც საშუალებას მისცემს უსაფრთხოების სამსახურებს კონკურენცია გაუწიოს კერძო კომპანიებს შრომის ბაზარზე?
- ▷ დროულად ხდება თუ არა ანაზღაურების გადახდა?
- ▷ ხდება თუ არა მოსამსახურე პერსონალის დაჯილდოება ღირსებისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე?
- ▷ განაპირობებს თუ არა სამხედრო მოსამსახურის ქმედება მის ანაზღაურებას?
- ▷ გამჭვირვალეა თუ არა ანაზღაურების სისტემა მისი მომზღვეულებისა და საზოგადოებისათვის?
- ▷ რა არის პენსიაზე გასვლისა და საპენსიო სისტემის ძირითადი მიღეომები?
- ▷ არის თუ არა საპენსიო სქემა დამაკმაყოფილებელი? რას კარგავენ და რას იღებენ პენსიაზე გასული პირები?

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

უსაფრთხოების სექტორის მოსამსახურე პერსონალის ამოცანები და სიდიდე

- ▷ უზრუნველყავით, რომ შეიარაღებული ძალების ამოცანები და მისი სიდიდე შეესაბამებოდეს ეროვნული ეკონომიკის რესურსებს.

უსაფრთხოების სამუშაო ძალის ანაზღაურება

- ▷ უზრუნველყავით, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ანაზღაურება იყოს ეკონომიკურად მდგრადი, იმავდროულად ის უნდა იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.
- ▷ უზრუნველყავით, რომ ხელფასები რეგულარულად გაიცეს.
- ▷ გაითვალისწინეთ, რომ არაა დეკვატური ხელფასი ახალგაზრდა კვალიფიცირებული პოტენციური სამხედრო მოსამსახურებისათვის არ იქნება მიმზიდველი.
- ▷ გაითვალისწინეთ, რომ მოცემულ გარემოში არაა დეკვატური ხელფასები და მათი არარეგულარული გადახდა იწვევს კორუფციასა და ხშირად ძალადობასაც კი.
- ▷ ფინანსური უპირატესობები და პრივილეგიები იმდენად დიდი არ უნდა იყოს, რომ სამხედრო პერსონალს გავლენისა და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის სურვილი გაუჩინდეს.
- ▷ უზრუნველყავით დამაკაყოფილებელი საპენსიო სისტემა.

სამხედრო განვევა და სავალდებულო სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმა

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციაში გაცხადებულია, რომ ყოველი მოქალაქის უპირველესი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა საკუთარი ქვეყნის დაცვა. ზოგიერთ სახელმწიფოში საგალდებულო სამხედრო სამსახური კაბინის მიერ არის გათვალისწინებული და მისი მიზანია, მოამზადოს მოქალაქეები შეიარაღებული ძალებისათვის, როგორც მთავრობა ამის საჭიროებას გამოაცხადებს. განვევა, სავალდებულო სამხედრო სამსახური (რომელიც მონაწილეობას ძირითადად მამაკაცები იღებენ) მოცემულია კონსტიტუციიში და კანონით განსაზღვრულია შემდეგი:

- ✓ ვინ მიღის სავალდებულო სამხედრო სამსახურში
- ✓ სამსახურის ხანგრძლივობა
- ✓ გადადება/გაუქმება
- ✓ რეკრუტირების პროცედურა
- ✓ სასჯელი დეზერტირობისათვის
- ✓ წვევამდელების ასაკი (მინიმუმი და მაქსიმუმი)

გარდა ამისა, ბევრი ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით გაცნობიერებულ უარის თქმას სამხედრო სამსახურზე და ალტერნატიულ სამხედრო სამსახურს.

განვევის მნიშვნელობა და სასურველობა

ბევრ ქვეყანაში მოქმედებს განვევის სისტემა. განვევა დემოკრატისა და ეროვნული კულტურის ღირებულელებისად სახელდება. თუმცა დღეს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში განვევის სისტემა კამათს იწვევს. თანამდებობის არმაზამ საგალდებულო სამხედრო სამსახურის მნიშვნელობასა და სასურველობაზე დაისა საკამათო კითხვები. ზოგიერთ ქვეყნაში სავალდებულო სამხედრო სამსახური გაუქმდა, ზოგან კი ახლო მობავაში დაგვეგმილია განვევის სისტემის გაუქმება. საფრანგეთშიც კი, რომელიც განვევის სისტემის დამარსებლად ითვლება თანამედროვე ისტორიაში, 2001 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახური გაუქმდა. მასიპრივი არმიების ეპოქა დასრულდა, მას შეცვლის ნებაყოფლობითი ძალები მაღალი ტექნიკუროგიებითა და მობილობის უნარით.

ჩანართი № 68

სამხედრო სამსახური მსოფლიოში

ბევრ ქვეყნაში სამხედრო სამსახური 18 წლის ასაკიდან იწყება, თუმცა ზოგან 16, 17, 19 ან 20 წელია დადგენილი. დღეს რამდენიმე ქვეყნაში ქალებსაც იწვევენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა: ჩვეულებრივ 6 თვიდან 3 წლამდე. გაცნობიერებული უარის თქმა და ალტერნატიული სამსახური: მსოფლიოში ქვეყნების თითქმის ნახევარი აღიარებს სავალდებულო სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმის უფლებას და აწესებს ალტერნატიულ სამსახურს. ბევრ შემთხვევაში სამხედრო სამსახურზე უარის თქმა ისჯება კანონით.

წერილი: Report of the Secretary-General prepared pursuant to Commission resolution 1995/83, UNCHR, 1997. E/CN.4/1997/99

განვევის დადებითი და უარყოფითი მხარეები

განვევის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზისას პარლამენტარებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

რატომ შევუწყოთ ხელი განვევას?

არგუმენტები, რომლებიც ამართლებენ განვევის სისტემას:

- ✓ განვევა ასოცირდება დემოკრატიის იდეასთან, ის წარმოადგენს სამართლებრივ მოვალეობას და მორალურ პასუხისმგებლობას თითოეული (ძირითად მმარცაც) მოქალაქეებისა და ავითარებების თანაწინორისის მიღებისა. კლასის, რელიგიის, რასის მიუხედვად, ყველა ვალდებულია, მოხადოს ვალი. განვევის ვალდებულება ქალს ისევე ეხება, როგორც მამაკაცს.
- ✓ განვევული ჯარისკაცები წარმოადგენენ ფორმიან მოქალაქეებს და სწორედ ეს უშლის ხელს შეიარაღებულ ძალებს, იქცეს სახელმწიფო სახელმწიფოში. განვევა მიწნეულია დემოკრატიულ კავშირად საზოგადოებასა და შეიარაღებულ ძალებს შორის.
- ✓ ზოგადდ, განვევის საფუძველზე შექმნილი არმია გაცილებით იაფია, ვიდრე წებაყოფლობითი არმიები, რადგანაც განვევული ჯარისკაცების ხელფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე წებაყოფლობითი ჯარისკაცებისა.

განვევა თავს უყრის ადამიანებს საზოგადოების ყველა ფენიდან. განვევულებს სხვადასხვა განათლება და გამოცდილება აქვთ, ბუღალტრიდან და ინჟინრიდან დაწყებული ფერმერით დამთავრებული. შეიარაღებული ძალები სამშვიდობო მისიების დროს კარგად იყენებს ჯარისკაცის განათლებასა და გამოცდილებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება პოსტკონფლიქტური ქვეყნების ინფრასტრუქტურებისა და ინსტიტუტების აღდგენას.

რატომ უნდა გაუქმდეს განვევის სისტემა?

განვევის სისტემა რომ უნდა გაუქმდეს, ამას აღნიშნული საკითხის თაობაზე ჩატარებული კვლევა შემდეგი მიზეზების გამო მიჩნევს:

- ✓ უკანასკნელი 25 წლის მანილშე, გამსაკუთრებით, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ბევრი ქვეყნის შეიარაღებული ძალები შემცირდა და ამით წევეაძღველთა დიდი რაოდენობა საჭირო აღარ გახდა (რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი უქმაყოფილება განვევის არასამართლიანობის შესახებ). ეკროატლანტიკური სივრცის ქვეყნებში პრაქტიკულად შემცირდა არმიები. აფრიკისა და აზიის ქვეყნები ნაკლებად იყენებენ მშვიდობის დივიდენდს ცივი ომის შემდგომი არმიების შესამცირებლად.
- ✓ შეიარაღებული ძალები სულ უფრო და უფრო პროფესიული ხდება, რასაც მოითხოვს ამაღლებული ტექნოლოგიები. ხშირად ხამაღლ ხანგრძლივი წერთანა საჭირო იმისათვის, რომ ჯარისკაცებმა ითვისონ კომპლექსურ თანამედროვე იარაღის გამოყენება. რადგანაც განვევის ვალა ხანმიკლეა, რაც არ არის სკამრისა ამ ახალ სისტემების გასაცნობად, არმიები უფრო და უფრო ხდებაან დამოკიდებული პროფესიონალ ჯარისკაცებზე.
- ✓ სამშვიდობი მისახელი მოითხოვონ არა მარტო სამხედრო ჩვევებს, არამედ სხვა თვისებებსაც. განვეულება იმდენად მცირე დროის განმავლობაში არაან არმიაში, რომ ამ პერიოდში შეუძლებელია შესაბამისი გამოცდილებისა და ჩვევების დაგროვება და პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში კომპლექსური სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება.
- ✓ ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუცია ზოგადავს განვეული ჯარისკაცების გამოყენებას ეროვნული ტერიტორიის დაცვის მიზნით, ასევე კრძალავს განვეული ჯარისკაცების საზღვარგარეთ განლაგებას.

ჩანართი № 69

განვეული ჯარისკაცების შეურაცხებულება

სამხედრო სამსახურებში არსებობს არაფორმალური იერარქია ახალ და ძველ განვეულებს შორის. ამგვარი არაფორმალური იერარქია მნიშვნელოვანია, რადგანაც ძველი განვეულები ასწავლიან ახლებს სამხედრო წესებსა და ტრადიციებს, რასაც დიდი წვლილი შეაქვს სამხედრო სისტემის სრული მოწყობაში. ბევრ შემთხვევაში ირლევა არაფორმალური იერარქია, ძველი ჯარისკაცები შეუარცხებულები ახლებს კერძო ინტერესებიდან გამომდინარე. უკონტროლიბის შემთხვევაში არაფორმალურმა იერარქიამ შეიძლება გამოიწვიოს შეურაცხებულება, ფიზიკური ძალადობა და დაშინება. ევროპის წვევამდელთა ორგანიზაციების საბჭოს მიხედვით შეურაცხებულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის. იგი შესაძლოა დასრულდეს დაშავებით, სიკვდილით ან თვითმკვლელობით. წვევამდელთა და სამხედრო სამსახურის რეპუტაციის დაცვის მიზნით ოფიციებმა უნდა გააკონტროლონ ვითარება არმიაში. გარდა ამისა, შეიძა და გარე მეთვალყურეობის ინსტიტუტებმა უნდა გამოიკვლიონ ექსტრემალური შემთხვევები და აღადგინონ კანონის უზენაესობა სამხედრო სამსახურში.

წყარო: Ilona Kiss, *Rights of conscripts in peace time, 2001*
on www.dcaf.ch and ECCO (see *Black Book on rights of conscripts in Central and Eastern Europe, 1996*, on <http://www.xs4all.nl/~ecco/>)

გაცნობიერებული უარის თქმა და აღტერნატიული სამსახური

ადამიანების გარევეული ნაწილი, რელიგიური მრავალი და გამომდინარე, უარს ამბობს სამშობლოს სამსახურზე. ამ ადამიანებისათვის მიუღებელია მკაფიო სასჯელი, როგორიცაა სიკვდილით დასჯა.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დამკიდრდა იდეა შეიარაღებულ ძალებში სამსახურისა და იარაღის ტარებაზე უარის თქმის შესახებ. ზოგიერთ ქვეყნში ეს დაკანონდა კიდეც. ეს ტერდენცია დაემთხვა საგალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებას ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია და პორტუგალია.

ადამიანები, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ სამხედრო წერთანასა და სამსახურზე, ამგვარ ქმედებას რელიგიური მრნამსის, ფილოსოფიური გაგების ან პოლიტიკური მიზეზით ჩადიან. მათ თავიანთი საქციელი სრულიად გაცნობიერებული აქვთ.

პარლამენტის გადაწყვეტილება

ადამიანების რიცხვი, რომელიც უარს ამბობს საგალდებულო სამხედრო სამსახურზე, იზრდება. ზოგიერთი სახელმწიფოს პარლამენტმა კონიც განსაზღვრა ამ ვალდებულებაზე უარის თქმის პირობები. აშშ-სა და კველა ეკონომიკული ქვეყნის პარლამენტმა აღიარა ამ მოქალაქეების სტატუსი. საბერძნებიში 1997 წელს მოხდა მათი სტატუსის აღიარება.

სახელმწიფოებში, სადაც კანონი სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმის შესახებ არ არსებობს, ამ ადამიანებს ემუქრება დევნა სახელმწიფოს ღალატისა და დეზერტირობის საფუძვლზე, ეს ორი დანაშაული კი მძიმე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ანესტეს. სხვა ქვეენებში არსებობს საგანგებო დანაშაულებრივი კატეგორია („ურყევი დაუმორჩილებლობა“) და, ჩვეულებრივ, ასახულია სამხედრო კოდექსში.

სავალდებულო სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის მთემელად აღიარება: ვინ იღებს გადაწყვეტილებას და რის საფუძველზე?

პროცედურა, რომელიც აღიარებს ამ ადამიანებს, მოიცავს შემდეგ განმარტებებს: როგორ მიერდა ადამიანი ამ მრავალსამდე, რა გალენა მოახდინა მისმა მრნამშა პირად ცხოვრებაზე და რამდენად შეუთანმებელია მის მრნამსი სამხედრო სამსახურთან. გადაწყვეტილებას, მიეცეს თუ არა პაროვებებას ზემოთ აღნიშნული სტატუსი, იღებს შრომის სამინისტროს დაქვემდებარებული კომისარი (შეეცარია, ბელგია), სლოვენიაში შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო ხორვატაში იუსტიციის სამინისტრო.

სავალდებულო სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმა, როგორც ადამიანის უფლება

2000 წლის აპრილში, 1998/77 რეზოლუციის პრინციპების თანახმად, გაპრო-ს ადამიანის უფლებების კომისიამ ხმის მიცემის პროცედურის გარეშე მიიღო რეზოლუცია 2000/34, რომელიც აღიარებს თითოეული ინდივიდის უფლებას, შეგნებულად თქვას უარ სამხედრო სამსახურზე აზროვნების, აღსარებისა და რელიგიის თავისუფლების პრინციპების შესაბამისად, რომელიც გაცადებულია ადამიანის უფლებას

საყოველთაო დეკლარაციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონვენციაში. 1993 წელს ბამერო-ს ადამიანის უფლებების კომიტეტმა დაადასტურა, რომ სავალდებულო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმის უფლება კონვენციის მე-18 მუხლიდან მომდინარეობს: „რადგნაც სასიკვდილო ძალის გამოყენების ვალდებულება სერიოზულად ეწინააღმდეგება ადამიანის აღმსარებლიბის, რელიგიისა თუ რწმენის თავისუფლებებს.“ ბამერო-ს კომიტეტი აცხადებს, რომ, „როდესაც ეს უფლება აღიარებულია კანონით ან მოქმედებს, მშინ არ არსებობს განსხვავება იმ პირებს შორის, რომელიც უარის აბბობენ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე მათი მრნამსიდნ გამომდინარე; აგრეთვე, არ არსებობს დისკრიმინაცია ამ პირების წინააღმდეგ იმ მიზეზით, რომ მათ თქვეს უარი სავალდებულო სამხედრო სამსახურზე.“

ჩანართი №70

გაერო-ს ადამიანის უფლებათა რეზოლუცია 1998/77: სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმა

კომისია, (...)

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონვენციას, რომელთა თანახმადაც ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ასევე აზროვნების, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლება და უფლება, არ განიცემიდეს დიკრიმინაციას, (...)
აღიარებს, რომ სამხედრო სამსახურზე გაცნობიერებული უარის თქმა მომდინარეობს შეგნების პრინციპებიდან და მიზეზებიდან: მრწამსის, რელიგიური რწმენის, მორალური, ეთიკური და სხვა მოტივებიდან, (...)

1. ყურადღებას ამახვილებს თითოეული ადამიანის უფლებაზე, შეგნებულად თქვას უარი სამხედრო სამსახურზე აზროვნების, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების უფლების ლეგიტიმურად გამოყენების საფუძველზე, რაც მოცემულია აღმიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისა და პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-18 მუხლში;
2. მიესალმება იმ ქვეყნების ქმედებას, რომელთაც უმტკიცნეულოდ მიიღეს აღნიშნული კანონი;
3. მოუწოდებს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ჯერ არ დაუმკვიდრებიათ იმგვარი სისტემა, რომელშიც იარსებებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს, რა შემთხვევაშია სამხედრო სამსახურზე უარის თქმა გაცნობიერებული;
4. შეახსენებს იმ სახელმწიფოებს, რომლებშიც მოქმედებს სავალდებულო სამხედრო სამსახური, რათა დაამკვიდრონ ზემოთ აღნიშნული პრინციპი და შემოილონ არა-საბრძოლო ან სამოქალაქო ხასიათის მქონე აღტერნატიული სამსახური არა სადამსჯელო მიზნით, არამედ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე;
5. სახელმწიფოებმა უნდა შეზღუდონ იმგვარი ქმედება, რომელიც ამ პირების დაკავებას ან სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო მეორეჯერ დასჯას ითვალისწინებს, და მოუწოდებს მათ, რომ არავინ უნდა დაისაჯოს ხელმეორედ;

წყარო: Resolution 1998/77, UNCHR

ალტერნატიული სამსახური

სახელმწიფოთა უმტკესობა, რომელიც აღიარებს იმ პიროვნებების სტატუსს, რომელთაც გაცნობენ-რებულად თქვენ უარი სამხედრო სამსახურზე, კანონმდებლობით ადგენს ალტერნატიულ სამსახურს. ალტერნატიული სამსახური ირ მოდალობას იძენს:

- ✓ იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში იარალის გამოყენების გარეშე;
- ✓ იმსახურონ სოციალური სფეროს სამსახურებში: საავადმყოფოებში, ინვალიდთა დაწესებულებებში და ა.შ. და ხშირად არასამთავრობო როგანიზაციებსა და სამთავრობო ირგანიზაციებში.

ალტერნატიული სამსახური სამხედრო სამსახურზე ხანგრძლივია. მაგალითად, საფრანგეთში მისი ხანგრძლვობა 20 თვეა, მაშინ, როცა სამხედრო სამსახური 10 თვეანია. ასტრიაში 12 თვე, როცა სამხედრო სამსახური მხოლოდ 7 თვეს მოიცავს; ბულგარეთში 24 თვე გრძელდება, სამხედრო სამსახური კი 6 ან 9 თვე.

ჩანართი № 71

ალტერნატიული სამსახური: შვეიცარიის მაგალითი

შვეიცარია დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სავალდებულო სამხედრო სამსახური. განვევას არეგულირებს კონსტიტუცია (მუხლი 59.1), 1995 წლის კანონი სამხედრო ორგანიზაციის შესახებ და 1995 წლის კანონი სამხედრო სამსახურის შესახებ. განვევა ეხება ყველა მამაკაცს 20-დან 42 წლამდე, მაღალი სამხედრო ჩინჩების დაკავება 55 წლის ასაეფიც არის შესაძლებელი. სამხედრო სამსახური 4 თვეს გრძელდება, ამას ემატება სამი კვირა ყოველ ორ წელიწადში, ასევე ყოველწლიური ვარჯიში სროლაში.

1996 წლის კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ აღიარებს შევნებული ეთიკური, მორალურ-ზნეობრივი და რელიგიური მრჩამსის საფუძველზე სამხედრო ვალდებულების მოხდაზე უარის თქმის უფლებას. მრეწველობისა და შრომის სამინისტროში წარდგენილი განცხადებების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. თავად ეს პირები შეირჩევან იმ 120 უფლებამოსილი წევრისაგან, რომლებიც პრესაში გამოივიწებული განცხადებების საფუძველზე იქნენ დაქრიავებულნი. განვევას ასაკის მქონე პირთაგან დაახლოებით ხუთი პროცენტი რეგისტრირდება სამხედრო ვალდებულების მოხდაზე უარის უფლების მქონე პირად. ყველა ის პირი, კინც ასეთად არ არს მიჩნეული, მაგრამ მანც ეწინააღმდეგება სამხედრო ვალდებულების მოხდას, თოხი-ხუთი თვეთ თავისუფლების აღკვეთის მუქარის ქვეშა.

აღნიშნული პირები ალტერნატიულ სოციალურ სამსახურს ასრულებენ, რაც 450-დღიან სამსახურს ითვლისწინებს საზოგადოებრივ ან კერძო ირგანიზაციებში, რომელიც სახაობო ინტერესებს ემსახურება. მათ მიეკუთვნება საავადმყოფოები, ახალგაზრდული ცენტრები, კვლევა უნივერსიტეტში, მეტყველება.

წყარო: European Bureau for Conscientious Objection (EBCO).

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

განვევა, თუ განვევის გაუქმება?

- ▷ ეროვნული კონტექსტის მიხედვით გააწონასწორეთ ყველა მომხრე და საწინა-აღმდევე აზრი.
- ▷ ამასთან დაკავშირებით, გაითვალისწინეთ ამ თავში მოცემული ინდიკატორები და მოარგეთ ისინი თქვენს ქვეყანას.

წვევამდელების შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა

- ▷ იმოქმედეთ სწრაფად, თუ წვევამდელების შეურაცხმყოფისა და ძალადობის შესახებ გაქვთ ინფორმაცია.
- ▷ უზრუნველყავით, რომ განხორციელდეს ჩაღრმავებული გამოძიება და დაწესდეს სანქციების საჭიროების შემთხვევში შესაბამის ორგანოზე.
- ▷ თუ თავგაცვის მმარტინის ინსტიტუტი არ არსებობს თქვენს ქვეყანაში, გაითვალისწინეთ რეკომენდაციები ამგვარი ინსტიტუტის შექმნის შესახებ, რომელიც აღრიცხავს წვევამდელების შეურაცხმყოფის ფაქტებს და მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

იმ პირების სტატუსი, რომელთაც გაცნობიერებულად აარიდეს თავი სამხედრო სამსახურს

- ▷ განსაზღვრეთ მათი სამართლებრივი სტატუსი, გააუმჯობესეთ კანონმდებლობა.
- ▷ ამ კონტექსტში უზრუნველყავით სხვა ქვეყნების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღება.

ალტერნატიული სამსახური

- ▷ განსაზღვრეთ, არსებობს თუ არა კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ თქვენს ქვეყანაში, გააუმჯობესეთ, თუ ამის საჭიროება არსებობს.
- ▷ ამ კონტექსტში უზრუნველყავით სხვა ქვეყნების შესახებ განახლებული ინფორმაციების მიღება.

ნაწილი VIII

მატერიალური რესურსები:
შეიარაღების გადაცემასა და შესყიდვაზე
ეფექტური კონტროლის განხორციელება

თავი 28

იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის შესყიდვა

შესყიდვების პოლიტიკას განაპირობებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ან თავდაცვის სტრატეგია. მოთხოვნა ახალ შეიარაღებასა და სამხედრო აღჭურვილობაზე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარეობს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განსაპირობებს თავდაცვის მენეჯმენტის სტაბილურობის მიღწევას და გრძელვადან პერიოდზე თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრას. არსებოთია ეროვნული თავდაცვის პოლიტიკისა მიზნებისა და თავდაცვის სექტორისათვის გამოყოფილი რესურსების დაკავშირება და თავდაცვის სექტორსა და საზოგადოებას შორის წონასწორობის შენარჩუნება.

გამჭვირვალობა შეიარაღების შესყიდვის პროცესში

თითოეულ კონსოლიდირებულ დემოკრატიში ბიუჯეტის შედგენა და შეიარაღების შესყიდვა უნდა იყოს გამჭვირვალე და საზოგადოებისათვის მისაწვდომი პროცესი. საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების თვალისწილით, უნდა არსებობდეს რაციონალური კავშირი პოლიტიკას, გემებს, ბიუჯეტსა და შესყიდვებს შორის, რისი გათვალისწინებაც ყველგან არ ხდება. სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში პარლამენტი შეიარაღების შესყიდვის პროცესში შეზღუდული უფლებით სარგებლობს.

პარლამენტი ამონტებს შესყიდვის ოპერაციებისათვის გამოყოფილი ფონდების ლეგალობას, ითვალისწინებს რა საერთოშორისო შეთანხმებებს ცალკეული ტიპის იარაღის წრომების, გაფრინდისა და გამოყენების შეზღუდვის შესახებ; აღნიშვნულ შეთანხმებებისა გაუურცილებლობის შეთანხმება (1968), ქვეით-საწინააღმდეგო ნაღმებისა და სხვა გამანადგურებელი იარაღის გამოყენების, დაგროვების, ნარმობისა და გადაზიდვის აკრძალვის შესახებ ოფავას კონევნტა (1997), გამოშენების საბჭოს რეზოულუციები და ა.შ.

პარლამენტები სირთულეები აქვთ თავდაცვის შეიარაღების ღირებულების დადგენასთან დაკავშირებით. რაც პასუხობილობურ და განვითარებად შევეხებს სუმნის, მათ სურთ, გაყიდონ იარაღი საუკეთესო ფასად, მაგრამ კინტროლის მექანიზმები არ გააჩინიათ.

პარლამენტები ქმნიან სპეციალურ კომიტეტებს ან ქვეკომიტეტებს შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებით. ეს შეიარაღების შესყიდვის პროცესს გამჭვირვალეს ხდის და აღმასრულებელ ხელისუფლებას ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებას აიძულებს.

პარლამენტისათვის მინისტრებისა წარმოადგენს ის, რომ მთავრობა თავს იკავებს გამოაქვეყნოს, ჩვეულებრივ შეიარაღების რა რაოდენობა არის საჭირო (ვერტმიტრიტები, დაჯავშნული მანქანი, არტილერია, მართვისა და სარადარო სისტემები, რაკეტები და სამხედრო ხომალდები) და მინიორო საზოგადოებას ინფორმაციის შეიარაღების შედარებით მცირე კატეგორიის და ტრანსფერების შესახებ (ას მილმეტრზე ნაკლები კლიპრი, მათ მცირე შეიარაღებასა და მსუბუქ შეიარაღებას უწოდებენ).

იდეალურ შემთხვევაში შეიარაღების შესყიდვის პროცესის დაწყებიდან მთავრობა უნდა თანამშრომა-ლობდეს პარლამენტთან. მნიშვნელოვანია შეარაღების შესყიდვის იმგვარი დაგემოვა, რომ ის დიდ ფინანსურ ტვირთად არ დაწესეს ქვეყნას გრძელვადიან პერიოდში. იარაღის შესყიდვის პროგრამა საზოგადოებრივი პრიორიტეტების კრიტიკულში უნდა იქნას განხილული. არა მარტო სამხედრო, არამედ სხვა პრიორიტეტებიც უნდა გავითვალისწინოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პარლამენტმა უნდა შეაფასოს საზოგადოებაზე შეიარაღების შესყიდვისაგან მიღებული ფინანსური ტვირთის დაწეს.

ჩანართი № 72

რატომ უნდა იზრუნონ პარლამენტარებმა შეიარაღების შესყიდვაზე

- ▷ აღნიშნულ პროცესში ჩართულია საზოგადოებრივი ფონდები.
- ▷ იარაღის სისტემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ არის მხოლოდ ტექნიკური კომპეტენციისა და უსაფრთხოების საქმე, საქმე ეხება იმას, თუ რამი უნდა იქნას ფული დასარჯული „იარაღისათვის თუ კარაქისათვის“, და, თუ ფული იარაღზე უნდა დაიხარჯოს, საჭიროა ვიცოდეთ, რ სახის იარაღს ვყიდულობთ, რა რაოდენობით და რატომ.
- ▷ შეიარაღების შესყიდვა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ტვირთს არ უნდა წარმოადგენდეს მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.
- ▷ საპარლამენტო კონტროლის საშუალებით ბალანსი უნდა მიიღწეოდეს შეიარაღების შესყიდვის ხარჯებსა და სოციალური სექტორის მოთხოვნებს შორის.
- ▷ შეიარაღების შესყიდვის გამჭვირვალე პროცესი, რომელშიც პარლამენტიც მონაწილეობს, საშუალებას იძლევა, თავიდან იქნება აცილებული კორუფცია, საზოგადოებრივი ფონდების გაფანტვა და ბოროტად გამოყენება.
- ▷ საპარლამენტო და საზოგადოებრივი კონტროლი შეიარაღების რეგიონული შესყიდვების სპირალის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

ამართლებს თუ არა სპეციალური გარემოებები გასაიდუმლოებას?

ეფექტური მმართველობის პრინციპები, განსაკუთრებით გამჭვირვალობა, უნდა ხელმძღვანელობდეს საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ასპექტს, მათ შორის შეიარაღების გაყიდვას ან შესყიდვას. შესაბამისად, შესაძლოა ნამოწრაას იმგვარი სპეციალური გარემოებები, როდესაც თავდაცვის სფეროში აუცილებელი ხდება გამონაკლისის დაშვება და ამ შემთხვევაში გამართლებული იქნება გასაიდუმლოების საჭიროება.

შეიარაღების გაყიდვისა და შესყიდვის ორიენტირება გამჭვირვალობა და საზოგადოებრივი ანგარიშ-ვალდებულება. გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასაიდუმლოების მოთხოვნა მიმღებიანირების მიმღები ან მმწოდებელი ქვეყნიდან და მიზეზები გარკვევით უნდა იქნეს ასენილი. თუ ამგვარი მიზეზები კორუფციის წყარო ხდება, მაშინ რისკი ირიგუ მხარის მიერ უნდა იქნეს განსაზღვრული და მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

ჩანართი №73

სუსტი ან საეჭვო შეიარაღების შესყიდვის პოლიტიკა ან ზედმეტად კონფიდენციალური შესყიდვის პროცესი იწვევს...

- ▷ იარაღის სისტემების შესყიდვის არასაკმარის დასაბუთებას;
- ▷ მთავრობის გადაწყვეტილებების არაეფექტურობას, რომელსაც ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოებისათვის არაჯანსაღი შედეგის მოტანა შეუძლია;
- ▷ ეჭვს მეზობელ ქვეყნებში;
- ▷ კორუფციას შეიარაღების შესყიდვის პროცესში და სამხედრო სახის ნებისმიერ გადაწყვეტილებაში;
- ▷ შეიარაღებული ძალების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის დაკარგვას, რამაც შესაძლებელია მისი დისკრედიტაცია გამოიწვიოს.

შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყოვლისმომცველობა

იარაღის ძირითადი სისტემების შესყიდვის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი ახდენს შემდეგი ასპექტების გამოყენების მეთოდების იდენტიფირებასა და ინტეგრირებას:

- ✓ საფრთხის შეფასების პროცესი;
- ✓ თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია;
- ✓ ახალი აღჭურვილობის მატერიალური საჭიროების იდენტიფირება;
- ✓ ბიუჯეტის სახსრები შეიარაღების შესყიდვაზე;
- ✓ ტექნიკური ხარისხის უზრუნველყოფა და შესყიდვების შემდეგი აუდიტი;
- ✓ მთლიანი ციკლის ხარჯები, მომსახურება, მოდერნიზება და ა.შ.
- ✓ კომპენსაციის წინადადებების შეფასება.

საპარლამენტო მონიტორინგისა და მიმოხილვის პროცესი შეამცირებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიღების სისტემაში გაფლანგვას, ფალსიფიცირებასა და ბოროტად გამოყენებას. ეფექტური კონტროლის მისაღწევად პარლამენტი მთავრობისაგან მოითხოვს იარაღის შესყიდვის პროცესის თთოვეული ეტაპის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. უფრო მეტიც, პარლამენტი უფლება-მოსოდა, გადაწყვეტილება მიიღოს შესყიდვების კონტრაქტის შესახებ. ნიდერლანდების პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოს მაგალითია, რომელიც ამონმებს შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპს.

ჩანართი № 74

ნიდერლანდების პოლიტიკა თავდაცვის შესყიდვების შესახებ: საპარლამენტო კონტროლის განზომილება

ნიდერლანდებს ხანგრძლივი და მყარი ტრადიცია აქვს თავდაცვის შესყიდვების მეაცრი საპარლამენტო კონტროლის სფეროში. შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც აღმატება 25 მილიონ ევროს, პარლამენტში მუშავდება. ამის საუკეთესო საშუალებაა ათვისების პროცედურა. მთავრობა (პრაქტიკულად თავდაცვის სახელმწიფო მდივანი, რომელიც ფლობს თავდაცვის რესურსს) აგზავნის 4 ტიპის (A, B, C და D) წერილს. წერილის ტიპი ათვისების ფაზაზე დამოკიდებულია. მოკლედ, ყოველი ფაზა შეიარაღების ახალ სისტემას განსაზღვრავს, რომელიც უნდა იქნეს შესყიდული.

პარლამენტის შეუძლია გავლენა იქნიოს ათვისების პროცესის თითოეულ ფაზაზე. ამგვარად, როდესაც მთავრობა წირმოადგენს წინადადებას შეიარაღების შეცვლის ან ათვისების შესახებ (ან სთავაზობს ასათვისებელი სისტემის რაოდენობას), პარლამენტმა შესაძლოა წინააღმდეგობა გაუზინოს ან შეიტანოს შესწორები. პარლამენტმა შეიძლება უარყოს ან შეასწოროს შესყიდვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება („ნინ ნასვლა“), თუმცა პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება. მთავრობის მიზნები ითხოვთ წერილი იკვეთება, რომელსაც პარლამენტი განიხილავს.

მთავარი პროექტები, რომლებიც აღემატება 100 მილიონ ევროს („დიდი პროექტები“) მხოლოდ მას შემდეგ შემუშავდება, რაც პარლამენტს მიეწოდება დეტალური და ხშირი ანგარიშები. ამის ტიპიობრივი მაგალითია ნიდერლანდების მთავრობის მზანი, მონაწილეობა მიღღის Joint Strike Fighter-ის განვითარებაში, რომელიც ამერიკული F-16-ის მეგვიდრეს წარმოადგენს. ასევე არის სხვა დიდი პროექტები, მაგალითად, საპარლამენტო მობილური ბრიგადა.

როგორც ჩანს, საბოლოოდ სიტყვაცია ნიდერლანდებში მთლიანობაში მაინც დამაკამაყოფილებადა შეფასებული. მიმდინარეობს მსჯელობა ფინანსურ ზღვარსა და ზოგჯერ მეტად ტექნიკური პროცესის დეტალური საპარლამენტო კვლევის გონივრულობასთან დაკავშირებით. ამ ფონზე იკვეთება კითხვები მთავრობის ინფორმაციის ხარისხსა და დამოუკიდებლობის დონის შესახებ და „კონტრარგვმერქტის“. მოსმენის სურვილზე, მაგალითად, დამოუკიდებელი თავდაცვის ინსტიტუტისაგან. დაბოლოს, მრეწველობისა და ლობისტების როლი და მათი დაწერება თავდაცვის კომიტეტის წევრებთან ხშირ შემთხვევებში ხდება განხილვის საგანი. თუმცა ამასთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული ინციდენტი, მით უფრო სკანდალი, არ მომზდარა.

წყარო: Jan Hoekema, former Member of Parliament, the Netherlands, 2002

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტარს

კონტროლი შეიარაღების შესყიდვაზე

- ▷ საპარლამენტო კონტროლი შეიარაღებაზე უნდა აისახოს კანონმდებლობაში.
- ▷ უზრუნველყოფით, რომ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი ყოვლის მომდევნობილი იყოს და მოიცავდეს შესყიდვის ასპექტებსაც, დიდ ყურადღებას აქცევდეს:



- უსაფრთხოების მოთხოვნებს;
- რეგიონში შეიარაღების შეჯიბრს და მის პოლიტიკურ შედეგებს;
- ბიუჯეტის დატვირთვას (მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში)
- გავლენას ეროვნულ მრეწველობის კერძო და საჯარო სექტორზე.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება შეიარაღების შესყიდვებში

- ▷ უზრუნველყავით, რომ პარლამენტმა თქვას თავისი სიტყვა შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვის შესყიდვის პროცესში.
- ▷ მოსთხოვეთ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, წარდგეს დეტალური და განახლებული ანგარიშთ ძირითადი ჩვეულებრივი შეიარაღების (კერტმფერენი, დაჯავშული მნიქნები, არტილერია, მართვისა და სარადარო სისტემები, რაკეტები და საომარი ხომალდები) და მცირე შეარაღების შესყიდვების მიზეზების შესახებ.
- ▷ უზრუნველყავით, რომ პარლამენტში წარდგენილ იქნეს თავდაცვის მაქსიმალური აღმშენებლობის გრძელვადიანი კონცეფცია.
- ▷ უზრუნველყავით, რომ შეიარაღების შესყიდვის კონტრაქტებთან დაკავშირებული კონფიდენციალობა განიხილებოდეს პარლამენტში ან შესაბამის კომიტეტებში საკანონმდებლო პროცედურის მიხედვით, რაც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას სამხედრო კონფიდენციალობის ფონზე.

შესყიდვების გავლენის ანალიზი

- ▷ გაანალიზეთ შესყიდვების გეგმის შესაბამისობა უსაფრთხოების პოლიტიკასთან.
- ▷ უზრუნველყავით, რომ პარლამენტმა შეისწავლოს და შეაფასოს შეიარაღების ფინანსური დატვირთვა სხვა სოციალურ და საზოგადოებრივ მოთხოვნებთან შედარებით, რაც იძლევა წონასწორობის დამყარების საშუალებას ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას შორის.
- ▷ გამოიყენეთ საპარლამენტო პროცედურები ზედგეტად ამბიციური შეიარაღების შესყიდვის გადაწყეტილებების დასაბლოებად. პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს გეგმების რაციონალობა, რაც ტვირთად არ დააწვება ქვეყანას გრძელვადიან პერიოდში.

შესყიდვების აუდიტი

- ▷ მოახდინთ თავდაცვის პოლიტიკისა და გეგმების, ასევე თავდაცვის ბიუჯეტისა და შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.
- ▷ წარმართოთ იარაღის სისტემების შესყიდვების შემდგომი აუდიტი, მას შემდეგ რაც კონტრაქტი განხორციელდება (სულ მცირე, სამი პუნქტი/ეტაპი იარაღის სასიცოცხლო ციკლში).

შესყიდვების საპარლამენტო კონტროლი

- ▷ თუ არ არსებობს შესყიდვების კომიტეტი ან ქვეყომიტეტი, შექმენით იგი. მნიშვნელოვანია კავშირი პოლიტიკის დაგეგმვას, ფინანსურ დაგეგმვასა და აუდიტს შორის, ასევე თავდაცვის მრეწველობას, კვლევასა და განვითარებას შორის.
- ▷ მოითხოვეთ და შეისწავლეთ ინფორმაცია პირობების, პროცედურებისა და პარლამენტში სხვა შესაბამისი ორგანოების შესახებ.
- ▷ მიიღეთ და გამოიყენეთ ექსპერტების რჩევები.

შეიარაღებით ვაჭრობა და მისი გადაცემა

პარლამენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შეიარაღებით ვაჭრობასა და იარაღის გადაცემაზე კონტროლში. შეიარაღების შესყიდვების წესი და პროცედურა განსაზღვრულია შეიარაღების ეროვნულ კანონში, ეროვნულ ბიუჯეტში, ფინანსურ და კონფლიქტების დარეგულირების კანონებში. შეიარაღებით ვაჭრობისა და მისი გადაცემის ძირითადი მახასიათებლები ემყარება გამჭვირვლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

ჩანართი № 75

შეიარაღების გადაცემა: განმარტება

ზოგადად, შეიარაღების გადაცემად მიჩნეულია ყველა ის ქმედება, რომელსაც სახელმწიფო ან არასახელმწიფო პირი ახორციელებს შეიარაღების შექმნისა ან მისი გაყიდვის მიზნით. შეიარაღების გადაცემა მოიცავს გაყიდვას ან ვაჭრობას, გასაღებას ან მიწოდებას, ისევე, როგორც გასაჩერებებისას.

შეიარაღებით ვაჭრობისა და მისი გადაცემის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა

მთავრობამ პარლამენტი დასამტკიცებლად უწდა წარადგინოს კანონშროექტი შეიარაღებით ვაჭრობის შესახებ. უნდა განისაზღვროს ჩეველებრივი შეიარაღებით ვაჭრობის ძირითადი პრინციპები, უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი:

- ✓ ჩეველებრივი შეიარაღების იმპორტი და ექსპორტი უწდა იყოს შესაბამისი საპარ-ლამენტო კომიტეტების კონტროლის სუბიექტი.
- ✓ შეიარაღებით ვაჭრობის შესახებ დადგენილებები უნდა შეესაბამებოდეს გბერშ-ს წესების, საერთაშორისო სამართლისა და შეიარაღებაზე ბაზრობ-ს ემბარგოს პრინციპებს, ასევე გათვალისწინებულ უწდა იქნეს იმ ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთიკური და უსაფრთხოების მდგრადი ყიდულობები შეიარაღებას.
- ✓ გამჭვირვალობის პრინციპი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფს პატიოსნებასა და პროფესიულ ანგარიშვალდებულებას.
- ✓ გბერშ-სა და სხვა ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნეს არაეთიეური ვაჭრობის ხელისშემძლელი მექანიზმები, ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვა ქვეყნების გამოყიდვება, მიღებულ უწდა იქნეს მიმწოდებლისა და მიმღების ერთიანობის კოდექსი.
- ✓ პარლამენტმა უწდა შეძლოს იმის გარკვევა, რამდენად შეესაბამება გაყიდული შეია-რაღების ტიპი და კლასი მიმღები ქვეყნის პარლამენტის მიერ დამტკიცებულ თავ-დაცვის მოთხოვნებს.

- ✓ შეიარაღების მიმწოდებელი ქვეყნის პარლამენტებმა უნდა შეისწავლონ ვითარება მიმღებ ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით და უნდა შეუტყონ ხელი შეიარაღების შესყიდვების შესახებ გადა-წყვეტილების მიღების ეფექტური ანგარშვალდებულების პროცესის განვითარებას.
- ✓ პარლამენტმა უნდა გამოიყვლოს, ემუქრება თუ არა შეიარაღებით ვაჭრობა მშენებლებს, ინვესტ თუ არა რეგიონული დაბატუმის შექმნას ან შეიარაღებულ კონფლიქტებს, ინვესტ თუ არა მზარდ ვაჭრობას რეგიონში და იარაღის ახალი ტიპების სისტემების, მცირე ან მსუბუქი შეიარაღების შეტანით ხელს უწყობს თუ არა რეგიონში არასტაბილურობას. თუ პარლამენტის თავდაცვის კომიტეტი იწყებს რეგიონულ დაბატუმის რეგიონში საფრთხეების, მზარდ შესყიდვებისა და კორუფციის შესახებ, ეს პროცესი რეგიონული დებატების დაწყების წინაპირობაა.
- ✓ შემუშავებულ უნდა იქნეს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება იმ ქვეყნების შეწერება, რომლებიც შესყიდული შეიარაღების რეესპორტს ახ-დენენ გარკვეული მიზებით, რაც ეზნაზამდებება იმპორტის მოწმობის სერთიფი-კატით განსაზღვრულ აკრძალვებს.

პარლამენტმა უნდა შექმნას უფლებამოსილების სტატუსით აღჭურვილი დამოუკიდებელი სააუდიტო პროცედურა, რომოს მიზანი იქნება შეიარაღების გაჭრობის კონტროლი და მეთვალიურებებისა. კონტროლს განახორციელებს პარლამენტი მას მიერ დადგენილი წესებთა და პრინციპებთ. ჩანართი № 76 შეიცავს საერთაშორისო შეთანხმებებისა და ქცევის კოდექსის მაგალითს იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ჩანართი № 76

რეგიონული შეთანხმებები შეიარაღების გადაცემის შესახებ

▷ ქცევის ევროპული კოდექსი

1998 წლის 8 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო რეზოლუცია ქცევის ევროპული კოდექსის შესახებ. რეზოლუცია ეხმა ევროპული ქვეყნებდან შეიარაღების გაზიდვას არასტაბილურ ქვეყნებში, სადაც ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ეს გადაწყვეტილება მიღეცს არასამთავრობა ორგანიზაციების მხრიდან 8-წლიანი ზენოლის შემდეგ. ისინი მოითხოვდნენ შეიარაღებით ვაჭრობის სამართლიანი პოლიტიკის განხორციელებას. კოდექსი ჩამოთვლილია ის ქვეყნები, სადაც გაედინება იარა-ღი, და წარმოდგენილია სისტემები, რომელთა საშუალებითაც მოხდება საბოლოო მომხმა-რებლის იდენტიფიცირება და მონიტორინგი. ასევე, მოცემულია ინფორმაციის გაცელისა და კონსულტირების ერთობლივი სისტემა ექსპორტის განხორციელების ლიცენზიის მიცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

ქცევის ევროპული კოდექსი არ არის სავალდებულო ევროკავშირის სახელმწიფოებისათვის. არ არსებობს მექანიზმები, რომლებიც კოდექსს სავალდებულოს გახდიდა ყველა ქვეყნისა-თვის. ის სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ პროსლემები და საჭროა შეიარაღების ექსპორტის შეწერება ან შემცირება, რადგანაც მათ მიერ დამზადებული იარაღი ძალადობისა და ზენოლის მიზეზი ხდება, მიმართავნ კოდექსს.

კოდექსში მოცემულია 8 კრიტერიუმი, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფოებ-მა შეიარაღებით ექსპორტის შემთხვევაში:

- 1) „ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შეთანხმებების, განსაკუთრებით, გაერო-სუშიშროების საბჭოს მიერ მიღებული სანქციების პატივისცემა (...)



- 2) საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
- 3) საბოლოო დანიშნულების ქვეყნის შიდა ვითარება, დაძაბულობა ან შეიარაღებული კონფ-ლიქტები (...)
- 4) წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გასცენ ექსპორტის ლიცენზია, თუ არსებობს ეჭვი, რომ აღნიშნული შეიარაღება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აგრესის ან ტერიტორიული პრეტენზიებისათვის ბრძოლას მოხმარდება (...)
- 5) წევრი სახელმწიფოების, მათი მეზობლების, მეგობარი და მოკავშირე ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოება (...)
- 6) საერთაშორისო საზოგადოების, ტერორიზმის, ალიანსებისა და საერთაშორისო სამართლის მიმართ მყიდველი ქვეყნის დამოკიდებულება (...)
- 7) შეიარაღების რეექსპორტირების რისკი (...)
- 8) შეიარაღებით ექსპორტის შესაბამისობა მიმღები ქვეყნის ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებთან (...)“

წყარო: <http://europa.eu.int>

▷ ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია და შეიარაღების გადაცემა

რეგიონში შეიარაღებით ვაჭრობის სფეროში გამჭვირვალობა მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციამ (OAS) ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ჩვეულებრივი შეიარაღების გადაცემის შესახებ. ამერიკათშორისი კონვენცია ჩვეულებრივი შეიარაღების ათვისების გამჭვირვალობის შესახებ (მიღებულ იქნა გენერალურ ასამბლეაზე გვატემალაში), ავალებულებს ხელისმომზერ სახელმწიფოებს, ყოველწლიურად მოიპოვონ ინფორმაცია შეიარაღების დიდი რაოდენობით ექსპორტისა და იმპორტის შესახებ.

